

ცანცანგ ჰანკობაძე

ნოვილისტი



წიგნის გამოცემაში აღმოჩენილი დახმარებისთვის ავტორი  
უღრმეს მადლობას მოახსენებს ცნობილ ქველმოქმედებს:  
გალერი სუხიშვილს, იოსებ (სოსო) მაკრახიძეს და  
მხატვარ ბესო ზუბაშვილს.

**რედაქტორი** ა. ბიძინაშვილი

**კორექტორი** ნ. ამბროლაძე

**ილუსტრაციები** ბ. ზუბაშვილი

## ჭირობასო

**ძვირფასო მკითხველო...**

ნოველების წინამდებარე პატარა წიგნით მსურდა თქვენამდე მომეტანა ჩემი ცხოვრების განმავლობაში ნანახი, მოსმენილი და განცდილი პრაქტიკული ცხოვრების უამრავი მომენტის თუ სიტუაციის ზოგადი თუ კონკრეტული არსისა და შედეგების ამსახველი ამბები, რომლებიც შეიძლება გამოაღეს ნებისმიერ ადამიანს მის ცხოვრებაში.

რა ადარ მინახავს, რა ადარ მსმენია თუ წამიკითხავს აქ, ჩვენს ქვეყანაში, თუ მის ფარგლებს გარეთ.

რაღათქმა უნდა ყველაფრის გაღმოცემა (გახსენებაც კი) წარმოუდგენელია და ვიტყოდი – მიზანშეუწონელიც. დავკმაყოფილდი მცირედით.

აქეე აღვნიშნავ, რომ ზოგ შემთხვევაში პერსონაჟების სახელები (თიკუნებიც) და გვარები მოგონილია.

იმედი მაქს, ინტერესით წაიკითხავთ და რაიმე, თუნდაც სულ მცირე სასარგებლოს ამოიკითხავთ წარმოდგენილ ნოველებში.

**წინასწარ გიხდით მადლობას.**

**ავტორი**

## მართვების პლატფორმი

ტექნიკური სიახლეების დანერგვის მიზნით ჩაის ფაბრიკას ეწვია მეცნიერ-თანამშრომელთა ჯგუფი, რომელთა შორისაც იყო ახალგაზრდა ინჟინერი ოთარი. იგი პირველად იმყოფებოდა სამსახურებრივ მივლინებაში და სხვებთან შედარებით გადაჭარბებული ინტერესით აკვირდებოდა ყველას და ყველაფერს.

პროგრესის მოყვარულმა დირექტორმა დიდი სიხარულით მიიღო სტუმრები და დააბინავა ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე მდებარე საერთო საცხოვრებლის საუკეთესო ხედებითა და კომფორტით გამორჩეულ ოთახებში.

პირველი, რაც ბიჭებმა გააკეთეს ის იყო, რომ სასწრაფოდ დაალაგეს მათთვის კუთვნილი ადგილები; ამოალაგეს ჩანთებიდან საყოფაცხოვრებო ნივთები და მიუჩინეს შესაბამისი ადგილები; განსაკუთრებული სიფრთხილით განალაგეს კვლევისათვის საჭირო ტექნიკურ-ლაბორატორიული ხელსაწყოები და მერე კი, მთავარი ინჟინრის დახმარებით, გაცენებ ფაბრიკაში მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესებს და ტექნიკურ აღჭურვილობას. საღამოს ივახშებს ფაბრიკის მუშაორ სასადილოში და განეწყვნებ დასახინებლად.

ოთარმა მოინდომა აივანზე ძილი. სოხოვა კოლეგებს: ძალიან ცხელა და საწოლს აივანზე გავიტანო.

დიდხანს იტრიალა ლოგინში მთელი დღის შთაბეჭდილებებით გადატვირთულმა და როგორც იქნა ჩაეძინა მისთვის ახალ და უცხო გარემოში.

გავიდა საათები... რაღაც უცნაურმა, ოთარისათვის ჯერაც უცნობმა, ხმაურმა გააღვიძა. თვალები მოიფშვნიტა, მიიხედ-მოიხედა... მიხვდა, სადაც იყო და დამშვიდდა.

მზის სუსტება სხივებმა ოდნავ გამოახათეს საფარიდან. ოთარმა საათს დახედა... სამუშაოს დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო; გეერდი იცვალა და ცოტა-

ოდენი წაძინებას კიდევ აპირებდა, როცა ისევ მოესმა უცნაური ხმები, ალბათ ის ხმები, რომელმაც ერთხელ უკვე გამოაღვიძა.

ეუცხოვა ჟღერადობაც, ინტენსიურობაც, ტემპიც, ქაოზურობაც და, საერთოდ, ყველაფერი. მსგავსი რამ ოთარს ჯერ არ ჰქონდა მოსმენილი. დაბაბა ყურთასმენა და გაფაციცებით შეათვალიერა ვრცელი და მაღალი აივნის ყველა კუთხე-კუნჭული. მალე მიაგნო უცნაური ხმაურის წყაროს. სულ მაღლა, აივნისა და სახლის სახურავის შეერთების ადგილზე, კუთხეში შეამჩნია რაღაც დიდი შავი ლაქა, რომელიც მალე, ამომავალი მზის წყალობით, გამოიკვეთა და მიიღო ჩირის ბუდის მოხაზულობა. ბუდის კონტურები თანდათან უფრო იხვეწებოდა და რაც ყველაზე მთავარი იყო – ბუდეში „მოსახლე“ სუბიექტების „ვინაობაც“ ცხადი ხდებოდა. ოთარმა ნახა და მოისმინა ის, რაც არასდროს ენახა და მოესმინა.



ოთხი ბარტყე (მართვე) ფუსფუსებდა და „საქმიანობდა“ ბუდეში. ოთარმა თავიდან ვერ გაარკვია რომელ ჩიტებს ეკუთვნოდათ ბუდე ან ვისი „შთამომავლები“ იყვნენ შიგმჯდომნი, რომელთა ხმაურმა და გნიასმაც გააღვიძა და გააოცა. მათი ხმები წააგავდა წიკწიკს, ჭიპჭიკს, ქლურტულს, წავწავს, კუტკუტს, ჭიჭეინს და კიდევ სხვას რაიმეს – ამის გარკვევა და დაზუსტება ნამდვილად მნელი იყო ოთარისთვის, თუმცა, სულ მალე ყველაფერი გაირკვა.

მზემ იმდღავრა და გაანათა ყველა კუთხებუნჭული. ოთარმა გარკვევით დაინახა ბუდეზე გადმოყენდებული ოთხი პირ(ნისკარტ)დაფქენილი მართვე, ბარტყე), რომლებიც აშკარად მერცხლების „შთამომავალნი“ უნდა ყოფილყვნენ, რაც სულ მალე გაირკვა კიდეც.

ორიოდე წუთის შემდეგ, მართვების კვარტებმა დაფქენილი ნისკარტების აქეთ-იქით ქნევითა და ხმამაღალი ქრიამულით აიკლო იქაურობა. იყურებოდნენ ერთი მიმართულებით, სადღაც შორეულ სივრცეში. ლამის გადმოცვივნენ ბუდიდან, როცა მოფრინდა და ბუდეს მიაჯდა ნისკარტში რაღაც სასუსნავით მომარჯვებული ულამაზე სი მერცხალი და მზრუნველობით გადახედა სიტუაციას.

ოთარმა ვერ გაარკვია, თუ რა ეჭირა მერცხალს ნისკარტით: რაიმე მცენარის ფრაგმენტი, ჭია-ღუა, ხილის ან ბოსტნეულის ნაგლეჯი თუ სხვა რამ, რაც ბარტყებს შეიძლებოდა გამოსდგომოდათ საკვებად.

მართვებმა ატეხეს ერთი გნიასი. ყველას დაღებული პქნებით ნისკარტი და რაღაც განწირული ხმიანობით ითხოვდნენ საჭმელს. ოთარმა შეამჩნია, რომ განსაკუთრებით აქტიურობდა და „იქაჩებოდა“ მარჯვნიდან პირველი მართვე.

მოფრენილმა მერცხალმა ერთხელ კიდევ დაკვირვებით გადახედა სიტუაციას და საიდანდაც შორიდან, ბაღ-ვენახიდან, ბოსტნიდან, მინდვრიდან თუ ტყიდან მოტანილი სასუსნი ნისკარტში ჩასჩარა მარჯვნიდან მეორე მართვეს და სწრაფად გაფრინდა იქით, საიდანაც

მოფრინდა. ოთარმა ისიც შეამჩნია, რომ ძალიან ნაწყენი იყო მარჯვნიდან პირველი მართვე, რომელსაც მიუხედავად თავგამოდებული აქტიურობისა, არ ერგო სასუსნავი. ვერ ჩერდებოდა, ხტუნაობდა, წიოდა და ლამის ბუდიდან გადმომხებარიყო, გაგზებული აწკაპუნებდა ნისკარტს.

ოთარმა ვერ მოასწრო ნანახის ბოლომდე გააზრება, რადგანაც სულ მალე ბუდეში კვლავ ატყდა ერთი გნიასი; მოფრინდა მეორე მერცხალი, რომელსაც პირველი მერცხლის დარად, ნისკარტით უჭირა რაღაც სასუსნი. მიაჯდა ბუდეს და დააკირდა ვითარებას. ოთარს მოქმედნა, რომ მეორე მერცხალიც არჩევდა, თუ რომელი ნისკარტდაფჩენილი მართვესთვის მიეცა, სადღაც შორიდან მოტანილი საკვები.

მიუხედავად იმისა, რომ კვლავ აქტიურობდა და ლამის თავს იკლავდა მარჯვნიდან პირველი მართვე, ამჯერად საკვები მიიღო მარცხნიდან მეორე (მარჯვნიდან მესამე) მართვებ. მერცხალი კი სწრაფადვე გაფრინდა შემდეგი ულუფის მოსაძებნ-მოსატანად.

ოთარი საგონებელში ჩავარდა. ნანახის შეჯამება და გაანალიზება ვერ შეძლო, რადგან სულ მალე გამოჩნდა პირველი მერცხალი, რომელმაც საკვები არგუნა მარჯვნიდან მეოთხე (მარცხნიდან პირველ) მართვეს, რომელიც ყველაზე ნაკლებად აქტიურობდა და ხმიანობდა. სამაგიეროდ, კვლავ ხმაურობდა და ლამის ბუდიდან გადმომხებარიყო მარჯვნიდან პირველი მართვე. კვლავ საშინლად ხმაურობდა და წიოდა, თუ კიოდა.

ოთარი ჩაეფლო ფიქრებში – რა მოხდება შემდეგ?! ის იყო გვერდი შეიცვალა და უფრო მოხერხებულად მოეწყო საწოლში, როცა მოფრინდა მეორე მერცხალი. ოთარს ადარ გაჲკვირვებია ის, რომ მერცხალს ამჯერადაც ნისკარტით უჭირა რაღაც ჭია, სადღაც ახლო-მახლო ბოსტანში ნაპოვნი. გრძნობდა ოთარი შინაგანად, რომ რაღაც საინტერესო ახლოვდებოდა, კერძოდ ის, რომ ამ მომენტაბდე „უჭმელი“ იყო მარჯვნიდან პირველი მართვე და რომ მას უნდა რგებოდა შემდეგი

ულუფა ის ხომ ყველაზე აქტიურად ითხოვდა საკვებს, თუმცა ამაռდ...

ოთარს აწუხებდა შეკითხვე – ვინ იყვნენ საკვების „მზიდავი“ მერცხლები ან რა აკავშირებდათ ბუდის ბინადრებთან და თავადვე პასუხობდა – რაღა თქნა უნდა, მართვეთა კვარტეტის მშობლები. ვის, თუ არა მშობლებს, აქვთ ვალდებულება გამოკვებონ და დამკვიდრებული ტრადიციებით აღზარდონ თავიანთი ნაშიერნი; ვის, თუ არა მშობლებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ამინდში თავგანწირვით იშრომონ და იბრძოლონ შვილების საკეთილდღეოდ.

ოთარს ასეთმა შეკითხვამაც კი გაუელვა თავში: „მზიდავი“ მერცხალთაგან რომელია მდედრი და რომელი მარი? მალე მიხვდა, რომ პასუხი გაუჭირდებოდა და თავი ანება „ტვინის ჰყლებას“.

დაახლოებით ერთსათიანმა დაკვირვებამ „მზიდავ“ მერცხლებზე და ბუდეში მოკალათებულ მართვებზე დაბადა შეკითხვა: რატომ არ აძლევდნენ „მზიდავები“-საკვებს მარჯვნიდან პირველ მართვეს... თუმცა, ჯერ კიდევ იყო იმედი იმისა, რომ სამი მართვეს გამოკვების შემდეგ უნდა დამდგარიყო მისი ჯერიც... ვინ იცის?!

ამგარ ფიქრებში ჩაფლულ ოთარს კვლავ მოესმა უკვე ნაცნობი ჩოჩქოლისა და ქაოსის ხმები. მერე „მზიდავმა“ მერცხალმა აჩქარებული მანერებით სახწრაფოდ ჩასჩარა საკვები ნისკარტდაფჩენილ მარჯვნიდან პირველ მართვეს და სწრაფად მიატოვა აივანი.

ოთარმა შეამჩნია, რომ „მზიდავი“ მერცხლები რაღაცნაირი მიმდევრობით კვებავდნენ მართვებს. თუ ასე იყო, მაშინ ახლა ჯერი (რიგი) უნდა ყოფილიყო მარჯვნიდან მეორე მართვესი.

გამოკვების ერთი მთლიანი ციკლი დამთავრდა. ოთხივე მართვემ მიიღო საკვები. ახლა რა მოხდებაო – ფიქრობდა ოთარი... დაიწყება შემდეგი ციკლი თუ არა... თუ დაიწყება და რომელი მართვესაგან... ოთარი საოცრად დაძაბული ჩანდა; გული უგრძნობდა, რომ

რაღაც საოცარის მოწმე უნდა გამხდარიყო – ხუმრობა საქმე ხომ არ არის, რომ მოწესრიგებული რიგითობით გამოკვებო საგარაუდოდ შვილები და ეს მიმდევრობა მომავალშიც დაიცვა?! და მოხდა ის, რასაც ოთარი მოელოდა რაღაც შინაგანი რწმენით.

ფართი-ფურთით და გაშმაგებით მოფრინდა პირველი მერცხსალი, რომელსაც ნისკარტით ეჭირა ჯერაც მოძრავი რაღაც მწერი, მიაჯდა ბუდეს იმ ადგილას, სადაც მოკალათებული იყო მარჯვნიდან მეორე მართვე, ჩასჩარა დია ნისკარტში სასუსხი და სწრაფად გაფრინდა უკან, ოთარისთვის უკვე კარგადცნობილი მიმართულებით.

გიუივით წამოხტა საწოლიდან და საოცრად მაღალი სმით შპჰვირა ოთახში მოფუსფუსე კოლეგებს: ბიჭებო, ჩქარა გამოდით აივანზე, ჩქარა-მეთქ... უნდა საოცრების მოწმენი გაგხადოთ, ჩქარა...

რაო, რა მოხდაო, იკითხეს აივანზე გამოცვენილმა მეცნიერ-მუშაკებმა.

მომისმინეოო, კვლავ ხმამაღლა მიმართა ოთარმა; კარგად დააკვირდით აი იმ ბუდეს და შიგ მჯდომ ბარტებს, გამუდმებით რომ ედივუივებენ და წკივწკივებენ... ახლა, სულ მალე მოფრინდება მერცხსალი და საკვებს მოუტანს მხოლოდ მარჯვნიდან მესამე (მარცხიდან მეორე) მართვეს...

ვერ მოასწრო ოთარმა მეტი ახსნა-განმარტება, რომ მოფრინდა მეორე მერცხსალი და საუზმე „მიართვა“, ჩასჩარა ჭიშკარივით ფართედ გაღებულ ნისკარტში, რამაც გამოიწვია დამსწრეთა არნაული აღტაცება და გაოცება – ეს როგორაო... ეს რატომაო... შენ საიდან იცოდიო... და ა.შ.

მოკლედ, ატყდა ერთი ჩოჩქოლი და სრულმა გაუგებრობამ დაისადგურა ჩაის ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის მეორე სართულის აივანზე.

გადაწყვიტეს გაეგრძელებინათ დაკვირვება, თუნდაც სამუშაოზე დაგვიანების რისკის ფასად.

უურადღებით ადევნებდნენ თვალს მერცხლებისა და მართვების „ჩალიჩს“ ბუდის ირგვლივ და საბოლოოდ ირწმუნეს, რომ მოწმენი გახდნენ მართლაც რომ უდიდესი საოცრების.

ვერაფრით ხსნიდნენ მომხდარის ნიუანსებს და გაპვირვებული თვალებით შესცექეროდნენ ერთმანეთს.

ბოლოს ოთარმა გაიხსენა, რომ რომელიდაც მომენტში შეამჩნია აქეთ-იქით მფრინავი „მზიდავი“ მერცხლების წამიერი შეხვედრა და ფრთხებისა და ნისკარტების უცნაური ტრაექტორიებით ქნევა, მაგრამ ვერავითარი სასიკეთო და გარკვეული დასკვნის გაკეთების საფუძველი ვერ აღმოაჩინა.

მართლაც მოხდა უცნაური და უნიკალური რამ: ...ცალ-ცალკე „მომუშავე“ ეწ. „მზიდავი“ მერცხლები, რაღაც უცნობი და უხილავი „შიდა“ კავშირების წყალობით ახერხებდნენ შეთანხმებული თანამიმდევრობით (რიგითობით) მიეწოდებინათ საკვები მართვებისთვის... დიახ, ხაზგასმული სიზუსტით და პედანტურობით (ერთმანეთთან ხილული კავშირების გარეშე) ახერხებდნენ მართვების გამოკვების რიგითობის დაცვას, რაც მართლაც რომ განეკუთვნება საოცრებათა სამყაროს.

ოთარს ისლა დარჩენოდა, რომ გაკვირვებული და პირდადებული კოლეგებისთვის შეეხსენებინა დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილის ლექსიდან „ჩინარი“ ასეთი ამონარიდი:

„...მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო,  
უასაკოთაც და უსულო შორის...“

## მეტაპოლიტონის დინამიკა

„...ის ურჩევნია მამულსა,  
რომ შვილი სჯობდეს მამასა...“  
(ხალხური)

პატიოსან და შრომისმოყვარე კაცად იცნობდნენ მიხოს მთელ რაიონში. დიდსა თუ პატარას „პირზე ეკერა“ უამრავი საქები სიტყვა მისი მისამართით: კეთილი, განათლებული, დაუღალავი, უმწიკვლო, უანგარო და სხვა. განსაკუთრებული ხაზგასმით აქებდნენ მის სტუმართმოყვარეობას და დიდოსტატურ თამადობას. მიხო გამოირჩეოდა ასევე საუკეთესო ტემპის მქონე სასიმღერო ხმით და დახვეწილი მელოდიურობით. მოკლედ, მიხოსთან ახლოს ყოფნა ყველასთვის სასიამოვნო და საამაყო გახლდათ. ამიტომაც იყო, რომ მასთან სახლში ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე მეგობარ-ნაცნობები თუ მეზობელ-კოლეგები და ქართული, ხალხური სიმღერების მრავალხმიანობით ატკბობდნენ გარშემომყოფთ.

მიხოს თავისებური წესი პქონდა სუფრის წაძღოლის. ჯერ იყო და ვერავინ ბედავდა მის ოჯახში თამადობას... მეორეც ის, რომ რაღაცნაირად იცავდა სადღეგრძელოების წარმოთქმის მიმდევრობას.

ფრიად საინტერესოა ის, რომ მიმდევრობის წყალობით, ყოველ ჯერზე სხვადასხვა სიტყვებით, შედარებებით თუ ეპითეტებით ამჟობდა ერთიდაიგივე სადღეგრძელოს, რასაც ადტაცებაში მოჰყავდა სუფრის წევრები.

სადღეგრძელოების ჩამონათვალში, სადღაც მერვე თუ მეცხრე ადგილზე ამბობდა შვილების სადღეგრძელოს, რასაც გაამშენიერებდა ხოლმე ხალხური ან ცნობილი კლასიკოსების გამონათქვამებით, რაც ყოველთვის წარმატებით გამოსდიოდა.

სამწუხაროდ, მიხოს ადრე გარდაეცვალა მეუღლე და ერთადერთი ვაჟიშვილის, ნიკოს აღზრდა-განათლების საქმე მთლიანად მიხოს მოსაგვარებელი გახდა.

გარკვეული დროით შეფერხდა ხელგაშლილი მასპინძლობა. მიხოს მეგობრები დიდი ხნით თავს იკავებდნენ სტუმრობისაგან, მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, დრომ თავისი გაიტანა და უქალო ოჯახიდან კვლავ გამოდიოდა ქართული სტუმარ-მასპინძლობისათვის დამახასიათებელი და კარგად ცნობილი სადღეგრძელოებისა და სიმღერების ხმები.

ნიკო უკვე სკოლაში დადიოდა. კლასიდან კლასში ტრიუმფით გადაიოდა და როგორც იტყვიან ხოლმე – მამის საამაყო შვილად იხსენიებდნენ ყველგან. ნიკო აქტიურად მონაწილეობდა მრავალი სახის სარაიონო შეჯიბრებში სპორტისა თუ კულტურული ღონისძიების სფეროში და რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტი სიგელი, წოდება, დიპლომი, თანრიგი, პრიზი თუ პრემია გახდა მისი ნადავლი... არც მედლები და სამკერდე ნიშნები მოჰკლებია სპეციალურ საოჯახო კუთხეს, რომელიც მიხომ დიდი რუდუნებით მოუწყო სახლის ერთ-ერთ კუთხეში.

რაც დრო გადიოდა, უფრო მატულობდა მიხოს სახელის ხესენების სიხშირე; ხშირად გაიგონებდით ასეთ სიტყვებს: „მიხოს ბიჭია“, „მიხოს აღზრდილია“, „მიხოს ვაჟკაცია“, „მიხოს საამაყო შვილია“ და ა.შ.

მიხოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ბედნიერ კაცად თვლიდა თავს, რომ მისი ნიკო უყვარდა ხალხს და მუდამ ქებით იხსენიებდნენ.

დრო გადიოდა, ნიკო იზრდებოდა... მიხოს და მის ახლო მეგობრებს ჭაღარა ემატებოდათ... საყვარელი სადღეგრძელოებისა და ქართულ-ხალხური სიმღერების ხმები კვლავინდებურად ისმოდა უქალო ოჯახიდან.

ერთ-ერთი შეკრებისას თანამოსუფრებმა შენიშნეს, რომ მიხომ დაარღვია სადღეგრძელოების მიმდევრობა და შვილების სადღეგრძელო დაახლოებით მეექვსე თუ მეშვიდე ჭიქით წარმოსთქვა და რაღაც, ოდნავშესამჩნევი, მანამდე უცნობი ეპითეტების გამოყენებით.

მეგობარ-მესუფრეებს მაშინ დიდი ყურადღება არ დაუთმიათ ამ ფაქტისათვის, მაგრამ როდესაც თან-

დათან შვილების სადღეგრძელომ რიგში გადაინაცვლა და ახლა უკვე მეოთხე ან მეხუთე გახდა – დაინტერესებულებმა გაკვირვებით პკითხეს მიხოს, რაშია საქმე, რამ გამოიეწვია ის, რომ ათეულწლებით ჩამოყალობებული მიმდევრობა დაარღვიე და შვილების სადღეგრძელო, ალბათ, მალე პირველი გახდებაო...

სულ მალე მოვიდა „მერეს“ დროც და მეგობრებმა აიძულეს მიხო, რომ აქსნა სადღეგრძელოების რიგითობის დარღვევის მიზეზი და განსაკუთრებით კი შვილების სადღეგრძელოს, ლამის მესამე ადგილზე „დაწინაურებისა“.

მიხომ ჩვეულებრივად ჩაიღიმა, წამოდგა ყანწიოთ ხელში, ულვაშებზე თითები აათამაშა და დაიწყო: „...ჩემო კარგგბო და ჩემო ძვირფასებო... ყოველთვის გესმოდათ ჩემი და მწამს, რომ ახლაც გამიგებოთ... საქმე კი შემდეგ შია...“

ჩემი შვილი ნიკო უკვე დიდი ბიჭია, მალე, ალბათ, უნივერსიტეტსაც დაამთავრებს, მუშაობას დაიწყებს, ოჯახს შექმნის და გამახარებს... იმედია, მალე პაპაც გავხდები და მეტი რაღა მინდა ამხელა ცხოვრებაგამოვლილ კაცს!.

მთელი ამ წლების განმავლობაში მესმოდა: მიხოს შვილია, მიხოს ბიჭია, მიხოს აღზრდილია, მიხოს მემკვიდრეა, მიხოს შთამომავალია და ასე გაუთავებლად მიხო, მიხოს, მიხომ... ა.შ. ერთთავად ჩემი სახელი იდგა წინ.

მაგრამ ოთხიოდ თვის წინ ჩემს ყურს მოსწვდა უფრო საამო სიტყვები... ბაზარში ერთი ქალი მეორეს უბნება ჩემზე: ნიკოს მამააო.

ყურში მომხვდა ეს სიტყვები და მესიამოვნა. ამის შემდეგ გავამახვილე ყურადღება და მეტი მონდომებით ვცდილობ არაფერი გამომრჩეს ჩემს შესახებ ნათქვა-მი და პო საოცრებავ – რაც დრო გადის, მით უფრო ხშირად მესმის ჩემი მისამართით: ნიკოს მამაა, ნიკოს გამზრდელია, ნიკოს მშობელია და ასე შემდეგ – ნიკო, ნიკოს, ნიკომ, ნიკოთი და ასე ყოველდღეს.

ამაზე მეტი ბედნიერება რა უნდა იყოს, რომ სახელ ნიკოს წინ აყენებენ, ერთგვარ ორიენტირად თვლიან,

ფართო საზოგადოება უფრო ხშირად უკვე წინა პლანზე აყენებს ნიკოს და მერე მე...

აი, ეს მიხარია და ეს მომწონს, ამისთვის ვეწვალებოდი, ოფლს ვდვერიდი, ვცდილობდი და აი, ძმებო, გამარჯვებაც მოვიდა... ჯერ ჩემი შვილის სახელს ახსნებენ და მერე ჩემსას...

როგორ არ გავიხსენო ქართული სიბრძნე: „...ის ურნევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა!..“

დადგა ეს დრო... ბედნიერი ვარ და არ გაგიკვირდეთ, თუ პირველ სადღეგრძელოდ მალე შვილების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ...“

და უკვე კარგა ხანია, მიხოს ოჯახში შეკრებილი მეგობრები ერთ-ერთ პირველ სადღეგრძელოდ მიირთმევენ შვილების საქებსა და სადიდებელს.

## კამანი კენჭეროზე

ხანდაზმულ თედოს ექიმმა ურჩია ყოველ დილით, სუფთა ჰაერზე ჩაეტარებინა მსუბუქი ფიზიკური ვარჯიშები და რაც შეიძლება ბევრი ერა ფეხით.

პედანტურობით გამორჩეულმა თედომ, მეორე დღი დანვე დაიწყო ექიმის რჩევების განხორციელება.

დილით შვიდ საათზე იღვიძებდა „მაღვიძარას“ ხმაზე, გამოადებდა მე-3 სართულის აივანზე გამავალ კარს და რუდუნებით ასრულებდა ექიმის დანიშნულებას.

დაახლოებით ერთკვირიანი სავარჯიშო ციკლის შემდეგ, თავის თავს გამოუტყდა იმაში, რომ იგრძნო ფიზიკური კონდიციებისა და გუნება-განწყობილების სასიამოვნო გაუმჯობესება, რამაც შეკმატა ძალა და სურვეილი – არასოდეს შეეწყიტა დაწყებული პროცესი. მოუმატა ქალაქში ფეხით სიარულს, რამაც მას მისცა შესაძლებლობა ხშირად ენახა თავისი ნაცნობ-მეგობრები და ყოფილი კოლეგები, რაც ასევე სასიკეთოდ წაადგა მის ყოველდღიურობას.

ერთხელ დილით, აივანზე სავარჯიშოდ გასულმა თედომ დაინახა, თუ როგორ ძლიერად დაიწყო რხევა გა გამზირის მოპირდაპირე ტროტუარის გასწვრივ ჩამწერივებული ფიჭვის ხეების ერთ-ერთის კენჭეროსთან სიახლოვეში შეზრდილმა ტოტმა. ადრე ასეთი რამ არასოდეს შეუმჩნევია.

თედომ დაძაბა მხედველობა და შეამჩნია, რომ დაახლოებით სამოცდაათი-ოთხმოცი მეტრის დაშორებით ფიჭვის ხის კენჭეროსთან ახლოს, ტოტზე შემომჯდარიყო რომელიდაც ჩიტი და დროდადრო მოუსვენრად მიღი-მოდიოდა ტოტის გასწვრივ. შიგადაშიგ ჩერდებოდა და აქეთ-იქით იცქირებოდა. ამ დროს ტოტი ოდნავლა ირხეოდა. ცოტა ხნის მერე ისევ იწყებდა ტოტის გასწვრივ ხტუნვა-ხტუნვით გადაადგილებას. ტოტის რხევის ამპლიტუდა იზრდებოდა და თედოს ეჩვენებოდა, რომ ეს-ესაა ჩიტი ჩამოვარდებაო...

თედო განაგრძობდა ვარჯიშს და თან თვალს არ აშორებდა ტოტის რხევის პროცესს, რომელიც ხან ინტენსიური იყო და ხანაც ოდნავ მიუუჩებული. ერთი რამ საინტერესოც შეამჩნია თედომ... ჩიტი სულ ერთი მიმართულებით იცქირებოდა, თითქოს ვიდაცას ელოდებაო. თედოს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ის „ვიდაც“ იგვიანებდა და ჩიტიც ნერვიული მოძრაობებით იმიტომ დახტოდა ტოტის გასწვრივ და ტოტიც იმიტომ ირხეოდა სხვადასხვა სიხშირით.

დაამთავრა ვარჯიში და შევიდა სახლში, თუმცა ჩაფიქრებული ჩანდა.

მთელი დღე თაგში უტრიალებდა დილით ადრე ხანახი და ვერ ამოეხსნა „იმ“ ჩიტის უცნაური საქციული.

მეორე დღეს ჩვეულებრივ გავიდა აივანზე. გაიხედა „იმ“ ტოტისკენ – ტოტი გაჩერებული იყო, ოდნავდაც არ ირხეოდა. თედო მოუთმენლობამ შეიპყრო... ნუთუ ვედარ ხახავს საოცარ სურათს?!“

დილის ხორმით გათვალისწინებული ვარჯიშების

ნახევარიც არ ჰქონდა შესრულებული, როცა დაინახა, როგორ შეირხა ტოტი და დაიწყო მაღლა-დაბლა ქნევა, როცა მას დაახტა ჩიტი, რომელიც გუშინდელის მსგავსად ნერვიულად დარბოდა წინდაუკან და ისევ დაჟინებით იყურებოდა ერთ მხარეს.

თედო ერთიანად დაიძაბა... წინათგრძნობა კარნახობდა, რომ რაღაც საინტერესოს ნახავდა. ვარჯიშს განაგრძობდა ავტომატურად, ინსტიქტურად... მთელი ცურადლება მიმართული ჰქონდა კენჭეროს იმ ტოტისკენ, რომელზეც იჯდა ჩიტი.

თედომ ის-ის იყო დაამთავრა ვარჯიში და აპირებდა სახლში შესვლას, როცა დაინახა, როგორ ძლიერ შექანდა ტოტი და დაიწყო რხევა. გაოცებისგან ადგილზე გაშემდა – მოფრინდა მეორე ჩიტი, რომელიც იქ მყოფი ჩიტის გვერდით ჩამოჯდა, მერე ერთმანეთს ნისკარტები აუსვ-დაუსვეს; რაღაცნაირი საოცარი ღუდუნის ხმა მოსწვდა თედოს სმენას... ჩიტები ხან ორივე ერთ მხარეს იცქირებოდა, ხან ჯვარედინად ხტუნგა-ხტუნვით – სხვადასხვა მხარეს; ხან ტოტის თავისკენ გადაადგილდებოდნენ და ხან ტოტის ბოლოსკენ; ამ დროს ტოტი განსაკუთრებით დიდი ამპლიტუდით ქანაობნდა... თედოს, რაღაც მომენტში შეეშინდა – არ ჩამოვარდნილიყო; მაგრამ ავიწყდებოდა, რომ ჩიტები იყვნენ და ფრთები ჰქონდათ... ჩიტები იძეგნად ერთნაირები ჩანდნენ, რომ თედოს უჭირდა გარჩევა – რომელი ელოდა და რომელი მოფრინდა. მანძილის გამო თედოს უჭირდა გარჩევა შეფერილობისაც, ყოფაქცევისაც და გაბარიტებისაც. ამასობაში ტოტი ძლიერ შეირხა და ერთ-ერთმა ჩიტმა მიატოვა კენჭერო.

ერთი აზრიც აეკვიატა უკვე სახლში შესულ თედოს. ის ფიქრობდა, რომ საქმე ჰქონდა დედალ-მამალ ჩიტების წყვილთან. ოღონდ, მხელი იყო გარკვევა, რომელი იყო მდედრი, რომელი მამრი. რომელი ელოდა წინა დღეს – მდედრი თუ მამრი და რომელმა მიატოვა პირველმა პაემანი – მდედრმა თუ მამრმა...

მთელი დღე ფიქრებში იყო ჩაფლული. მოსვენება დაკარგა... ქუჩაში მეგობრებს მოუყვა... „ნეტავი, შენც მოგცლიაო“ – უპასუხეს აგდებულად.

თედო კი მომდევნო დილის ლოდინში გაილია, დამით ცუდად ეძინა.

მოვიდა ახალი დილაც და თედო, დროზე ადრე გა- ვარდა აივანზე... ტოტი არ ირხეოდა... ვარჯიში დაიწყო და თან განუწყვეტლივ „იმ“ ტოტისკენ იცქირებოდა. ცოტა ხნის შემდეგ მაგრად შეირხა ტოტი; თითქოს გა- ბრაზებულივით დაახტა ჩიტი, რომელიც ჩვეულებრივ, ხტუნვა-ხტუნვით გადაძლიდებოდა ტოტზე და სულ ერთ მხარეს იცქირებოდა – ანუ გრძელდებოდა ჩვეული მოლოდინის რეჟიმი.

თედოსთვის კვლავ უცნობი იყო – რომელი მოფ- რინდა და ელის მდედრი თუ მამრი?! იქნებ, სულაც არ იყვნენ მდედრი და მამრი – ფიქრობდა თედო.. იქნებ მეგობრები ან ნათესავები არიან?! – იჭყლიტავდა ტვინს ადამიანური ტრადიციებით ადზრდილი და ნაცხოვრი თედო; ვინ იცის... ამ ფიქრებში იყო, როდესაც ძლიერ შეირხა ტოტი, მოფრინდა ჩიტი და გვერდით მიუჯდა დამხედურ ჩიტს. კვლავ ნისკარტების ასმა-დასმა, კვლავ საამო ღუდუნი, კისრებისა და ფრთების გადაჭდობა და ფარფატი, ისევ შეხმატებილებული წინდაუკან ხტუნ- ვა-ხტუნვა...

თედო გაოცებული შეპყურებდა საოცარ სურათს და კვლავ აწუხებდა და სტანჯავდა ფიქრი – შეყვარებულ წყვილთა „პქონდა საქმე“, თუ მეგობრულ ან ნათესაურ წყვილთან...

ასე გაგრძელდა ორი თუ სამი თვე. თედომ შეიყვარა ის შეყვარებული (ასე გადაწყვიტა) წყვილი და უპე ეჩვენებოდა, რომ ვეღარ გასძლებდა მათი ნახვის გა- რეშე.

თედო ვარჯიშობდა, ჩიტები კენწეროზე დახტოდ- ნენ და ღულუნებდნენ, დრო გადიოდა... თედომ კი ვერ გაარკვია – რომელი იყო მდედრი და რომელი მამრი. ის

კი მოახერხა, რომ ერთი გარეგნული განმასხვავებელი ნიშანი შექმნია ორ ჩიტს შორის. ერთ-ერთს, რომელიც სულ ლოდინის რეჟიმში იყო, თავი ოდნავ პატარა ჰქონდა და ეს მაშინ ჩანდა გარკვევით, როცა ძალიან ახლოს, ჩაუტებულები ისხდნენ ერთად და ტოტი ნარნარით ირხეოდა.

მოხდა ისე, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ჩიტების პაემანი არ შედგა. ერთი ჩიტი, როგორც ადრე, მოფრინდებოდა, დაჯდებოდა ტოტზე და ელოდა და ელოდა. ტოტის გასწვრივ ნერვიულად გადაადგილდებოდა წინდაუკან, სულ ერთ მხარეს იცქირებოდა.

თედო განსაკუთრებული მონდომებით ცდილობდა პასუხი გაეცა საკმაო რაოდენობით დაგროვილ შეკითხვებზე, მაგრამ ამაოდ, რაც მის გადაზიანებას იწვევდა.

ადამიანთა ცხოვრებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, ფიქრობდა, რომ ის ჩიტი, რომელიც თითქმის ყოველთვის მოლოდინში იტანჯებოდა – იყო მამრი... ჰქონდა თუ არა მას საკუთარი ბუდე და ოჯახი, თუ ჯერ კიდევ „დასაქორწინებელი“ იყო. თუ ჰყავდა „მეორე ნახავარი“, მაშინ გამოდის, რომ „ცოლს“ ღალატობდა და იქნებ შვილებსაც?!.

ანალოგიური კითხვები თედოს ჰქონდა მისი აზრით, „მდედრის“ მისამართითაც – საიდან მოფრინავდა, სად ჰქონდა ბუდე, იყო თუ არა „გათხოვილი“, ჰყავდა თუ არა შვილები და რამდენი და სხვა... იქნებ ისიც ღალატობდა „მეუღლეს“?!

იქნებ ჩიტები ჯერ კიდევ „დასაქორწინებლები“ იყვნენ და ეს შეხვედრები მათი პირველი სიყვარული იყო?!.

ეს შეკითხვები მოსვენებას უკარგავდა თედოს. ხასიათი შეეცვალა, დაიძაბა, ნერვიულობას უმატა, აიგნისკენ ყოველ დილით ფაციფუციო გარბოდა და ჩიტების პაემანის მოლოდინში იტანჯებოდა.

დრო გადიოდა... მდედრი არ ჩანდა... მამრი განერვიულებული ასკდებოდა ტოტიდან ტოტს, გაშმაგებული დარბოდა წინდაუკან, ტოტი ირხეოდა დიდი ამპლიტუ-

დით და დიდი სიხშირით, მაგრამ ყოველივე ეს ვერ ამშვიდებდა ვერც თედოს და ვერც მამრს.

დრო გადიოდა, მდედრი არ ჩანდა... თედო კვლავ ფიქრებში იყო ჩაფლული: იქნებ სხვა ჩიტი შეიყვარა, იქნებ მოიტაცეს, იქნებ ძალით „გაათხოვეს“ და ა.შ.

ელოდებოდა „მამრი“, რომელიც მუდმივი მოლოდინის რეჟიმში ყოფნით დაიღალა, ძალები დაკარგა, ისე თავისუფლად ვეღარ დახტოდა წინდაუკან, აღარც ტოტი ქანაობდა ძველებურად.

თედომ რაღაცნაირი ავადმყოფური სიდამბლე შეამჩნია მამრს, რომელიც ძველებურად, მხოლოდ ერთ მსარეს ცქერასდა ახერხებდა, პროტესტის გამოხატვის ნიშნები დაჰკარგებოდა და ბედს დამორჩილებულს ჰგავდა.

მოფრინდებოდა აუზქარებლად, დინჯად მოკალათ-დებოდა ტოტზე, რომელიც თითქმის აღარ ირხეოდა ძველებურად, იცქირებოდა ერთ მსარეს და მალევე ფარფატით მიფრინავდა იქით, საიდანაც მოფრინდებოდა ხოლმე.

დაახლოებით ორი კვირა გაგრძელდა მამრისა და ასევე თედოს ტანჯვა-წვალება.

ერთ დილას კი, როცა თედომ გარჯიში დაამთავრა და სახლში შესვლას აპირებდა, მოხდა წარმოუდგენელი რამ. თედოს შემოესმა რამდენიმე ძალლის ერთ-დროული ყეფა-დრენის ხმები. შეტრიალდა გამზირისკენ და პირველი მზერა ესროლა ტოტს, რომელზეც წესით უნდა მჯდარიყო მამრი. ის არ ჩანდა, ალბათ გაფრინდა, გაიფიქრა თედომ და ახლა მზერა გადაიტანა ფოჭვის ხის ძირისკენ – გაავებული ოთხი თუ ხუთი ძალლი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყვნენ ჩართულნი. ისმოდა ღრენის, ყეფის, წერტუნის ხმები...

სასწრაფოდ ჩაირპინა კიბეები, გადაირპინა გამზირი და მიადგა ადგილს ფიჭვის ხის ძირში, სადაც როგორც ჩანს, რაღაცას ვერ იყოვდნენ პირსისხლიანები... ირგვლივ კი მტვრისა და სისხლიანი ბუმბულების

ბუღი იდგა. ფიჭვის ძირში კი ჩიტის სისხლიანი ნაფლეთები ეყარა.

მას შემდეგ თედოს აღარ უნახავს „იმ“ ტოტზე მუდმივად მოლოდინის რეჟიმში მყოფი ჩიტი.

განაგრძობდა დილის ვარჯიშს, მაგრამ აღარ იგრძნობოდა მის მოძრაობებში, უწინდელი მონდომება და ხალისი... თითქოს რაღაც ძვირფასი დაკარგაო... მოსვენებას არ აძლევდა შეკითხვა – რამ გამოწვია ჩიტის ჩამოვარდნა, ან რომელი იყო ის, მდედრი თუ მამრი...

გავიდა დიდი დრო... ფიჭვის ხე გაიზარდა... მისი კენწერო ასცდა მოპირდაპირე ოთხსართულიანი სახლის სახურავს და უკვე ცის ფონზე აშკარად და მკაფიოდ გამოიკვეთა ტოტების კონტურები.

„ის“ ტოტი, სხვებთან შედარებით, გაძუცულ-გაბდლვნილი და თითქოს ოდნავ შემხმარივით მოსჩანდა... ადარ ირხეოდა იმ ამპლიტუდით და სიხშირით, რომელიც შეეფერებოდა შეყვარებული წყვილის საოცარ ტრფობას.

გავიდა კიდევ ორიოდ წელი და თედომ შეამჩნია, რომ ფიჭვის კენწეროს სიახლოვეში, მარჯვენა მხარეს (დააკვირდით ფოტოს) გაჩნდა ერთგვარი სიცარიელე, რაც იმის მიმანიშნებელია, ალბათ, რომ ტოტი გახმა და ჩამოვარდა... დიახ, თედო ვეღარ ხედავდა იმ ტოტს, რომელზედაც საამოდ კუტკუტებდნენ და ნებივრობდნენ შეყვარებული ჩიტები – მტრედები, თუ გვრიტები ეს დღემდე უცნობია თედოსთვის.



## კოდირებული კონიაპი

ვანოს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე მეგობრები, მეზობლები, ნათესავები თუ კოლეგები და ტრადიციულ ქართულ სუფრასთან ატარებდნენ თავისუფალ დროს სხვადასხვა სახის სამაგიდო თამაშებისა და მაღალი მხატვრული დონის სადღეგრძელოების წარმოთქმაში, თუ ხალხურ და საქსტრადო სიმღერების შესრულება-მოსმენაში.

ბუნებრივია, რომ ხშირსტუმრიანობას თან ახლდა სხვადასხვა მაგარი სასმელების მოხმარებაც.

ხალხმრავალი სტუმრობის შემდეგ, ვანო აქტიურად ეხმარებოდა ხოლმე მეუღლეს სუფრის ალაგზბაში. ცოლისგან მოუსმენია ხშირად ასეთი შეგონება: „პოლიეთოლენის ბოთლებს მოუჭყლებავად ნუ ჩაყრი სანაგვე ყუთში... ამ ბოლო დროს შესამჩნევად იმატეს ურნებში საჭმლის ნარჩენების მაძიებლებმა, რომლებიც იმავდროულად ბოთლების შეგროვების „ბიზნესითაც“ არიან დაკავებულნი და სიფრთხილეს თავი არ ხტკივა – რა იცი, რაში იყენებენ ნახმარ ბოთლებს; რაიმე ცუდი არ მოჰყვეს ყოველივე ამგვარსო...“

ვანომ გაითვალისწინა მეუღლის შენიშვნა-თხოვნა და მას შემდეგ დაჭყლეტის გარეშე, პოლიეთოლენის არცერთი ბოთლი არ ჩაუგდია ურნაში.

გაიარა ათეულმა წელმა, ვანოს ოჯახის ტრადიცია გრძელდებოდა წარმატებით, თუმცა მოულოდნელად ოჯახს ეწვია ტრაგედია. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ოჯახის დიასახლისი და ვანომ განიცადა უდიდესი დარტყმა.

ცოტანით შეწყდა სტუმრიანობა და გასართობი შეკრებები, მაგრამ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ახალი ძალით იფეთქა მეგობრულმა შეხვედრებმა ტრადიციულად სტუმართმოყვარე ვანოს ოჯახში... იმატა სტუმართა რაოდენობამ უქალო ოჯახში. იმატა ასევე პოლიეთოლენის სხვადასხვა სახის (მოცულობის

თუ შეფერილობის) ბოთლების რაოდენობაშ. ვანო ერთგულად ასრულებდა მეუღლის რჩევა-დარიგებას და ამასვე მოუწოდებდა „თავისიანებს“. თანამესუფრეებმა ვანოს მოუწონეს იდეა და პირობა მისცეს, რომ თავიანთ ოჯახებშიც დანერგავდნენ პოლიეთილენის ბოთლების მოჭყლეტის „თეორიას და პრაქტიკას“.

გავიდა წლები. ტრადიცია გრძელდებოდა. მატულობდა პოლიეთილენის სხვადასხვა ბოთლებში („კოკა-კოლა“, „პეპსი-კოლა“, „ნატახტარი“, „ნაბედლაგი“, „ლიკანი“ და ა.შ.) ჩამოსხმული ე.წ. „შინაური არყის, კონიაკის, ლიქიორის თუ სხვა მაგარი სპირტიანი სასმელების რაოდენობაც.

ვანომ თავისი მეგობრებისგან შეიტყო, რომ ქალაქში მრავალი ადგილი იყო, სადაც იყიდებოდა „შინაური“ კონიაკი და რაც ყველაზე თვალში მოსახვედრი იყო – ერთიდაიგივე ადგილზე ე.წ. „შინაური“ კონიაკი ჩამოსხმული იყო სხვადასხვა იარლიყიან ბოთლებში, რაც ერთხელ კიდევ უმყარებდა ვანოს იმის რწმენას, რომ აუცილებელი იყო გამოყენებული ბოთლების მოჭყლეტა.

და ასე გაგრძელდა კიდევ დიდხანს, სანამ ვანოს პირად ცხოვრებაში არ მოხდა საოცარი რამ.

ერთხელ ფანჯრიდან შეამჩნია ქუჩის მოპირდაპირე მსარეს მდგარ სანაგვე ურნებში როგორ იქექებოდა მადალი ტანის ქალბატონი და როგორ აგროვებდა პოლიეთილენის ბოთლებს სპეციალურად შერჩეულ დიდ ტომარაში. გაახსენდა მეუღლის რჩევა-დარიგება და უხაროდა, რომ ერთგული იყო წამოწყებული იდეის.

მომდევნო დილით, აიგანზე სავარჯიშოდ გასულმა კვლავ შეამჩნია „ის“ ქალი (ზაცმულობით და რაც უფრო მიმზიდველი იყო – აღნაგობით იცნო). ამიტომაც ჩაშტერებული აკვირდებოდა მისი ხელების ყოველ მომრაობას. „იმ“ ქალმა რამდენიმე ბოთლი ჩააგდო ტომარაში და გაუყვა გამზირს სხვა ურნებისკენ.

დრო გადიოდა, გაზაფხული ახლოვდებოდა, აიგანზე სუფთა ჰაერზე დილის ვარჯიში სასიამოვნო გახლდათ,

მითუმეტეს, რომ ვანოს ახალი ინტერესის საგანი გაუჩნდა „იმ“ ქალის სახით, რომელიც დაახლოებით დილის ცხრა საათზე იწყებდა ქექვას ვანოს „ცხვირწინ“ მდგბარე ნაგვის ურნებში და სამი-ოთხი ბოთლის „მოყუჩების“ შემდეგ ჩვეულებრივ განაგრძობდა გზას სხვა ურნებისკენ.

ვანო იმდენად შეეჩვია „იმ“ ქალის გამოჩენას, რომ მისი დაგვიანების შემთხვევაში უკვე ნერვიულობდა. გუნებაში თითქოს თანაუგრძნობდა მას. ფიქრობდა – რაკი ბოთლებს აგროვებდა და ისიც თითქმის ყოველდღიურად, ე.ი. რაღაცაში აქტიურად იყენებდა ნახმარ ბოთლებს და რა შეიძლება ყოფილიყო ეს „რაღაც“?! რა თქმა უნდა სადღაც მათი ჩაბარება გამორჩენის მიზნით... ე.ი. ყოველდღე ურნებიდან ამოღებულ და შეგროვებულ ბოთლებს „ის“ ქალი სადღაც (ვიდაცას) აბარებს და იდებს შემოსავალს?! ეს ფიქრი სტანჯავდა ვანოს და დამით ძილს უფრთხობდა ერთის შხრივ იმის წარმოდგენით, რომ „იმ“ ქალს სხვა შემოსავალი არაფერი აქვს და მეორე მხრივ კი ის, რომ ქალი სჩადიოდა დანაშაულს, რასაც საშინელი ტრაგედია შეიძლება მოჰყოლოდა.

გავიდა კიდევ რამდენიმე კვირა. „ის“ ქალი პედანტური სიზუსტით ცხადდებოდა „სამუშაო“ ადგილზე და ჩვეულებრივი მოწადინებით აგროვებდა და მიქქონდა სადღაც მრავალთა მიერ ნახმარი პოლიეთილენის ბოთლები.

შეეცოდა ვანოს „ის“ ქალი, რომელიც იძულებული იყო შეგროვილი ბოთლების შემდგომი „რეალიზაციის“ გზით ერჩინა თავი.

ვანომ გადაწყვიტა ასდევნებოდა „იმ“ ქალს და ბოლომდე გაერკვია ვითარება. იმასაც კი ფიქრობდა, რომ იქნებ რაიმეთი დახმარებოდა და ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა მისთვის რაიმე სამუშაო და ა.შ. იმასაც კი ფიქრობდა, რომ შეეთავაზებინა მისი უქალოდ დარჩენილი სახლ-

კარის მოვლა-პატრონობა გარემოული ანაზღაურების სანაცვლოდ.

ვანო განაგრძობდა ტვინის ჭყლებას: „...ალბათ, მარტოხელაა, ჩანს, რომ ძალიან უჭირს, თვეებია ერთიდაიგივე ტანისამოსით დადის... პირსახე ახვეული აქვს რაღაც ფერადი შარფით და როგორდაც ცდილობს, რომ რაც შეიძლება ნაკლებმა გამვლელ-გამომვლელმა შეიმჩნიოს მისი ქმედებები.“

მოკლედ, დაიტანჯა კაცი უამრავი პასუხებაუცემი შეკითხვით და ერთ დილით, გამოჩნდა თუ არა „ის“ ქალი, ჩაირბინა კიბეები, გადაკვეთა გამზირი და შორი-ახლოდან დაუწეულ თვალთვალი...

ისევ შარფით ჰქონდა ახვეული სახე ისე, რომ მხოლოდ თვალებიდა უჩანდა... ჩვეულებრივი მოძრაობებით ადმონიანი სამი-ოთხი ცარიელი ბოთლი, ჩაგდო სწრაფი მოძრაობით დიდ ტომარაში, ერთი კი გამოხედა ვანოს და სასწრაფოდ გაეშურა შემდეგი ურნებისკენ.

ვანომ ვერ გაბედა ახლოს მისვლა და გამოსაუბრება, არადა, ჰკლავდი მისი გაცნობის სურვილი. ვანოს მოეხვენა, რომ „ის“ ქალი გამოირჩეოდა მიმზიდველი გრაციით და „მისი საქმიანობის“ სწრაფი შესრულებით.

დიდხანს უცქირა სწრაფად მიმავალს და ერთხელ კიდევ მოეწონა მისი მაღალი ტანის მიხვრა-მოხვრა.

სამი-ოთხი დღის განმავლობაში სდია ფეხდაფე „იმ“ ქალს და დაიმახსოვრა მისი გადაადგილების მარშრუტი. სტალინის სახელობის გამზირიდან „ის“ ქალი მიდიოდა ჭავჭავაძის ქუჩაზე და საბოლოოდ ოცამდე სანაგვე ურნის მოჩხრეკის შემდეგ ნახმარი ბოთლებით თითქმის სავსე ორი ტომრით მიდიოდა ქალაქის გარეუბნისკენ ეწ. კომბინატის დასახლებისკენ.

ერთ მშვენიერ დღეს ვანომ გადაწყვირტა გასაუბრებოდა „იმ“ ქალს. ხუთი-ექვსი ბოთლი (მოუჭყლებავად) ჩადო პარკში და ჩაირბინა კიბეები. თავზე წაადგა ურნაში გადაყუდებულ აშხვართულ სხეულს და ჩაიბურტყუნა – აი, შემოგინახეთ... თუ არ მიწყენთ, მოგიგროვებთ

ხოლმეო... ძლივს დაამთავრა სათქმელი, ახლოს დაუდო პარკი და სწრაფად გაეცალა... ერთი კი მოასწრო და ინტერესით ჩახედა თვალებში...

საოცრად ლამაზი, ცისფერი თვალები ჰქონდა „იმ“ ქალს და არამარტო... მისი თვალები გადმოსცემდნენ გაჭირვებული აღმამინის მზერას და კიდევ, რაც მოწმვნა განოს – გაოცებას, რომ გამოჩნდა ვიღაც მადლიანი კაცი და შეუგროვა და გადასცა მას რამდენიმე ცარიელი ბოთლი...

ვანომ სწრაფად აირბინა სახლში, გავარდა აიგანზე და გაიხედა იქით, საითაც უნდა წასულიყო „ის“ ქალი...

ცისფერთვალება მიჰფარებოდა მხედველობის ზღვარს. ვანოს ხვალინდელი დილა ეგულებოდა იმედად და მთელი დღე-ღამე ფორიაქში გაატარა.

უდალატა თავის სიტყვას და ჩანაფიქრს და დაიწყო პოლიეთოლენის ცარიელი ბოთლების შეგროვება „იმ“ ქალისთვის გადასაცემად; „იმ“ ქალისთვის, რომლის ნახვასაც ყოველდილით მოელოდა მოუთმენლად. ყოველივე ამის გარდა, ვანო არ ივიწყებდა თავისი დაინტერესების მთავარ მიზანს – გაეგო, მიდიოდა თუ არა ნაგვის ურნებიდან შეგროვებული ბოთლები ალკოჰოლური სასმელებით მოვაჭრებოთან, რომელთა რაოდენობაც საქმაოდ გაიზარდა მთელი ქალაქის მასშტაბით.

ვანოს სტუმართა რაოდენობაც იზრდებოდა და „იმ“ ქალისთვის შესაგროვებელი ბოთლების რაოდენობაც. ვანოს პირად ცხოვრებაში კი „იმ“ ქალმა დაიკავა რაღაც ისეთი ადგილი, რამაც დაუკარგა მშვიდი ცხოვრების ელფერი და გამოუღვიძა თითქოს მიუჟებული მამაკაცური ინსტიქტები.

რამდენიმე თვის შემდეგ, ერთ-ერთი შეხვედრისას და შეგროვებული ბოთლების გადაცემისას, ვანომ გაბედა და შესთავაზა „იმ“ ქალს – ამოდით ჩემთან, ერთად ვისაუზმოთ... აი, იქ ვცხოვრობო, უთხრა და ხელი გაიშვირა თავისი აიგნისაკენ...

„ის“ ქალი თითქოს ელოდაო ამგვარ შეთავაზებას,

დიდხანს არ უფიქრია და ტომრებს დახედა – ამას რა ვუყოო...

მაგას მე მოვუვლიო, წარმოსთქვა სიხარულით, დაავლო ხელი ტომრებს და სოხოვა – გამომყევიო. შეუძღვა ეზოში, შეიყვანა ავტოფარექში, იქ დატოვეს სავსე ტომრები და ავიდნენ ვანის ბინაში მესამე სართულზე.

პირველი, რაც „ის“ ქალმა გააკეთა, ის იყო, რომ გამოაღო გზისპირა აივნის კარი და გადახედა ნაგვის იმ ურნებს, რომლებშიც იქქებოდა ხოლმე ლამის ყოველ დღე.

ვანომ სახელდახელოდ გააწყო სუფრა და გულით მიიპატიჟა სასაუზმედ. „ის“ ქალი ცოტა შეყოვნდა და ითხოვა – თუ არ შეწუხდებით და შეგიძლიათ, იქნებ თავი დამაბანინოთო.

ვანო ჯერ დაიბნა, მაგრამ მალე მოვიდა აზრზე და აბაზანისაკენ წაიყვანა...

ქალმა მოიხსნა შარფი, გაიხადა ზედა თბილი ჩასაცმელი, გაშალა თმები, გამოაჩინა ნახევრად შიშველი მკერდი, გადაიხარა წელში და უთხრა ვანოს – დამასხი წყალიო.

ვანო გაქავებულივით იდგა ერთ ადგილზე და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა – იმდენად იყო მოჯადოებელი ქალის სილამაზით. ასეთი მიმზიდველი ქალი დიდი ხანია არ ენახა ვანოს და მოულოდნელობისგან სულ დაავიწყდა ყველაფერი...

ქალმა შეიმშრალა თმები, მოიყვანა თავი წესრიგში და საოცარი ღიმილის თანხლებით მიუჯდა მაგიდას ვანოს პირდაპირ.

ტყბილ და თბილ ატმოსფეროში ისაუზმეს, ისაუბრეს, ისიამოვნეს... დიდიხნის ნაცნობებივით ჭუბჭუკებდნენ და ისე გაშორდნენ ერთმანეთს, რომ ვანოს აღარც კი გახსენებია პოლიეთილენის ბოთლები.

ნელა, მაგრამ მაინც ყალიბდებოდა ახლო მეგობრული ურთიერთობები, საკმაოდ გაუშინაურდნენ ერთმანეთს და უკვე საოჯახო წვრილმანებზეც კი უწევდათ საუბარი.

ერთ-ერთი შეხვედრის დროს, ოდნავ შეზარხოშებულ-

მა ვანომ წამოიწყო საუბარი მამაკაცურ-ქალურ ურთიერთობებზე და შეცადა კალთაში ჩაესვა „ის“ ქალი, მაგრამ უკვე კარგად მოშინაურებულმა სტუმარმა ხელი შეაშვებინა და ვნებიანად უთხრა... „მძიმე სენი მჭირს, მოვრჩები და მერე შენი ვიქნებიო...“

ვანომ თავი შეიკავა შემდგომი მოფერებისაგან, თუმცა გატანჯა ფიქრმა – ნეტავ, რა სენი სჭირსო.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, საუზმის დროს, ვანომ გაიხსენა თავისი უმთავრესი მიზნის შესახებ და წამოიწყო საუბარი ცარიელ ბოთლებზე...

შეამჩნია, რომ ქალს არ სიამოვნებდა აღნიშნულ საკითხზე საუბარი, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებდა იმას, რომ ქალი გარკვეულ შემოსავალს იღებდა უკვე გამოყენებული ბოთლების რეალიზაციით, ოდონდ სად და როგორ – ის იყო გასარკვევი.

ერთხელ ქალმა დაღონებულმა უთხრა ვანოს: „...რა ვქნა, ჩემო ვანო... კომუნალურ გადასახადებს ვერ ვიხდი და ჩაჭრილი მაქვს ყველაფერი – სინათლეც, გაზიც და წყალიც და ა.შ. აბა, მითხარი, უწყლოდ როგორ გავძლო... პოდა ჭურჭელს ვაგროვებ, რომ მეზობლებისაგან წყალი მოვიმარავო...“

შეეცოდა ვანოს უკვე საკმაოდ გაშინაურებული უცნობი ქალი, მაგრამ სიცრუე რომ შეამჩნია – ცოტა არ იყოს იწყინა და გამომწვევად შეეკითხა: კი, მაგრამ, რით ვერ შეაგროვე 300-400 ბოთლი, რაშია საქმეო?! უკვე წელიწადზე მეტია თვალყურს გადევნებო...

ძალიან გთხოვ, მითხრა, რას უშვრები ამდენ ბოთლს, ვისთან მიგაქვს და ვის აძლევ საშუალებას, გამოიყენოს ნახმარი, ურნებში გადაყრილი ბოთლები?!

არ მოეწონა ქალს ვანოს ხმის ტონალობა, მადლობა მოუხადა, ჩაიცვა და წაგიდა...

ვანომ მეორე დილით ვედარ შეამჩნია „ის“ ქალი მოპირდაპირე ტროტუარის ურნებთან... ვერც მეორე დღეს და ვაღარც მომდევნო მრავალი დღის განმავლობაში. „ის“ ქალი გაქრა ვანოს მხედველობის არეალ-

იდან – არც ტელეფონი, არც მისამართი, არც გვარი... მხოლოდ სახელი იცოდა ვანომ – ეველინა... მორჩა და გათავდა... დაიხურა ვანოს ცხოვრების კიდევ ერთი ფურცელი; ფრიად საინტერესო და ფრიად უცნაური... მხოლოდ ის შემორჩა ვანოს მექსიერებას, რომ ეველინამ ერთხელ ახსენა შინდისის გზატკეცილზე მდებარე მაღლივი კორპუსები, სავარაუდოდ მისი საცხოვრებელი მიკრორაიონი.

ბევრმა კვირამ და ოვერ გაიარა, უამრავჯერ გაიხედა ვანომ იმ ურნებისაკენ, სადაც ეველინას ხედავდა ხოლმე, მაგრამ ამაოდ... სამუდამოდ გაქრა ეველინას კვალი ვანოს ცხოვრებიდან.

მმაკაცები კი ტრადიციულად იკრიბებოდნენ ვანოსთან და განაგრძობდნენ უკვე შერჩეული და შეჩვეული წესით ცხოვრებას. ვანომ, მეგობრებისგან დაფარულად, დაიწყო პოლიეთილენის ბოთლების შეგროვება და იმ ურნებოან ტროტუარზე სდებდა სავსე პარკს შიგ ჩადებული სუფთა ქაღალდით, რომელზეც ეწერა მსხვილი შრიფტით „ეველინას“, რომელიც გარკვევით ჩანდა გამჭვირვალე პარკში.

ვანომ არ იცოდა – ვინ იდებდა იმ ბოთლებს, მაგრამ ეველინა მას აღარ უნახავს. ვანოს კვლავაც მოსვენებას არ აძლევდა ბოთლების ამბავი.

ერთი საინტერესო იდეა მოუვიდა თავში და შეუდგა მის განხორციელებას. გადაწყვიტა ალკოჰოლიანი სასმელისთვის სახლში მოვაჭრეთა მიერ გამოყენებული პოლიეთილენის ბოთლების იარლიფებზე შეუმნიველ აღგილზე ფლომასტერით ჩაენიშნა რაიმე შერჩეული, მხოლოდ მისთვის ცნობილი კოდური სიმბოლო-ნიშანი და დალოდებოდა სუფრაზე ასეთი ბოთლის გამოჩენას.

ასეც მოიქცა, ყველა ბოთლს ადებდა ნიშანს და ისე აგდებდა ნაგვის ურნაში – აღარც ეველინა ახსოვდა აღარც ფიცი. დაივიწყა ყველაფერი. ჰკლავდა ერთი აზრი – გაეგო სახლში მოვაჭრენი რა ბოთლებს იყენებდნენ...

პურმარილები გრძელდებოდა, ახალ-ახალი სტუმრები ემატებოდნენ ვანოს უქალო ოჯახს, იზრდებოდა პოლიეთოლენის ბოთლების რაოდენობაც, მათ შორის კოდირებულებისაც და ასე გადიოდა დრო, საინტერესო ამბების გაზიარებასა და სამაგიდო თამაშებით გართობაში.

მას შემდეგ, რაც ეველინა „გაქრა“ პორიზონტიდან, თოთქმის ერთი წელი გავიდა, ასევე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ვანო ურნებში პყრიდა „კოდირებულ“ ბოთლებს, მაგრამ ამაოდ...

ერთხელაც თავის თავს უსაყვედურა ვანომ – რას ჩავაცივდი იმ ეველინას... ის ხომ ერთადერთი არ იქნება ამხელა ქალაქში... ვინ იცის, რამდენი „ეველინა“ იქცება ნაგვის ურნებში და რამდენი ეძებს და აბარებს ბოთლებს...

დრო გადიოდა და სამწუხაროდ ურნებში საკვების ნარჩენებისა და ცარიელი ბოთლების მაძებარ-შემგროვებელთა (ძირითადი ქალების) რაოდენობაც დღითიდღე მატულობდა, ეს შეიმჩნეოდა ყოველდღიურად და ყველა ქუჩაზე.

ვანოს ოჯახში კი პურმარილები გრძელდებოდა და თანამოსუფრეთა სიმრავლეც აშკარად ჩანდა.

ერთხელაც უხუცესი სტუმრის ოთხმოცი წლის ადსანიშნავი სუფრა გაიშალა ვანოს ოჯახში. უამარავი სტუმარი ეწვია მასპინძელს. უამრავი ბოთლი გ.წ. შინაური კონიაკი მოიგანეს თანამოსუფრეებმა და ხმაურით შემოუსხდნენ გრძელ სუფრას.

არის... არის... წამოხტა ვანო ფეხზე და ხელში ათა-მაშებდა პეპსი-კოლას ნახევარლიტრიან ბოთლს... ჩაშტერებული ჩასცექროდა იარლიყს და ხმამაღლა ყვიროდა – არის, არისო...

ისეთი აურზაური და ხმაური ატეხა, გეგონებოდათ ოკეანის გადალახვისას ახალი კუნძული აღმოეჩინოს...

არის, არისო, ყვირილით ამცნო სუყველას თავისი „აღმოჩენის“ შესახებ და თან „ჯადოსნურ“ ბოთლს ათ-ამაშებდა ხელში...

„მართალი ყოფილა ჩემი მეუღლეო... ნათელში იყოს მისი ხსოვნა... ამიერიდან ჩემგან არცერთი ბოთლი არ მოხვდება ურნებში მოუჭყლეტავადო“, შეჰდალადებდა თანამოსუფრეებს და მათაც ამისკენ მოუწოდებდა.

მეგობრები გაოცებულები შეჰყურებდნენ ვანოს... ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა.

როცა ვანომ მოუყვა მათ, რაც მოხდა და აჩვენა ბოთლზე „თავისი“ დასმული კოდ-სიმბოლო, ყველამ პირი დაალო გაოცებისგან, აგინეს ე.წ. „შინაური“ კონიაკის გამყიდველებს და ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებსაც.

მერე კი უსაყვედურეს ვანოს, რომ უდალატა თავის იდეას და მოუჭყლეტავ ბოთლებს ყრიდა ურნაში, მაგრამ მარტო ვანო იქცეოდა ასე, ან ვანა მარტო ეველონა აგროვებდა და აბარებდა ბოთლებს?!.

ეველინა, ისევ ეველინას სახელი ამოტივტივდა ვანოს გონებაში.

ნეტავ, როგორ არის, მოირჩინა რადაც სენი... იქნებ მუშაობა დაიწყო და საარსებო წყარო გამონახა... იქნებ, იქნება.

გაახსენდა ვანოს მშვენიერი ქალი და გული ეტკინა, რომ უდირსად მიატოვა... თუმცა, რა ექნა – ეველინამ თვითონ მოისურვა განშორება.

ნეტავ, სად არის, როგორ არის... არ ასვენებდა ფიქრი და დაიწყო მისი ძებნა.

სამი-ოთხი თვის განმავლობაში დაბორიელაბდა სავარაუდო მაღალკორპუსიანი სახლების ეზოებში და დაეძებდა სახელითა და გარეგნული ნიშნებით.

ერთხელაც, ერთ-ერთი მაღლივი კორპუსის ეზოში ვანო შეაჩერა ორმა ქალმა, რომლებმაც უთხრეს – უკვე მესამედ გნახეთ ამ ეზოში და ვეღარ მოვითმინეთ, რომ არ გითხრათ – თქვენ რომ ქალს დაეძებთ, სახელად ეველინას, ადარ არის ცოცხალი. მარტოხელა ქალი მეზობლებმა მივაბარეთ მიწას დაახლოებით ერთი წელი იქნებაო. მძიმე ავადმყოფობამ მოუღო ბოლო, ნაღვლი-

ანად ამცნეს ვანოს ეველინას მეზობელმა ქალებმა და დაქმუშიდობნენ.

სულიერად განადგურებული ვანო ბარბაცით გაემართა სახლისკენ იმედით, რომ ხვალ ან ზეგ მეგობრებს დაწვრილებით მოუყვებოდა ეველინას შესახებ.

რაც შეეხება ფიცს – გაიხსენა და ჩაიფიქრა, რომ ამიერიდან არცერთ ბოთლს მოუჭყლეტავად აღარასოდეს ჩააგდებდა ნაგვის ურნებში და თავისთვის ჩაიბურტყუნა – „...მაპატიეთ, ჩვენო ძვირფასო და გაჭირვებულო ქალბატონებოო“...

## უნიკალური ნიკაპი

მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ათამდე ხანდაზმულ პენსიონერ მამაკაცს, ერთ-ერთის ავტოფარექის შორეულ კუთხეში მოწყობილი ჰქონდათ გასართობი კუთხე, სადაც თითქმის ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ და ერთობოდნენ სხვადასხვა თამაშობებით (ნარდი, დომინო, ჭადრაკი, ბანქო) და წარსულის თუ აწყოს საინტერესო ამბების მიმოხილვით, საკუთარი შეხედულებების ურთიერთგაზიარებით და აუცილებლად ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების თავისებური ანალიზით.

ხშირად მათი შეხვედრები მთავრდებოდა იქვე ბურის პირას გაშლილი თათარიახნი სუფრით, სადაც თოთოვეული მათგანი მაქსიმალურად ცდილობდა წარმოეჩინა თავისი მხატვრულ-მუსიკალური შესაძლებლობები, რაც დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა მეზობლების მხრიდან.

შემოდგომის ერთ საღამოს ჩვეულებრივ შეიკრიბნენ ვანოს ავტოფარექში და დაიწყეს ფუსფუსი სუფრის გასაწყობად. ასაკით ყველაზე უფროსმა ნიკომ უთხრა მეგობრებს, დღეს ძალიან საინტერესო ამბავი უნდა მოგიყვეთ და იმედი მაქს, ყურადღებით მომისმენო.

ნახევარი საათის შემდეგ უპავ ჭიქები ეჭირათ და ილოცებოდნენ. ბუხარში კი შიშხინებდა მწვადი.

და მოუყვა ნიკო თავის უახლოეს მეგობრებს, მართლაც რომ საინტერესო ამბავს:


„ორიოდე თვის წინ, ჩემმა უმცროსმა შვილიშვილმა გადაშლილი წიგნი მომაწოდა და მეკითხება – ეს რა ასოაო. ჩემი დაქვეითებული მხედველობით დაგხედე ნახატებიან წიგნს და ვუპასუხე, ეს არის ბერძნული ასობგერა „ომეგა“ მეთქი. იქვე მდგომა უფროსმა შვილიშვილმა, ცოტა არ იყოს გაღიზიანებულმა მომაძახა, წიგნი უკუდმა გიჭირავს, შემოატრიალეო.“

შემოვატრიალე წიგნი და ვნახე, რომ საქმე გქვონდა ქართულ ასობგერა „ო“-სთან. იმის მერე ტვინს ვიჭყლებავ, ნეტავ როგორ მოხდა, რომ არსებობს ორ სხვადასხვა დამწერლობას შორის ასეთი მსგავსება-მეთქი. მაგრამ, რას ვიზამთ, ფაქტი სახეზეა“.

ნიკომ ცოტა შეისვენა, ჭიქა მოსვა და გააგრძელა: „...მთავარი რამ კი გუშინ სადამოს მოხდა. ტელევიზორს ვუცეკეროდი და უცბათ შევამჩნიე ასობგერა „ომეგას“ მკვეთრი და საკმაოდ დიდი გამოსახულება ვიდაც პოლიტიკოსის ნიკაპზე. მაშინვე გადავახვიუ, დავაპაუზე კადრი და გადავიდე“.

ჰოი, საოცრებავ – ვიდაცის ნიკაპზე აშკარად გამოისახა „ომეგა“. სხვათაშორის, ჰგავს ლათინურ „დუბლეგსაც“. აი, ნიკაპიც ასეთი უნდაო, ნიშნისმოგებით გამოეხმაურნენ სხვები და გაოცებულებმა გააგრძელეს ლხინი.

ნიკომ კი შემდეგი სადღეგრძელო მიირთვა და განაგრძო: „...რა თქმა უნდა, გამიკვირდა ასეთი ნიკაპის ნახვა; მერე გამახსენდა ჩემი უფროსი შვილიშვილის სიტყვები – შე-



მოატრიალე წიგნიო. პოდა, მეც შემოვატრიალე და მივიღე ქართული ასობგერა „ო“ (ონ).“

მართლაც რომ საოცრებაა, რაც გინახავს და რასაც ჰყები – შეეხმიანა ნიკოს სუფრის ერთ-ერთი წევრი. თამადამ კი ისარგებლა მოკლე პაუზით და შემდეგი სადღეგრძელო შესთავაზა დამსწრებელს.

„მინდოდა მეზობლების სადღეგრძელო შემესვა, მაგრამ ნიკოს მოყოლილმა ამბავმა და ნანახმა სურაომა მიკარნახა შემოგთავაზოთ საოცრებებით ადსავსე ჩვენი სამყაროსა და ცხოვრების სადღეგრძელო“. ნიკომ კი დვინის მწვადის ნაჭერი მიაყოლა და გააგრძელა:

„...ეს ყველაფერი როდია... აბა, კარგად მომისმინეთ. ეხლა ავიღოთ ამ უცნაური ნიკაპის ნახაზი და წამოვაყენოთ „ფეხზე“ მარჯვნიდან მარცხნივ, მივიღებთ

### 3

რაც ძალიან ჰგავს ქართულ ასობგერას „პ“-ს (პარ) და „ვ“-ს (ვინ).

ახლა მოვსინჯოთ და იგივე სიმბოლო წამოვაყენოთ „ფეხზე“, ამჯერად მარცხნიდან მარჯვნივ, მივიღებთ

### 4

რაც, ძალიან არა, მაგრამ მაინც, წააგავს ბერძნულ ასობგერა „ეფსილონს“.

სუფრის წევრებმა გაოცებულებმა გადახედეს ერთ-მანეთს, ნიკოს კი შეუქქეს დაკვირვებულობა.

თამადა ფეხზე წამოდგა, დიდი ჭიქა შეივსო და რაღაცნაირი ხაზგასმული სიამაყით წარმოსთქვა:

„...საქართველოს და ქართველობას გაუმარჯოს... ასეთი ნიკაპის პატრონებს ვერავინ ვერაფერს დაგვაკლებსო“.

## აუტი კედლიდან

იდგა 1962 წლის შემოდგომა. ქალაქში მიმდინარე იბდა წარმოება-დაწესებულებების სპორტული კოლექტივების საპრტაკიადა, მათ შორის კალათბურთელთა გუნდებს შორისაც.

ჩვენი მოთხოვობის გმირი, თედო, წევრი იყო კვლევითი ინსტიტუტის კალათბურთელთა გუნდისა. იგი არ გამოირჩეოდა სიმაღლით, მაგრამ წარმატებას ხშირად აღწევდა საოცარი სისწრაფისა და ბურთის კალათში ტყორცნის თუ გადაწოდების დროულობისა და სიზუსტის წყალობით.

სპარტაკიადის გახსნამდე ერთი დღით ადრე პედაგოგიური ინსტიტუტის დახურულ დარბაზში ბოლო ვარჯიშებს ატარებდნენ კვლევითი ინსტიტუტის, საკონსერვო ქარხნის, პურკომბინაციის და სხვა წარმოება-დაწესებულებების კალათბურთელები. აქვე ფუსტუსებდნენ პედინსტიტუტის სპორტის კათედრის თანამშრომლები, მწვრთნელები, მსაჯები და სხვები.

მწვრთნელები გასცემდნენ საბოლოო მითითებებს, ხელწავდნენ ამათუმდე კომბინაციებს, არჩევდნენ გამთამაშებელ წყვილებს, ამოწმებდნენ საჯარიმო სროლების ტექნიკას და ა.შ.

მოკლედ, „დუღდა და გადმოდიოდა“ სასპარტაკიადო სამზადისი.

საღამოსკენ ნელ-ნელა იცლებოდა დარბაზი. მომდევნო დღეებში წარმატებული გამოსვლების იმედით აღსავსენი სახლებში ბრუნდებოდნენ ინტენსიური ვარჯიშით დაღლილი კალათურთელები.

პატარა ჯგუფი კვლავ განაგრძობდა ბურთის „წვალებას“, როცა ატყდა რაღაც ჩოჩქოლი და ხმაური... ვნახოთ, ვნახოთოთ...

თედომ იცნო მოკამათენი. ისინი ლუდ-ლიმონათის ქარხნის კალათბურთელები იყვნენ. ერთი მათგანი კი, საკმაოდ აყლაყუდა გარეგნობის, რომელიც ყველაზე

მეტს ხმაურობდა და ხელებს იქნევდა – თედოსთვის უცნობი იყო... იკითხა და უთხრეს, რომ პედინსტიტუტის გუნდის ახალი მწვრთნელია და იმავდროულად მსაჯთა კოლეგიის წევრიცო.

კამათი კი ეხებოდა ყველასთვის საინგტენიურებო საკითხს – ვინ მეტ ბურთს ჩააგდებდა კალათში სასროლი წერტილიდან.

იცნობდნენ რა თედოს სნაიპერულ შესაძლებლობებს, იმ უცნობს მიუთითეს მასზე სიტყვებით – „თუ ბიჭი ხარ, იმას გაეჯიბრე, ვნახოთ ერთი, რისი თავი გაქვსო“...

თედომ დაიწყო სამზადისი. ერთ-ერთი მმაკაცი მივიღა და მასთან და ყურში ჩასხურჩულა – არ შეგვარცხვინო, ნიძლევები გავაქს დადგებული, ლუდი და „ტკაცუნა“ სოსისი შენც შეგ ხვდებაო.

უცნობმა აყლაყუდამ ირონიულად გაიხედა თედოსკენ და ხმამაღლა წარმოსთქვა – „ამან როგორ უნდა მაჯობოს, მხრებამდე ვერა მწვდებაო“...

თედოს გუნებაში ჩაეცინა და აყლაყუდას გასაღიზიანებლად წარმოსთქვა: „საჯარიმოდან კალათში ბურთის ჩაგდებას აყლაყუდობა სულაც არ სჭირდებაო...“ უცნობი გაღიზიანდა და მკვახედ მიაძახა – მიდი, დაიწყეო... არა, შენ დაიწყე, ვნახოთ, ათი სროლიდან რამდენს ჩააგდებო... არა, შენაო...

ჩაერივნენ ნიძლევის დამდებნი და ააგდეს „არიოლი და რეშკა“. დაწყება წილად ხვდა უცნობ აყლაყუდას, რომელიც გამომწვევად გაიფეორა სასროლე ნიშნულზე და მკვახედ მიაძახა დამსწრეთ – ბურთი მომაწოდეთ ხოლმეო. თედომ და აყლაყუდამ ხელი ჩამოართვეს და სანაძლეოს გათამაშების პროცესიც დაიწყო.

აყლაყუდამ ათი ნასროლიდან კალათში ბურთი მოათავსა შვიდჯერ და თავის უკმაყოფილო ქნევით გაემართა სკამისკენ.

თედომ ათი სროლიდან მიზანს მიაღწია ცხრაჯერ. გაისმა ტაშის ხმა და აღტაცების შეძახილები... აყლაყუდა გაბრაზებული წამოხტა, ერთი თქვენიცო... დაიქადნა

და სწრაფი ნაბიჯებით წავიდა გასასვლელისკენ.

„ლუდი, ლუდიო“... სტენა-სტენის ხმებში მიაძახეს აყლაყუდას, რომელმაც, როგორც იტყვიან ხოლმე, კუდა-მოძუებულმა სასწრაფოდ დატოვა სპორტული დარბაზი. დარჩენილებმა კი შეაქეს თედო და მიულოცეს გამარჯვება... ხვალ ვაკისრებინებთო წაგებულს, ხომ გიყვარს ლუდი და „ტკაცუნა“ სოსისიო... უთხრეს ეს და გულიანად იხარხარეს.

მეორე დღეს, თორმეტ საათზე, საზეიმო მუსიკის ფონზე, ოფიციალურად გაიხსნა სპარტაკიადა და პირველი ოფიციალური სპორტული შეჯიბრი იყო კვლევით ინსტიტუტისა და სამამუნებლო ტრესტის კალათბურთელთა გუნდების შეხვედრა.

გამოვიდნენ გუნდები მოედანზე. ადგილობრივი რადიოქსელით მაყურებლებს გააცნეს გუნდების შემადგენლობები, მათი მწვრთნელები და მსაჯთა კოლეგიისა და უშუალოდ გასამართი მატჩის მსაჯების გვარ-სახელები.

მოედნის ცენტრში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ მოპაექრე გუნდები, მიესალმნენ ერთმანეთს, გაცვალეს სამახსოვრო ვიმპელები და გაიშალნენ მოედანზე თამაშის დაწყების სასტენის ხმამდე.

სასტენის კი ჩაპერა და თამაშის დაწყება აუწყა მაყურებელს იმ აყლაყუდამ, რომელიც თედომ გუშინ, რომ იტყვიან, საქვეყნოდ შეარცხვინა.

არ ელოდა თედო თავისი ყოფილი მეტოქის ამ ამპლუაში მოვლინებას. რადაც არასაამო გრძნობამ დაისადგურა მის განწყობილებაში, მაგრამ მალევე მოიკრიბა ძალები და სრულად განეწყო თამაშის მოსაგებად.

თედოს გუნდში მთავარი „დამრტყმელი“ ძალა იყო ორი მეტრის სიმაღლის მერაბ ოქროპირიძე, რომელსაც ძალიან მაღალი ახტომის გარეშეც შეეძლო კალათში ბურთის ჩაგდება; მთავარი იყო მისთვის დროულად მიეცათ ზუსტი პასი, რასაც ბრწყინვალედ ართმევდა თავს წარმოუდგენელი სისწრაფით მოქმედი თედო. ძნელი იყო ამ წყვილის შეჩერება.

აი ახლაც, საამშენებლო ტრესტის გუნდს დიდი უპირატესობით ამარცხებენ კალევითი ინსტიტუტის კალათბურთელები და ისევდაისევ გიგანტი მერაბ ოქროპირიძისა და ელვისებური სისწრაფის მქონე თედოს ერთობლივი მცდელობისა და გარჯის წყალობით.

უკელაფერი ისე მიდიოდა, როგორც თედოს გუნდს აწყობდა. მოწინააღმდეგეს ამარცხებდნენ დიდი ანგარიშით და მათი საბოლოო გამარჯვებაც აღარ იწვევდა ეჭვს, რომ არა მოულოდნელი რამ, რაც აყლაყუდა მსაჯის ქმედებებით იყო განპირობებული.

ჯერ იყო და თედოს მისცა სიტყვიერი შენიშვნა – მაისური ნუ გაქვს ამოჩაზული, კარგად ჩაიტენე ტრუჟებშიო... მერე ორჯერ კიდევ მისცა შენიშვნა – დრიბლინგის დროს ზედმეტი ნაბიჯი გადადგიო... ცოტა ხნის შემდეგ კი აყლაყუდამ თედოს მისცა პერსონალური ჯარიმა და საქმე წაიყვანა მოედნიდან მისი გაძევების შესაძლებლობისკენ...

გაუფუჭდა ხასიათი თედოს, მაგრამ თანაგუნდელები ამხევებდნენ და უბნებოდნენ ეთამაშა მისთვის დამახასიათებელ სტილში...

რომ იტყვიან – „...შარო საიდან მოხვალო“... ასე მოხდა ამჟამადაც. აყლაყუდამ ისევ მისცა შენიშვნა თედოს – ფეხი ხაზზე გედგა, როცა აუტიდან შემოგქონდაო ბურთი.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მოთამაშები ხშირად ეხებოდნენ მოედნის გვერდით ხაზს იმის გამო, რომ მაყურებლების პირველი რიგი ძალიან ახლოს იყო სათამაშო ფართობთან. მაყურებლებიც კი ეხებოდნენ ფეხის წვერებით თეთრ ხაზს არამცოუ მოთამაშები. განსხვავება ის იყო, რომ აყლაყუდა მსაჯი თედოს გარდა სხვას არავის აძლევდა შენიშვნას.

თედოსთვის უკვე ცხადი იყო უკელაფერი. აყლაყუდას გერ ეპატიებინა თედოსთან გუშინდელი წაგება და ახლა აქ, ოფიციალურ თამაშში იყრიდა ჯავრს. უკელანაირ მიზეზს ეძებდა, რომ რამენაირად ხელი შეემალა მერაბისა და თედოს წარმატებული ტანდემისათვის.

თედო ძალიან განერვიულდა. ბურთი უვარდებოდა ხელიდან, დაკარგა გადაცემების სიზუსტე და ა.შ. მწვრთნელმა შემჩნია ყველაფერი და გადაწყვიტა შეეცვალა თედო, მითუმეტეს რომ თამაშის დამთავრებას ცოტადა აკლდა და ანგარიშში დიდი სხვაობაც იძლევოდა ამის საშუალებას.

ის იყო უნდა მიემართა მსაჯებისათვის, რომ მოხდა, მართლაც რომ, საოცარი რამ.

მსაჯმა დააფიქსირა ბურთის მოედნის გარეთ გადავარდნა ანუ აუტი. თედო მოემზადა ბურთის თამაშში შესატანად და ცალი თვალით გახედა მერაბის მოძრაობას, რომელიც უკვე უახლოვდებოდა მეთოქის კალათს. თედომ ისიც შეამჩნია, რომ იმ აღგილას, საიდანაც ბურთი უნდა შეეტანა მოედანზე, მაყურებლებს ფეხის წვერები თითქმის ხაზზე პქონდათ დაწყობილი.

თედო, საოცარი აკრობატიკული მოძრაობით, ბურთით ხელში შეახტა კედელზე დამაგრებულ ორთქლით გამათბობელ ბატარეას, ცალი ხელით მოეჭიდა ორთქლის მილს და მეორე ხელით დიდი ტრაექტორიით პირდაპირ დაუგდო ბურთი ხელის გულზე მერაბს, რომელმაც, რომ იტყვიან, ჩატენა მეტოქის კალათში.



აღტაცებული მაყურებელი წამოდგა ფეხზე და ტაშისკრით მიესალმა და აღნიშნა საოცარი რამ... მერე კი გაიხედეს აყლაყუდასკენ – რას იზამსო?!

აყლაყუდამ მძლავრად ჩასტვინა და სწრაფი ნაბიჯებით მივიდა მსაჯთა კოლეგიის მაგიდასთან. სასტვენი დემონსტრაციულად დააგდო მაგიდაზე, რაღაც წიგნაკიც მიაყოლა თან და ბურტყუნ-ბურტყუნით მიატოვა იქაურობა.

თამაშის დამთავრებას უკლდა წუთზე ნაკლები. კვლევითი ინსტიტუტის გუნდი დიდი ანგარიშით იგებდა თამაშს, რაც ბოლოს დაადასტურეს მსაჯებმა.

მერაბის ხელში აეყვანა თედო და როგორც პატარა ბავშვს, ისე ეფერებოდა და ჰკოცნიდა.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ხმა დაირხა ქალაქში – აყლაყუდას ორი წლით აუკრძალეს საკალათბურთო მატჩების მსაჯობაო.

## ერთი ერეპლე და თერთმეტი ირაკლი

დილაადრიან სამზარეულოში შესულ მიხოს გაოცებული მზერით დახვდა მეუღლე, რომელმაც მას დააყარა შეკითხვები: რა იყო, კაცო, რატომ ბორგავდი და შამფურივით ტრიალებდი ლოგინში, რატომ კვნესოდი და ბუტბუტებდი შიგადაშიგ, განა რა ნახე ისეთი...

– ეჭ, რომ იცოდე, რა ტანჯვა გადავიტანე – შემიცოდებ და მომეფერები კიდევ.

– პოდა, თქვი, შე კაი კაცო, რა მოხდა...

– მაჭამე რამე და ახლავე მოგიყვები... მანამ კი ერთი ასი გრამი ჩამომისხი...

– აჲა... ჩაცეცხლე; რაა, უამისოდ ვერ უნდა მოჰყვე, რა ნახე სიზმარში?!

გაბრაზებული კილოთი მიმართა მეუღლეს და ცხვირწინ დაუდგა არყით სავსე ჭიქა...

— ჩემო მარო, მოვხუცდი კაცი და ამის მსგავსი არაფერი მინახავს არც ცხადში და არც სიზმარში...

— პოდა, თქვი დროზე... ნერვები ნუ დამაწყვიტე.

— ...სიზმარში ვნახე ერეკლე მეუკე... საიდანდაც მოულოდნელად რაშე ამხედრებული გვეწვია... სადღაც ჩვენი ეზოს სიახლოვეს იჯდა მინდორში, იქვე იცოხნებოდა მისი ცხენიც. წარმოუდგენლად დიდი სასწორის ერთ პინაზე იყო მოკალათებული და გარემოს ათვალიერებდა დიდი ინტერესით. დამინახა თუ არა, დამიძახა და თავისთან მიმიხმო...

— კაცო, რას ამბობა... მართლა ერეკლე იყო, ჩვენი „პატარა კახი“?.. ჩემი თავი ენაცვალოს მაგასა... აი, მეფე ებ იყო, თუ იყო...

— დამაცა, ქალო, მოვყვები და მერე ვიმსჯელოთ, შეაწყვეტინა მიხომ მეუღლეს და გააგრძელა:

— მუხლების კანკალითა და გულის აჩქარებული ბაგა-ბუგით მივუახლოვდი... ჩემზე ბედნიერი კაცი, იმ მომენტში, არა მგონია, ვინმე ყოფილიყო მთელ ქვეყანაში...

ის იყო მუხლებზე დახოჭვას ვაპირებდი, როცა ფეხზე წამოდგა და შემეკითხა — მიცანი თუ ვერაო! თქვენ ვინ ვერ გიცნობთ, მეფევ ბატონო, თქვენი დავიწყება ან ვერცნობა ხომ შეუძლებელია... თქვენი სიკეთეებისა და თავდადების შესახებ ამბები უწყვეტ ნაკადად კვლავ გადადის თაობიდან თაობაში და კვლავაც სულდგმულობს ქართველი ერი, დიდება თქვენს სახელს...

— ჩემს ქება-დიდებას გირჩევნია თავი დაანებო და შემისრულო, რასაც გთხოვ...

მომიყვანე ვინმე ჩემი მოსახელე ერეკლე, რომელიც სასწორის მეორე პინაზე შემოჯდება და გადამწონის... მინდა, ცოტა მაღლა ავიწიო და ჩემი ქვეყნის უფრო მეტ სივრცეს მოვალო მზერა, ვნახო და გავიგო, რითი სუნთქავთ, რა გიჭირო, რა გილხინო, რას აპირებთ...

ცოტა არ იყოს, დაგიბენი, გააგრძელა მიხომ მოყოლა... სად მომებებნა მისი მოსახელე, დღეს ხომ იშვიათობაა

ჩვენში, ქართველებში, სახელი ერეკლე... თანაც, დიდი ერეკლე რომ „გადაწონოს“, ასეთის პოვნა მართლაც რომ შეუძლებლად მომეჩვნა; ძალა მოვიკრიბე და შევბედე:

— მეფევ ბატონო, სამწუხაროდ, დღეს ქართველი მშობლები ძალიან იშვიათად თუ არქმევენ შვილებს „ერეკლეს“. მიჭირს გავიხსენო ვინმე სახელოვანი ერეკლე, მით უმეტეს ისეთი, თქვენ რომ „გადაგწონო“...

გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა მეფე ერეკლეს, რომელ სახელს აკუთვნებენ მშობლები უპირატესობასო?..

გავბედე და მოვახსენე ჩემი იმწუთიერი მიგნების შესახებ — ალბათ „ირაკლის“-მეთქი, რადგანაც ჟღვანილით ძალიან ახლოს არის თქვენს სახელთან და საკმაოდ ბევრნიც არიან, მათ შორის სახელისუფლებო წრეებშიც-მეთქი.

გაკვირვების ელფერმა გადაჰქრა სახეზე ერეკლე მეფეს და მიპასუხა — კარგი, ბატონო, სასწრაფოდ მომგვარეო ერთი ისეთი ირაკლი, რომელიც ჩაჯდება მეორე პინაში, გადამწონის და მაღლა ამწევს, რათა გამიადვილდეს ჩემი ჩანაფიქრის აღსრულებაო....

ავტებე ერთი ამბავი, მივრეკ-მოვრეკე ყველგან, სადაც კი ასე თუ ისე ცნობილი ირაკლი მეგულებოდა, შევაწუხე მეგობრები, მეზობლები, სხვადასხვა უწყებები, სამინისტროები, კიმიტეტები და ა.შ.

სულ მალე გამოჩნდა პირველი ირაკლი, რომელიც წინასწარ მეხვეოდა, მეოცნიდა, მემადლიერებოდა, რომ შანსი მივეცი დიდ მეფესთან შეხვედრისა...

— არა მჭირდება შენი მადლობები და მოფერება. მიდი, სასწრაფოდ ეახელი და შეასრულე, რასაც გატყვის... მივახალე პირში და ხელისკვრით გავუშვი ერეკლე მეფისკენ. მე კი გავიქეცი ბოსლისკენ, გამოვიტანე კიბე და მივაყუდე მეორე პინის სიახლოვეს კედელზე.

დავინახე, როგორ ავიდა ირაკლი კიბეზე, ფრთხილად გადააბიჯა პინაზე და მოხერხებულად ჩამოჯდა.

მოხდა ის, რასაც შიშით მოველოდი, განაგრძო ამბის მოყოლა მიხომ. პინა, რომელშიც იჯდა დიდი ერეკლე, ადგილიდან არ დაიძრა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ირაკლი გარეგნულად უფრო დიდი გაბარიტების გახლდათ, ვიდრე ერეკლე მეორე, რომელმაც ცინიკურად გადმომხედა და გადმომძახა: სხვა ირაკლი მოყვანე, დროს ნუ მაკარგვინებ, ყურადღებით შეარჩიეო. ამასობაში ჩემს ყურთასმენას მოსწვდა რაღაც ჩოჩქოლი ეზოს შემოსახვლელის მხრიდან. გავიხედე და გავვოცდი – შენ ცოცხით ხელში იდექი და აწესრიგებდი მოზღვავებულ ირაკლების ქაოტურ ჯგუფს. უამრავი ირაკლი ადმონიდა ერეკლე მეფესთან შეხვედრის მსურველი.

მე ხელით განიშნე – გამოუშვი შემდეგი ირაკლი-მეთქი.

მალე პინას მიუახლოვდა მეორე ირაკლი და მოკალათდა პირველის გვერდით.

კვლავ არ დაიძრა ადგილიდან პინა, რომელშიც იჯდა დიდი ერეკლე; უკვე გაბრაზებული ხმით გადმომძახა – რა გემართებათ ქართველებს, რა მოგდით... ნუთუ, ვერ უნდა მოძებნოთ თქვენში ისეთი ირაკლი, რომელიც გადამწონის...

დაუძახეთ შემდეგს, ბრძანა და ჩაიძირა მოლოდინში.

იძულებული გავხდი, პინასკენ გამეგზავნა მესამე ირაკლი... სამწუხაროდ, ვერც ამჯერად დაიძრა ადგილიდან ერეკლეს პინა.

განრისხებულმა ერეკლემ ისეთი რისხვა დამატება თავს, რომ თავბედის წყევლაში გავატარე მთელი დამე... რა უნდა მექნა, აღარ ვიცოდი... ისევ დიდმა მეფემ მიკარნახა გამოსავალი...

ჩოჩქოლის ხმა მესმის ეზოდან... ეტყობა, ჩემთან შეხვედრის მსურველი ირაკლები ხმაურობენ... მოდი, ასე მოვიქცეთო, გადმომძახა დამრიგებლური ტონით დიდმა მეფემ: პინაში მჯდომები არ ჩამოიყვანო, ისხდნენ წყნარად და მიცეირონ, შენ კი შემოუშვი ირაკლები და სათითაოდ დაამატე იქმჯდომებს.

რა უფლება მქონდა, რომ არ შემესრულებინა ქართველთა ერთ-ერთი უდიდესი მეფის, ერეკლე მეორის თხოვნა, თუ მითითება.

მარო, მაშინვე შენსკენ გამომექცა ყურადღება, ნებავ, როგორ აკავებდი დიდ მეფესთან შეხვედრის მსურველებს...

გესმის ქალო, შენ შემეცოდე და გამეხარდა, რომ მომეცა შესაძლებლობა, შემეტსუბუქებინა შენი მდგომარეობა...

სმამაღლა გამოგდახე – მარო, გამოუშვი შვიდი მსურველი-მეთქი...

შემოცვივდნენ სმაურით, ხელისკვრით, ერთმანეთის წინგასწრების და, რაც მთავარი იყო, დიდი მეფის ნახვის შესაძლებლობის სხვაზე ადრე გამოყენების სურვილით და საკუთარი, პირადი მიზნების აღსრულების ნატვრითა და მოლოდინით შეპყრობილნი...

მარო ყურადღებით უსმენდა მიხოს მონაყოლს და გაოცებული იყო ისე, როგორც არასდროს.

ახლა მას ეგონა საკუთარი თავი სიზმარში.


მიხომ შესვენება მოითხოვა და ტაიმ-აუტის რეჟიმში მოითხოვა ორიოდ წუთი „პატარა“ მინიშნებით მეუღლის მისამართით.

მეუღლე კი ისე ჩერთო საოცარი ამბების ორომტრიალში, რომ ოდონდ არ შეწყვეტილიყო საამო მოსასმენი და მზად იყო აღესრულებინა მიხოს მინიშნება. სასწრაფოდ შეუვსო არყის ჭიქა მიხოს და გაიტრუნა უკეთესის მოლოდინში.

მიხომ შეიმშრალა ტუჩები და განაგრძო:

- შემოცვივდნენ და სმაურით გააყრუეს იქაურობა. ჩემი მითითებით მეორე პინასკენ გაემართა რიგით მეოთხე ირაკლი... ვერც მან ვერ შევვალა სიტუაცია – მეფე ერეკლეს პინა ერთ ადგილზე იყო გაშეშებული...

ვატყობდი, როგორ მატულობდა გაოცებისა და განრისხების ხარისხი მეფე ერეკლეს გამოხედვაში... ბო-



ლოს კი იმედგაცრუებულმა მიბრძანა შემევსო მეორე პინა ათ ირაკლიმდე. მეტი რა გზა მქონდა, გავუშვი მესუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე ირაკლები. ვიფიქრე, იქნებ, ახლა მაინც გვეშველოს-მეთქი, მაგრამ ვცდებოდი. მოჯადოებული მეორე პინა უძრავად იდგა, ირაკლებით სავსე.

ირონიული ღიმილით გადმომხედა მეფე ერეკლემ და მომაძახა – ეგ ერთი ირაკლიც გამოუშვი, ნეტავ, ვისთვის ან რისთვის ინახავ... რა მნიშვნელობა აქვს იმ ათ-თან ერთად იქნება ოუ ცალკე, უულადო...

ვუბიძგე მეთერთმეტე ირაკლის და გაბრაზებულმა ლამის წიხლისკვრით ავაზოჩე მეორე პინაზე. შედეგი იგივე დაფიქსირდა.

ერეკლე მეორეს პინა უძრავად იყო მიჯაჭვული რაღაცას, რომლის გადალახვაც ვერ შეძლო მეორე პინაზე ერთკონად შექრულმა თერთმეტმა ირაკლიმ.

მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი... იფეთქა დიდმა მეფემ, ხელის რაღაცნაირი, ჯადოსნური მოძრაობით მოიხმო ერთგული რაში, ერთი ნახტომით მოახტა ზურგზე და ელვისებურად გაუჩინარდა.

მოხდა სასწაული... მეორე პინა წარმოუდგენელი სიჩქარითა და სიმბიმით, საშინელი ხმაურით დაეხეოთქა სასწორის საყრდენს და ნაფოტებივით მიყარ-მოყარა თერთმეტივე ირაკლი. ზოგმა ფეხი მოიტეხა, ზოგს თავი გაუსკდა, ზოგმა კისერი იღრძო, ზოგიც უსულოდ ეგდო...

წამიერად გახსნილი ციდან მომწვდა მეფე ერეკლეს განწირული ხმა – „ვაი, თქვენს თავს, უბედურსო...“

მარო, ერთი დამისხი, ჩვენი სამშობლოს სადღეგრძელო დავლიოთ – მიაძახა მიხომ მოსმენილით ერთიანად დამწუხერებულ და სულიერად განადგურებულ მაროს.

## გელა, იულონი და ჭოჭელი

1970-1980-იან წლებში ქ. გორში განსაკუთრებული პოპულარობითა და ცნობადობით გამორჩეულ პიროვნებათა შორის მოიაზრებოდნენ იულონ ხადური და თენგბიზ ჭოჭელი.

მათთან შეხვედრა და საუბარი, განსაკუთრებით კი ქართულ სუფრასთან ყოფნა, დიდ სიამოვნებას და სიხარულს ჰგვრიდა მრავალ ადამიანს.

სხვადასხვა პროფესიისა და განსხვავებული ცხოვრებისეული ნიუანსების მიუხედავად იულონი და თენგბიზი ითვლებოდნენ ერთგულ მეგობრებად და ერთმანეთზე უზომოდ შეუვარებულ ადამიანებად.

ორივე მათგანი გამორჩეული იყო საქმისადმი ერთგულებით, ქართული ეროვნული ტრადიციების სიყვარულით, სიკეთის კეთების სურვილი და უნარით და საოცარი, ყველასთვის მისადები და საინტერესო იუმორით. დიახ, ერთ რამედ დირდა მათი იუმორისტული ხასიათის საუბრების მოსმენა. ხშირად ერთმანეთსაც კი „აშაყირებდნენ“ და საყოველთაო აღტაცებას და შექმნა.

ბასაც იმსახურებდნენ. იულონისა და თენგიზის მეგობრობაზე ლაპარაკობდა მთელი ქალაქი. ორივე მათგანი მნიშვნელოვან სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა და ხშირად დაუმსახურებიათ მადლობა და შექება პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელების მხრიდან.

მათი თანამდებობიდან და საპასუხისმგებლო საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად ჰქონდათ საუბრები ქალაქის ხელმძღვანელობასთან იყო ეს გეგმების შესრულება თუ კოლექტივების მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების გაუმჯობესება.

ადსანიშნავია ის გარემოება, რომ იულონი იყო თითქმის ორი მეტრის სიმაღლის, თენგიზი პატარა ტანის გახლდათ და იულონს მკერდამდე თუ სწვდებოდა. ასეთი განსხვავებაც იყო, ალბათ, მათდამი დიდი ინტერესის საფუძველი, მითუმეტეს რომ ისინი მართლაც იყვნენ ერთგული და მოსიუვარულე მეგობრები, ადამიანები, რომელთა იერგვლივ მუდამ იყო სიცილი და სამხიარულო განწყობილება.

ერთ მშვენიერ დღეს, ქალაქის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციის ლიდერები მიწვეულნი იყვნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან თათბირზე, რომელიც ეხებოდა მიმდინარე წლის საწარმოო გეგმების შესრულების მიმდინარეობას და პერსპექტივებს.

იმ მომენტისათვის ქ. გორის პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობა ეკავა ბრწყინვალე ბიოგრაფიის მქონე ქალბატონ ბელა ზაქარიას ასულ მაყაშვილს, რომელიც გამორჩეული იყო განათლებით, ადამიანური უმაღლესი ღირსებებით, პროფესიონალიზმით, პირდაპირობით და, რაც ყველაზე საინტერესოა, წინამდებარე ჩანახატისთვის – კახური იუმორით. მან და იულონმა სწრაფად გაუგეს ერთმანეთს და მათი საქმიანი შეხვედრები ხშირად მთავრდებოდა ხოლმე იუმორის ელემენტებით შეჯერებული საუბრით თუ სხარტული გამონათქვამებით.

ტექნიკურმა მდივანმა აუწყა დერეფანში შეკრებილ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს, რომ პირველი მდივანი მალე მოვიდოდა და დალოდებოდნენ დერეფანში.

დერეფანში კი, როგორც იტყვიან ხოლმე, „დუდდა და გადმოდიოდა“ ახალი იუმორისტული ამბების მოყოლითა და დამსწრეთა სიცილ-ხარხარით. როგორც წესი, ყურადღების ცენტრში იყვნენ იულონი და მის გვერდით მდგომი განუყრელი მეგობარი თენგიზი.

არ გასულა დიდი დრო და თაობირის დაწყების მოლოდინში მყოფმა სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელებმა შენიშნეს დერეფნის ბოლოდან კაბინეტისკენ ჩეარი ნაბიჯით მომავალი „ბელა ზახარევნა“, რომელიც კაბინეტის შესასვლელს უახლოვდებოდა და მარჯვნივ თუ მარცხნივ კედლებს აკრულ თანამდებობის პირებს გულთბილად ესალმებოდა.

იულონი, როგორც იტყვიან ხოლმე, ერთი თავით მადლა იყო შეკრებილთა შორის და იგი ქალბატონმა პირველმა მდივანმა შორიდანვე შეამჩნია.

კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და მიახლოებულმა ბელა ზახარევნამ დიმილით მიმართა იულონს: „...იულონ, ჩემო ქმაო, სადა ხარ, რომ არ ჩანხარო...“

იულონმა ჩაიღიმა და შეეპასუხა: „...როგორ, ქალბატონ ბელა ზახარევნა... ესა ჩანს და მე არაო“?! და მიუთითა მკერდზე ჩახუტებულ თენგიზზე.

სიცილ-ხარხარის ტალღამ გადაურბინა დერეფანში შეკრებილთ.

თაობირის დაწყებას უკლდა სულ რაღაც ხუთიოდ წეოთი.

## „ბღუჯა“

ბაღლებისადმი სიყვარული, ყურადღება და მზრუნველობა ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა ვახომ, მას შემდეგ, რაც სახლის გასაღები დაკარგა და სახლში ვერ შევიდა დედაქალაქიდან მამამისის ჩამოსვლამდე.

მძინგარებდა მსოფლიო ომი.

გვიანი შემოდგომის ცივი დამე საკუთარი ძაღლის „ალმასას“ ტორებში „შეფუთულმა“ გაატარა ლია აივანზე. მაშინ ვახო სულ 9 წლის იყო.

მას შემდეგ რვაათული წელი გავიდა, მაგრამ ვერ ივიწყებს იმ სითბოს, რაც მას აგრძნობინა კავკასიური ნაგაზის ჯიშის საგმაოდ დიდმა ძაღლმა, რომელმაც საკუთარი შვილივით ჩაიხუტა და მთელი დამე საოცარ გარემოში ამჟოფა.

ვახოს ბევრნაირი გათბობა, სითბო და სითბოს წყარო უნახავს და გამობარა, მაგრამ იმ სითბოს, რომელიც მას „ალმასას“ აზიარა, ვერ ივიწყებს.

ხშირად უთქვამს სამეგობრო წრეში – „...როგორი სითბო არ მინახავსო: შეშის თუ ნახშირის ღუმელი,



მაზუთზე მომუშავე კალორიფერები, ელექტრო რეფლექტორი, ბუნებრივი აირის გამათბობლები, გლეხური ბუხარი, მზის პირდაპირი სხივები, სანაპიროზე გავარვარებული ქვიშის, ავტომანქანაში ჩართული ჰაერგამათბობლის, „ძლიერი“ ადამიანის ხელისგულის, ორთქმაჭლის მემანქანის კაბინის, ე.წ. „კერესინკის“ და მრავალი სხვა წყაროსგან მომდინარე სითბო, მაგრამ ვერანაირი სითბო ვერ შეედრება მაღლის სხეულის სითბოსო...“ იტყვის ხოლმე და აგონდება შორეული ბაგშვობის წლები.

დაბოლოს მოხდა ისე, რომ ვახომ ძალიან შეიყვარა ძაღლები და დღესაც, საქმაოდ ასაკოვანი, არ ივიწყებს მათ და ცდილობს, მაქსიმალურად მეტი ყურადღება მიაცქოს მათ, იქნებიან ე.წ. „პატრონები“. ცხოვრობს ქალაქის ცენტრში და, შეიძლება ითქვას, ათეული მარშრუტი გაკვალული აქვს და ყოველი მეტრი და კვადრატული მეტრი ზეპირად იცის – სად არის ან როგორ არის და რაც ყველაზე მთავარია – სად რამხელა ან რა ფერის ძაღლია, რომ „აკონტროლებენ“ ე.წ. „თავიანთ“ ტერიტორიებს. გამოცდილმა და დაგვირვებულმა ადამიანებმა უთხრეს ვახოს, რომ ყველა ძაღლი ცდილობს ჰქონდეს თავისი „საარსებო ლოკაცია“ და ყველანაირად ცდილობს სხვა ძაღლებს შეუზღუდოს „მის“ რაიონში „მოდვაწეობაო“.

ვახოც დააკვირდა და აღმოაჩინა, რომ მისოვის საჭირო ყოველდღიურ ობიექტებს (საცხოვრებელი სახლის ახლომახლო: აფთიაქი, მარკეტები, საფოსტო განყოფილება, გამგეობა, ბიბლიოთეკა, გაზეოვბის ჯიხური, თეატრი, მუზეუმები, სპორტდარბაზი, „ბილაინის“ ოფისი, ორი-სამი ახლობელი მეგობარი და ა.შ.) და მის მიმდებარე ტერიტორიებს, ყველას „პატრონობს“ რომელიდაც ერთი ძაღლი. ისე რომ, ვახო ერთხელაც რომ გავიდეს ქალაქში, აუცილებლად შეხვდება მინიმუმ სამოთხ ძაღლს – სხვადასხვა ჯიშის, სხვადასხვა ზომის, სხვადასხვა ფერისა და სხვადასხვა „ხასიათისას“.

მრავალი წლის განმავლობაში ვახო ცდილობდა და ახლაც ცდილობს, როცა გარეთ გადის და უწევს უკვე ნაცნობი ობიექტების მონახილება, თუნდაც უბრალოდ მათ წინ ჩავლა, ჯიბეში იქონიოს მცირე რამ მაინც კვების პროდუქტების ნარჩენებისა და გაუნაწილოს მათ, რომლებსაც გარეგნულად იცნობს და ერთმანეთისგან არჩევს, თუმცა არ იცნობს მათ პატრონებს (თუ ჰყავთ), არ იცის მათი სახელები და არ იცის მათი ჩვევებისა და ხასიათის შესახებ არაფერი. ერთი კი იცის, რომ ყველა ძაღლი სცნობს ვახოს, შეხვედრისას კუდს აქანავებენ, ცქმუტავენ, ფეხსაცმელებს და შარვლის ტოტებს ულოკავენ, რამეთუ მოელიან მცირე სასუსნავს მაინც და იქნებ მხოლოდ ამიტომ არა?!

ისტორიაში იცის მრავალი შემთხვევა ძაღლისა და ადამიანის მჭიდრო მეგობრობისა, ურთიერთსიყვარულისა თუ პერსპექტივებისა და ერთგულებისა. ვინ ივის?.. იქნებ მხოლოდ კვების პროდუქტების ნარჩენების მოლოდინი არ განაპირობებს ძაღლების კეთილ დამოკიდებულებას, იქნებ უფრო მეტს „ხედავენ“ და „გრძნობენ“ ძაღლები ვახოს მათდამი დამოკიდებულებაში, იქნებ ესმით ოთხფეხიანებს ვახოს შინაგანი სულისკვეთების და კეთილი სურვილების?!.

ვინ იცის!..

თუმცა, ვახომ კარგად იცის, რომ ყოველთვის ყველან და ყველაფერში არსებობს მომენტი, როცა ადამიანს სჭირდება ამ ჯადოსნური სიტყვის „თუმცა“-ს გამოყენება, ამ სიტყვის მოსმენა და გათვალისწინება, რამეთუ არ არსებულა, არ არსებობს და ვფიქრობთ არასდროს იარსებებს ცხოვრებისეული სიტუაცია ისეთი, რომელსაც არ გააჩნია რაიმე, თუნდაც მცირე ხინჯი, უსაფუძვლობა, თუ ჭეშმარიტებისგან აცდენილი მახასიათებლები.

მაშ ასე – „თუმცა“.

ვახო შეიყვარეს ძაღლებმა (ვუწოდოთ მათ „უბნის ძაღლები“) და ყოველდღე, მეტნაკლები აქტიურობით

მოელოდნენ მის გამოჩენას. განსაკუთრებით მოსწონდათ მომენტი, როცა ვახო ხელს იყოფდა ჯიბეში და რაღაცით უმასპინძლდებოდა მათ.

ვახოს ეჩვენებოდა, რომ უკან, სახლში იგივე გზით დაბრუნებულს ძაღლები მადლიერების გრძნობით შესცემოდნენ და იდუმალ მადლობას გამოხატავდნენ კუდის განსაკუთრებული ქნევით.

მოსწონდა და ძაღლებთან ჩამოყალიბებული ე.წ. „მეგობრული“ ურთიერთობები და სიამოვნებდა რომ ჰქონდა თავისებურად განსაკუთრებული „არაადამიანური“ სფერო, სადაც გრძნობდა უჩვეულო სიამოვნებას და კმაყოფილებას.

კვლავ და კვლავ ახსოვდა და თვალზე ცრემლმომდგარი – ისესენებდა საყვარელ „ალმასას“ ტორებში გატარებულ გვიანი შემოდგომის ცივ დამეს.

და უყვარდა და უყვარს ძაღლები... არა აქვს მნიშვნელობა – უპატრონოები არიან თუ პატრონიანები.

ერთხელაც, აფთიაქისკენ მიმავალმა ვახომ, ტროტუარსა და გამზირს შორის არსებულ ე.წ. მწვანე ზოლში, ნაძვის ძირში შეამჩნია უცხო, მანამდე არნახული ძაღლი, რომელიც საკმაოდ მოკლეფებიანი იყო, პატარა ტანის და ისეთი ბოროტი გამოხედვის, რომ უნებურად შეგეშინდებოდა მისი... ტანი შემოსილი ჰქონდა რუხი ნაცრისფერი ბეწვით (ბალანით), რომელიც ტანზე ეყარა ბლუჯა-ბლუჯა. რჩებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ტანის ერთი ძლიერი შერხევა და ბლუჯა-ბლუჯა გასცვივდებოდა „ტანსაცმელი“... გამოხედვა ჰქონდა ჩასაფრებული და ბოროტი. არც ერთხელ არ მიეკარა ვახოს მიერ შეთავაზებულ „ნობათს“... უფრო მეტიც – ვახოს გამოჩენას ხვდებოდა გაბრაზებულ-გაღიზიანებული და საშინლად დაძაბული... იყო შემთხვევები, როდესაც შეჰყეფდა ხოლმე... ვახო გაოცებული იყო „ახალი“ ოთხეხას საქციელით... ვერ გაეგო, რითი იყო უკავილო, ან რას ერჩოდა ვახოს, რომელიც კვლავინდებურად ერთგულებდა ძაღლებს და შეძლებისდაგვარად

ამარაგებდა მათ კვების პროდუქტების ნარჩენებით.

მეგობრებმა უთხრეს ვახოს – კარგი, თუ ძმა ხარ, შეეშვი... ყველა ძაღლი ერთნაირი ხომ არ არისო, გავა დრო და შეგეჩვევა და სხვა ძაღლებივით მოგეფერებაო...

გადიოდა დრო, მაგრამ ის „ახალი“ ძაღლი (დავარქვათ „ბლუჯა“) არადაარ ურიგდებოდა ვახოს, უფრო სწორად, არ ეფერებოდა, კუდს არ უქიცინებდა და არც შარვლის ტოტებს და ფეხსაცმელს ულოკავდა... მოკლედ, ვერადავერ შეიჩვია „ბლუჯა“, რასაც სერიოზულად განიცდიდა.

ერთხელ ვახოს მეგობარი ეწვია და გადაწყვიტეს ერთად წასულიყვნენ სპორტის სასახლეში. გავიდნენ ქუჩაში და გაუყვნენ ვახოს ჩვეულებრივ მარშრუტს ე.წ. „ფანგანის“ („შიოს წყაროს“) მიკროუბნიდან ქალაქის ცენტრალური მოედნისაკენ.

აფთიაქამდე დაახლოებით ას მეტრზე, ვახომ შეაჩერა მეგობარი და უთხრა: „...აბა, გაიხედე იქით, ხედავ ნაძვის ძირში წამოწოლილ ბანჯგვლიან ძაღლს, მე ვეძახი „ბლუჯას“...

კი, ვხედავო, უპასუხა მეგობარმა... წყნარად წევს და ინტერესით აკვირდება გამვლელ-გამომვლელებსო.

ჰოდა, მოდი, ერთი ათი-თხუთმეტი წუთი ვუყუროთ, რას მოიმოქმედებს და როგორ შეხვდება გამვლელ-გამომვლელებს...

შეჩერდნენ და ყურადღებით აკვირდებოდნენ ტროტუარის იმ მონაკვეთს, სადაც, როგორც მომავალში გაირკვა, „ლოკაციას“ აკონტროლებდა „ბლუჯა“.

დაახლოებით ორმოცამდე ადამიანმა აიარ-ჩაიარა და არცერთი მათგანის მიმართ „ბლუჯას“ არ გამოუჩენია ოდნავი ყურადღებაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ აგრესიულობაზე. იწვა ხის ძირში და წყნარად და მშვიდად „აკონტროლებდა“ თავის „ლოკაციას“.

კარგიო, უთხრა მეგობარს ვახომ... შენ აქ იდექი, თუ გინდა ცოტაც წაიწიე წინ, რომ კარგად დაინახო და გაიგო, რაც მოხდებაო და წავიდა „ბლუჯას“ მიმარ-

თულებით. დაახლოებით ათ მეტრზე რომ მიუახლოვდა, ვახომ შეამჩნია, თუ ზღაზვნით როგორ წამოიმართა ფეხზე, მიატოვა ნაძვის ძირში შეჩვეული აღგილი და ნელი ნაბიჯით წამოვიდა ტროტუარისკენ... მიუახლოვდა თუ არა ვახო, მაშინვე დაიძაბა, გაჭიმა ტანი და კუდი და ღრენა-ღრენით მიუახლოვდა გაოცებულ ვახოს, რომელმაც უგულვებელყო სიფრთხილის ყოველი ხორმა, შეჩერდა მისი გააფორმებული და პირდაღებული სიფათის წინ შემდეგი სიტყვებით: „...რა მოგდის, რა გემართება, ერთი მითხარი რას მერჩი, რა დაგიშავე?! ამ სიტყვებს რომ ამბობდა თანდათან სულ ახლოს მიდიოდა და თვალებში ჩასცექოდა ეშვებგადმოყრილ ოთხფეხას... ყოველგვარი შიში დაძლია ვახომ და მხოლოდ ის აინტერესებდა – რას ერჩოდა მას ის „ბღუჯა“, რომელმაც ათობით სხვა ამვლელ-ჩამვლელის ხმას არ სცემდა და არას ერჩოდა... „...რა გინდა ჩემბან, რატომ მიყევ, განა რა დაგიშავე ასეთი... არ გინდა, რომ ვიძმაკაცოთ, იქნებ გამოვნახოთ საერთო ენა, როგორც სხვებთან ურთიერთობაში მაქს, იქნებ ერთმანეთს მხოლოდ კარგი გავუკეთოთ, იქნებ ასე აჯობებს?!“

ასე დაძაბული და საოცრად მოწადინებული ესაუბრებოდა კბილებდაკრეჭილ და კუდგაბზეკილ ოთხფეხას ასაკოვანი ვახო, რომელსაც ვერ გაეგო, თუ რას ერჩოდა მას მოცემული „ლოკაციის“ ახალი მფლობელი.

ახლომისული ვახოს მეგობარი გაოცებული შეჰყურებდა მის თვალწინ განვითარებულ მოვლენას და ხმის ამოდებას ვერ ბედავდა იმის შიშით, რომ არ გაედიზიანებინა „ბღუჯა“ და რაიმე ზიანი არ მიეყენებინა ვახოსთვის.

ამასობაში, ვახო სულ უფრო ახლოს მივიდა პირდაღებულ ძალლთან და ღორბლიანი ეშვების მაცერალი კვლავ იმეორებდა სიტყვებს – „...რას მერჩი, რა დაგიშავე, აბა, დაფიქრდი, იქნებ, მეგობრობა სჯობსო“ და ა.შ.

მოხდა სასწაული, რაც უმალ შეამჩნიეს ვახომაც და მისმა მეგობარმაც...

„ბლუჯა“ რაღაცნაირად მოდუნდა, ხახა დაკეტა, კბილების ღრჭიალს და ღრუნას შეეშვა, გაჭიმული კუდი მოუშვა და რაღაცნაირი სიხშირით აიქნ-ჩაიქნია, თავი დაბლა დახარა და თათებიც რაღაცნაირად უცნაურად აათამაშა... ვახოს პირდაპირ აღარ უყურებდა და თავდახრილი იდგა მასწავლებლის მიერ კუთხეში დაფენებული მოსწავლესავით. ვახომ შევბით ამოისუნოქა და გაბედა ხელი გადაესვა კისერზე და ზურგზე. ძაღლი სიამოვნებისაგან გაინაბა და თავდახრილი დაჭურებდა ტროტუარის ქვაფენილს. მერე კი ოდნავი ძუნძულით წავიდა მწვანე ზოლისკენ და მოკალათდა ნაძვის ძირში, შეჩემულ მყუდრო ადგილზე.

ებ იყო და ებ... როგორც იტყვიან ხოლმე... გალლვა ყინული და მას შემდეგ „მეგობრული“ ურთიერთობა ვახოსა და „ბლუჯას“ შორის აშკარად გამოიკვეთა. ამ ამბის შემდეგ ვერც ერთი ძაღლი ვერ ასწრებდა „ბლუჯას“, რომ წინ შეხვედროდა და თავისი თბილი დამოკიდებულება გამოეხატა ტროტუარზე მიმავალი ვახოსადმი. „ბლუჯა“ პირველი უგებებოდა მას, მისალმების ნიშნად კუდით დაუბერტყავდა შარვლის ტოტებს, კრუტუნ-კრუტუნით რამდენჯერმე შემოუვლიდა გარშემო, ჩაიტკარუნებდა ვახოს მიერ მირთმეულ საკვების ნარჩენებს და კმაყოფილი უბრუნდებოდა ხოლმე თავის ადგილს მწვანე ზოლში მდგარი ნაძვის ძირში.

ასე გაგრძელდა თითქმის ორი წელი. დაახლოებით ორასი მეტრის მანძილიდან სცნობდა ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ ვახოს და და ძუნძულით მიეგებებოდა ხოლმე შუაგზაზე. უცნაური წმუტუნ-კრუტუნით და კუდისა თუ თათების რხევა-ქანაობით ამჟღავნებდა თავის დამოკიდებულებას და სწრაფადვე ბრუნდებოდა ხოლმე თავის „საკონტროლო“ უბაგზე. ვახო კმაყოფილი იყო, რომ აღარ ჰყავდა ჩასაფრებული მტერი. „ბლუჯაც“ განიცდიდა თავისებურ სიხარულს და ვახოს ეჩვენებოდა, რომ თითქოს ტრაბახობდა კიდეც „მეგობართა“ წრეში. ერთხელაც, ზამთრის ცივ დილას, დაახლოებით რვა

საათზე, მარტოხელა ვახოს კარებზე, მოესმა რაღაც-ნაირი ფხაუნის ხმა. გააღო კარი და რას ხედავს – „ბლუჯა“ ზის ფეხსაწმენდ ტილოზე კუდის სწრაფი რხევით აპრიალებს ეწ. „პლაშჩადკის“ მოზაიკის ზედაპირს, დაბალ ხმაზე კრუტუნებს და თავის აქეთიქით მიხრა-მოხრით ცქმუტავს საოცრად... აშკარად ეტყობა, რომ რაღაცის „ოქმა! უნდა, მაგრამ ვაი, რომ...

ვახო გაოცებისკან პირდაღებული იდგა და არ იცოდა, რა გაეკეთებინა... ვერ აეხსნა ვერანაირად, თუ როგორ მიაგნო „ბლუჯამ“ მის ბინას მაღლივი კორპუსის მე-5 სართულზე, ვინ ან როგორ აუხსნა მისამართი, თუ თვითონ „ბლუჯამ“ უთვალთვალა შეუმჩნევლად... მოკლედ, ვახო ისე იყო დაბნეული, რომ აღარ იცოდა, რა ექნა... „ბლუჯა“ განაგრძობდა კრუტუნსა და თავის ქნევას... ვახომ იფიქრა, რაიმეს ვაჭმევო და ფართოდ გაულო კარები... ევედრებოდა შემოდიო, მაგრამ „ბლუჯა“ ადგილიდან არ იძროდა...

კარგიო, მიეალერსა ვახო, ახლავე გამოვიტან რაიმე გემრიელსო და წავიდა სამზარეულოსკენ ჯამში სწრაფად ჩაყარა რაღაც-რაღალებები და გაიტანა „პლაშჩადკაზე“, მაგრამ „ბლუჯა“ იქ აღარ დახვდა. გადაიხედა ძირს და დაინახა „ბლუჯა“ როგორ ჩადიოდა კიბებზე სადარბაზოდან ქუჩაში გასასვლელისკენ.

წავიდა და გადაიკარგა... ვახომ რამდენჯერმე მიაკითხა მის ჩვეულ სამყოფელს ნაძვის ძირში, მაგრამ „ბლუჯა“ აღარსად ჩანდა. მას შემდეგ ყოველთვის ყურადღებით აკვირდებოდა და აფთიაქის თუ მარკეტების მომსახურე პერსონალსაც ეკითხებოდა „ბლუჯას“ შესახებ, მაგრამ არავინ იცოდა ძაღლის ასავალ-დასავალი. ერთმა ქალბატონმა ისიც უთხრა ვახოს, რომ, ალბათ, „ლოკაცია“ შეიცვალა ან შეუცვალესო...

ვახო მტკიცნეულად განიცდიდა უცნაურ ამბავს, მაგრამ რა ექნა – ვისოთვის ეკითხა, ვინ რას ეტყოდა, ან ვინ რა იცოდა „ბლუჯას“ შესახებ...

გადიოდა დღეები, თვეები და ვახოს აღარ უნახავს

„ბლუჯა“. არ ავიწყდებოდა მომენტი, საჭმელი რომ გა-მოუტანა „პლაშჩადკაზე“ და იქ ადარ დახვდა...

მაშინაც და ახლაც, დიდი ხნის შემდეგ, ფიქრობ-და და ფიქრობს, რომ „ბლუჯა“ გამოსამშვიდობებლად ეწვია მას მე-5 სართულზე.

დრო გადიოდა, მაგრამ „ბლუჯას“ ვერ ივიწყებ-და ვახო; განსაკუთრებით კი მაშინ განიცდიდა „ბლუჯას“ გადაკარგვას, როცა ქალაქის ცენტრისკენ მიმავალს თვალი უნებურად გაექცეოდა ხოლმე იმ ნაძვის ძირისკენ, საიდანაც „ბლუჯა“ წლების განმავლობაში აკონტროლებდა „თავის“ ლოკაციას.

„ბლუჯასთან“ განმორების შემდეგ გავიდა დაახლოებით ორ წელი, მაგრამ ვახოს არ ავიწყდებოდა ოთხევება „მეგობარი“. უფრო მეტიც – ახლობლებს რამდენჯერმე ფაუნის სადღეგრძელოც კი შესთავაზა „ბლუჯას“ თამადობით.

გვიანი შემოდგომის ერთ ლრუბელ-წვიმიან შაბათ დღეს, ვახოს დაურეკა მმაკაცმა და გააფრთხილა – მანქანით გამოგივლი ამადაამ დროს და სამძიმარზე ერთად წავიდეთო. გარდაეცვალათ საერთო მეგობარი და ყოფილი კოლეგა.

ქალაქის გარეუბანში, ახლადაშენებული მრავალ-სართულიანი სახლის ეზოში, შეკრებილიყო სამძიმარზე მისული ხალხი, ჯვარული იდგნენ და საუბრობდნენ გამოსვენების მოლოდონში.

ვახომ და მისმა მეგობარმა სადღაც ეზოს ბოლოში მონახეს შედარებით მშრალი და სუფთა ადგილი და გააჩერეს მანქანა. გუბეგბზე ხტუნვა-ხტუნვით წავიდნენ იმ სადარბაზოსკენ, სადაც ესვენა მათი კოლეგა.

რომ იტყვიან ხოლმე – „...სად იყო და სად არაო...“ ისე მოხდა; საიდანდაც გამოვარდა ერთი ძაღლი და გაექანა ვახოსკენ... შეახტა მკერდზე ტალახიანი ფეხებით, კუდის ქნევით და ლოკა-ლოკა წმუტუნით... ერთიანად ამოსვრილი ვახო ხელებს იქნევდა და ყვიროდა – „გადი, გადიო“. ხალხი ახმაურდა, ქალებმა ქოლგების ქნევა დაიწყეს და ერთი წივილ-კივილი ატეხეს...

ცოტა ხანიც და ვახომ შეწყვიტა „გადი, გადის“ ძახილიც და წინააღმდეგობაც. მიხვდა, ვისთანაც პქონდა საქმე, შემოტრიალდა ერთიანად ტალახში ამოსვრილი და მანქანისკენ წავიდა... მეგობარს მიაძახა, იქ დაგჭლოდებიო.

მანქანისკენ წელი ნაბიჯით მიმავალს, ფეხებში ებლანდებოდა გახარებული და ტალახში ერთიანად ამოსვრილი „ბლუჯა“, რომელიც კვლავ განაგრძობდა მისთვის დამახასიათებელ ალერსს.

## ბოროტი მეზობელი

„...აგსა ქაცსა ავი სიტყვა  
ურჩევნია სულსა, გულსა...“  
(რუსთაველი)

კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექციაში და შესაბამისმა სამინისტრომ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სპეციალისტებისათვის ააშენეს სამსართულიანი და მრავალსადარბაზოიანი საცხოვრებელი სახლი და საახალწლოდ საჩუქრებად გადასცა მათ კენჭისყრის გამოყენებით.

ოჯახების სულადობის შესაბამისად, თანამშრომლებმა მიიღეს ერთ, ორ და სამოთახიანი საცხოვრებელი, ხოლო ეწ. „ხალასტოებს“ ადგილი მიუჩინეს საერთო საცხოვრებელში.

ჩვენი მოთხოვნის გმირს ილოს წილად ხვდა ორთახიანი ბინა მე-3 სართულზე.

ქართული ტრადიციების შესაბამისად, ატყდა ერთი ამბავი. ერთმანეთს არ აცლიდნენ მიპატიუებას, თათარიახი სუფრის გაშლას, ხმამაღალ სადღეგრძელოებს, კეთილ სურვილებს და ა.შ.

ერთი კვირის განმავლობაში, ყოველ საღამოს საღარ-

ბაზოებში ისმოდა საზეიმო განწყობის ჰანგები, მერე კვლაფერი ჩადგა ცხოვრებისა და მუშაობის მისაღებ რიტმში.

იდო ისეთ ოჯახში იყო დაბადებულ-აღზრდილი, სადაც მეზობელი და მეზობლობა, შეიძლება ითქვას, იყო „გაფეტიშებული“. მას ადრე მოუკვდა დედა. ხუთი წლის იყო. მძვინვარებდა მსოფლიო ომი. მამა ფრონტზე არ წაიყვანეს მისი ფიზიკური კონდიციების გამო, მაგრამ დღედაღამ ტყეში მუშაობდა და ამზადებდა შეშას ფრონტზე გასაგზავნად. ისე, რომ მამამისი სახლში კვირაში ერთხელ, ან მაქსიმუმ ორჯერ ათევდა დამეს. ილოს აღზრდა თავის თავზე აიღეს მეზობლებმა და უნდა ითქვას, რომ საუკეთესოდ გაართვეს თავი. მეზობლებმა ისიც მოახერხეს, რომ შორეულ ნათესავებს არ გაატანეს ილო და თავისი საკუთარი შვილივით აღზარდეს. საშუალო სკოლის ოქროს მედალი, სპორტსკოლის წარმატებული ფეხბურთელი და მოსწავლე ახალგაზრდების ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის წამყვანი სოლისტობა ყველაფერზე მეტყველებს. ყოველივე ამას ემატებოდა კვირაში, ან ორ კვირაში ერთხელ ე.წ. „ქართული აკადემიის“ (სუფრის) წევრების (ოჯახის მეზობელ-მეგობრებისა და მამის კოლეგების) სუფრის მომსახურება და სადღეგრძელოების მოსმენა, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ქართული ეროვნული ტრადიციების უმაღლესი დონის გამოვლინებად მიიჩნევდნენ.

აი, ასეთ გარემოში ჩამოყალიბდა ილოს პიროვნება. ახლა კი, ახალმოსახლეობის შემდეგ, იგი მოხარული იყო, რომ კარგი მეზობლები შეხვდა. დღე ისე არ გაივლიდა, რომ მათთან არ ჰქონდა რაიმე, თუნდაც სულ მცირე, ურთიერთობა... მას სხვანაირად არ შეეძლო, ვერ წარმოედგინა.

სადარბაზოს ხუთი მეზობლიდან ოთხი, რომ იტყვიან, უმაღლესი დონის აღმოჩნდა. მათ კარგად გაუგეს ილოს და მალე გამოხახეს საერთო ენა. სულ რაღაც ორიოდე წლის შემდეგ ჩამოყალიბდნენ ერთმანეთისთვის მისაღებ და საყვარელ ადამიანებად და მუდამ ცდი-

ლობდნენ მხოლოდ კარგი ეპეთებინათ ერთმანეთისთვის. მიაჩნდათ, რომ ადამიანის უპირველესი მოვალეობა და მოწოდება იყო საზოგადოების უანგარო მსახურება და სიკეთის ქადაგება და კეთება. ილოს ასეთი შინაგანი ბუნება და ყოველდღიურობა მისაღები გახდა სხვა სადარბაზოებში მაცხოვრებლებისათვისაც და შეიქმნა ერთიანი სამეზობლო... თუმცა...

ილოს პრობლემად ექცა „ის“ მეზუთე მეზობელი, ქალბატონი, რომელიც მისი ბინის ქვეშ ცხოვრობდა და ხელიდან არ უშვებდა შემთხვევას, რომ შენიშვნა არ მიეცა, ან რაღაცას დააბრალებდა, ან რაღაცას მოუგონებდა... მოკლედ, ილო სულ იმის შიშმი იყო, რომ „იმ“ ქალბატონისთვის რაიმე არ ეწენინებინა. არადა, „შარო საიდან მოხვალო“, ძალაში იყო „იმ“ ქალთან დაკავშირებით; ეზოში მოფუსფუქსე ილოს ლოჯიის ფანჯრის ფარდის უკან მდგარი უთვალთვალებდა და ეძებდა შენიშვნებისა და გაკიცხვის შესაძლებლობას. გამოაღებდა ფანჯარას და ხმამაღლა, მეზობლების გასაგონად მიაძახებდა: ავტოფარეხის სახურავზე ასასვლელ კიბეს ნუ აკეთებ, თორემ პოლიციაში დავრეკავ... ეგ ხე რად დარგე მანდ, გაიზრდება და დამიწრდილავს... ეგ ტყმალი რომ მოისხამს, მერე ხომ დამწიფდება და ჩამოცვივდება, ვინ მოკრეფავს და ვინ დაგვის მოასფალგებულ ეზოს... მანდ,



ბაღში რასა თხრი, რა უნდა დარგო, თუ დათესო?!. შენი ავტოფარექის წინ რომ დაყრე ქვიშა, მანქანას ვედარ ვაყენებ, გადაყარე, თორემ გიჩივლებ... ეზოსკენ აივანი არ გააკეთო, არ გაძლევ უფლებას... ეზოში რა უნდა მაგიდას... ჭადრაკის ან ლომინოს თამაში თუ გინდა, სახლში ითამაშე... წყალი რატომ გაიყვანე ეზოში, ხომ დასველდება იქაურობა... ონდანს ვინ შეაკეთებს და ა.შ. და ა.შ... გაუთავებლად, დაუღლელად და ლვარძლიანად; რომ იტყვიან – სიცოცხლე გაუმწვარა ილოს.

ერთხელ, ერთ-ერთმა მეზობელმა უთხრა ილოს, გინდა გითხრა, რატომ არის „ის“ ქალი შენდამი ასეთი განწყობითო... .

- მითხარიო, დაინტერესდა ილო.
- გახსოვს, ოცი წლის წინ, გამოსვენება რომ იყო...
- მახსოვს, მერე?!
- მაშინ წრეში ვიდექით და გსაუბრობდით.
- მერე?..
- „ეგ“ ქალი ძალიან აქტიურად საუბრობდა და ხელებს იქნევდა...
- მერე?..
- თბილისიდან ჩამოსულმა გკითხა შენ – ეგ ქალი ვინ არისო, გახსოვს, რა უპასუხე?
- არა.
- შენ უპასუხე, რომ „ჩემ ქვეშ რომ არისო“... გულისხმობდი მის მეორე და შენს მესამე სართულებს. „იმ“ ქალმა კი „ვინ ვის ქვეშ არის, მაგასაც ვნახავთო“ და დაიწყო ის, რაც დღემდე გრძელდება.

გაახსენდა ილოს სევერიანის გამოსვენების ცერემონიალიც, „იმ“ ქალის ლაქლაქიც, თბილისელი სტუმრის შეკითხვაც და თავისი პასუხიც.

მოიწყინა ილომ... რა ექნა, აღარ იცოდა... გადიოდა წლები... გარდაეცვალა მეუღლე... კისერზე დააწვა საოჯხო საქმეები, მათ შორის თეთრეულისა თუ ტანსაცმლის გარეცხვა-გაფენის საქმე.

გაიტანა კაცი... ლოჯიდან მთელი ეზოს გადაპვე

თოთ თოკი ჰქონდა გაბმული და დამაგრებული ავტოფარების სახურავზე, რკინის მილზე. მანძილი ძალიან დიდი იყო და ქარის შემთხვევაში ან გაფენილი იხლართებოდა ერთმანეთში, ან თოკი ვარდებოდა ე.წ. „როლიკებიდან“, რაც პრობლემას უქმნიდა უკვე ხანდაზმულ ილოს.

გადაწყვიტა „კარგი“ მეზობლები მიეგზავნა „იმ“ ქალთან და გადაეცათ მისი თხოვნა – მიეცა უფლება ლოჯიაზე მიემაგრებინა სარეცხის ე.წ. ჯოხები, გასაწევ-გამოსაწევი თოკებით... მეზობლებს უთქვიათ – კარგი, მიეცა უფლება, რა უნდა დაგიშაოს ისეთიორ...

ძვირფასო მკითხველო, „იმ“ ქალს უთქვამს, ჩემს გაფენილ სარეცხს დაეცემა მაგისი სარეცხის წვეთებიორ...

ვიღაცას უთქვამს – გოგო, რა წვეთები, რის წვეთები, მანქანა ისე წურავს გარეცხილს, რომ...

მოკლედ, ძლივს დაუთანხმებიათ ის ქალი, ოღონდ მოუთხოვნია მკაცრი ტონით: გადმოიხედოს ფანჯრიდან და როცა დაინახავს, რომ ჩემი სარეცხი არ მაქვს გაფენილი გასაშრობად, აი, მაშინ გარეცხოს და გაფინოს, არ ვარ წინააღმდეგიორ...

გაუხარდა ვახოს მოსმენილი, მადლობა მოუხადა კეთილ მეზობლებს და დაიწყო გასარეცხის მოგროვება სარეცხის მანქანაში. იმავდროულად, თვალყურს ადგვნებდა „იმ“ ქალის სარეცხის ჩეირებს.

გავიდა ერთი კვირა. შეიგსო ილოს სარეცხი მანქანა. გადაიხედა ლოჯიდან – სავსეა „იმ“ ქალის ე.წ. სარეცხის ჩეირები.

გავიდა კიდევ სამი დღე, კვლავ საგსეა „იმ“ ქალის სარეცხის ჩეირები. რა ხდებოდა, ერ გაეგო ილოს.

ერთხელაც, ეზოდან შესულმა, თავის სადარბაზოსკენ მიმავალმა კვლავ უურადღებით შეათვალიერა „იმ“ ქლის ჩეირები და ლამის იქვე წაიქცა ელდანაცემი – ბოლო ათი დღეა, ერთიდაიგივე თეთრეული და ტანსაცმელი არის გაფენილი. ისიც კარგად იცის, რომ არსად წასულან და სახლში არიან.

იღომ გააძლიერა თვალთვალი და ბოლოსდაბოლოს „ამოხსნა“ ამოცანა. შაბათს დილით „იმ“ ქალმა ჩამოხსნა „გამშრალი“ და გაფინა ახალი სარეცხი; მზიანი დღე იყო, მალე გაშრა ყველაფერი. კვირა დილით ჩამოხსნა კარგად გამშრალი ნივთები და იღომ ავტოფარეხიდან შეამჩნია, როგორი სიჩქარით კიდებდა „გასაშრობად“ იმ ნივთებს, რომლებიც ჩამოხსნა შაბათს. ეს იყო იღოსთვის საშინელი დარტყმა. გამოდის, რომ „იმ“ ქალს მომარაგებული ჰქონდა რაღაც რაოდენობის „სარეზერვო“ მშრალი ნივთები და ოკები „ცარიელი“ რომ არ იყოს, სასწრაფოდ ფენდა მათ „გასაშრობად“...

ლამის გაგიუდა იღო, თუმცა გადაწყვიტა, ერთხელ კიდევ შეემოწმებინა ვითარება. ჩაიწერა იმ ნივთების რაობა და რაოდენობა, რომელიც მთელი ექვსი დღის განმავლობაში ეკიდა „გასაშრობად“. მოვიდა შაბათი და „იმ“ ქალმა ჩამოხსნა გაფენილი და გაფინა ახალი (ზუსტად ისე, როგორც წინა შაბათ დღეს) გასაშრობად. კვირა დილით ჩამოხსნა გამშრალი და სასწრაფოდ გამოკიდა „გასაშრობად“ ის, რაც ეკიდა შაბათს. იღომ ამოიღო ჯიბიდან ქადალდი და შეამოწმა.

„იმ“ ქალმა გამოფინა ის ნივთები, რომელიც ჩამოხსნა წინა დღეს, ოდონდ ერთი კოლგოტკა აკლდა და მიმდევრობა თოკებზე იყო სხვა.

დიახ, ძვირფასო მკითხველო, „იმ“ ქალს მუდმივად ჰქონდა გამოფენილი „გასაშრობად“ თეთრეული თუ ტანსაცმელი, რათა იღოს არ მისცემოდა სარეცხის გაშრობის საშუალება.

ნეტავ, თუ გაუგია „იმ“ ვაიქაროველ ქალს, რომ...  
„...მეზობელო კარისაო,  
სინათლე ხარ თვალისაო...“

## „ყანერატო“

მეორე მსოფლიო ომის წლებში (1939-1945) მთელს დედამიწაზე იგრძნობოდა საშინელი გაჭირვება, მათ შორის საქართველოში და ერეკლე მეფის ქალაქ თელავშიც – უშეუქობა, სიცივე, საწვავის, კვების პროდუქტების, სამკურნალო საშუალების წარმოუდგენელი დეფიციტი და ა.შ. მოსწავლეებს არ ჰქონდათ საკმარისად წიგნები, რვეულები, საწერ-სახატი საშუალებები; დიასახლისები, გარდა ჩამოთვლილისა, განიცდიდნენ სარეცხი საშუალებებისა და საგარეო თუ საშინაო ტანსაცმლის ნაკლებობას.


ადამიანები, რომ იტყვიან „დღე-დამეს ასწორებდნენ“, რომ გამოენახათ რაიმე სასიცოცხლო, საარსებო საშუალება, რათა შიმშილით არ დახოცილიყვნენ.

ერთ-ერთი ასეთი კაცი გახლდათ ინგალიდი იოსები, მეტსახელით (თიკუნით) „ყანერატო“, რომელმაც შექლო დიდი გარჯოთა და მონდომებით მოეპოვებინა ფართო საზოგადოების ყურადღება, განსაკუთრებით კი ახალ-გაზრდობისა. რომ იტყვიან ხოლმე – „...ოქროს მარჯვენა აქვსო“, სწორედ რომ ასეთი გახლდათ „ყანერატო“ (მძიმე ოპერაცია ჰქონდა გადატანილი. ამბობდნენ, რომ ხორხი აქვს ამოჭრილიო. ამიტომ იყო, რომ ხრიალით საუბრობდა და ყელზე მუდმივად აფარებული ჰქონდა მარლა-ბამბის საფეხი, უჭირდა სიტყვების მკაფიო გამოთქმა და გამუდმებით ქმინავდა) და მაინც რითი გაითქვა სახელი ინვალიდმა კაცმა?! იმით, რომ ეხერხებოდა და აკეთებდა გადასადგილებელ მგორავ საშუალებებს, ძირითადად ურიკებს, ველოსიპედებს (რემონტი), ე.წ. „სამაკატკებს“ (ბურთულა-საკისარიანი მოწყობილობა) და ჩასარაზებს, საყრდენებს, ბოქლომებს (რემონტი), დანებსა და დანის ტარებს, სამეურნეო ინსტრუმენტებს, საბავშვო სათამაშოებს (რემონტი) და ა.შ. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა „სამაკატკები“ და ველოსიპედები.

სულ რაღაც ორ წელიწადში იოსები („ყანყრატო“) გახდა საქაოდ ცნობადი პიროვნება, არამარტო ქ. თელავის რაიონში, არამედ მიმდებარე რაიონებშიც.

ტექნიკური საშუალებებისა და სხვა დეტალური მასალების თუ საშუალებების მოძიება კი გახლდათ მთავარი პრობლემა „ყანყრატოსათვის“, რომელმაც ფეხით შემოიარა თითქმის მთელი ქახეთი და მოაგროვა ე.წ. ჯართი მოსახლეობისგან მიტოვებულ სხვებში, სარდაფუში, ბოსელში, ორლობებებში თუ ნაგავსაყრელებზე. მთავარი „მომმარაგებელი“ პუნქტები კი მაინც გახლდათ თელავის ე.წ. მეტს (მანქანა-ტრაქტორთა სადგური) და თელავშივე განლაგებული სამხედრო ნაწილი (ტექნიკური სამქროებით, საწყობებით, ნაგავსაყრელებით და სხვა).

კვირაში ერთხელ მიაღებოდა (შეჩვეულ ადგილზე) ხოლმე სამხედრო ნაწილის დობეს ჩანთით თუ კალათით და უკვე კარგადნაცნობი ჯარისკაცები, უფროსებისგან დაფარულად, აწვდიდნენ მოგროვებული ე.წ. ტექნიკურ წერილმანს „ყანყრატოს“ მიერ მათოვის გათვალისწინებულ კვების პროდუქტების ათასგვარ სასუსნავსა და ხშირად სასმელშიც კი, რასაც მოელოდნენ განსაკუთრებული მონდომებითა და ნატვრით. „ყანყრატოც“ არ რჩებოდა ვალში და უკან ბრუნდებოდა გახარებული.



გადიოდა დრო და „ყანყრატოს“ ეზოს სტუმრობდა სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი. ყოველდღე ისმოდა მის ეზოში თუ სარდაფში ისეთი სიტყვები, ორგორებიცაა: „პოჩიმნიკი“, „კამერა“, „პაკრიშკა“, „სპიცი“, „პედალი“, „კრილო“, „ფანარი“, „ბოლტი“, „კლუბი“, „გაიკა“, „ზაკლოპკა“ და ა.შ. მეტი და მეტი ბავშვი თუ მოზრდილი გამოდიოდა „ყანყრატოს“ ეზოდან „სამაკატკაზე“, თუ ველოსიპედზე შემომჯდარი კმაყოფილი და ბედნიერი. „ყანყრატოს“ ოჯახმაც მოითქვა სული. აღარ მოჰკლებიათ ხახვი, ნიორი, მჭადის ფქვილი, კვერცხი, კიტრი, პომიდორი, ღვინო, არაყი და ა.შ. შრომაში და შედარებით უკეთეს საყოფაცხოვრებო პირობებში მიმდინარებდა „ყანყრატოს“ ოჯახისა და მისი წევრების ყოველდღიურობა.

ქ. ოელავში იმატა ველოსიპედებისა და „სამაკატკაზბის“ რაოდენობამ. იზრდებოდა „ყანყრატოს“ (იოსების) ავტორიტეტიც და პირადი ცხოვრების დონეც.

გავიდა წვალებისა და გაჭირვების რამდენიმე წელი და დამთავრდა მეორე მსოფლიო ომიც. ბევრი ვედარ დაუბრუნდა ოჯახს, ბევრი კი ორდენებითა და მედლებით მკერდდამშენებულები დაუბრუნდა გაჭირვებით გატანჯულ ოჯახებს და ქვეყანა შეუდგა აღმშენებლობის ისტორიულ საქმეს. ხალხი ზეიმობდა ფაშიზმაჟ გამარჯვებას და იმედით შესცემოდა ყოფას უკეთესი მომავლის მოლოდინში.

„...მაგრამ საწუთო განა ვინმეს დიდხანს ახარებს?..“ უთქვამს გენიოს ქართველ პოეტს ნ. ბარათაშვილს. ქალაქში ხმა გავრცელდა – „ყანყრატო“ გარდაიცვალა. ოელაველებისათვის ეს ამბავი მეხის გავარდნას ჰგავდა.

უამრავი ხალხი მიაცილებდა ბოლო გზაზე მართლაც რომ საყვარელ კაცს, რომელსაც მეორე თიკუნიც მიაკუთვნეს და „გაჭირვების ტალ-კვესსაც“ ეძახდნენ. სამგლოვიარო პროცესიას სასაფლაოსაკენ მიჰყვებოდნენ, რაც თვალშისაცემი გახლდათ, სამი მოზარდი „სამაკატკაზბით“ და რამდენიმე ხანდაზმული „ყანყრატოს“ მიერ შეკოწიწებული ორთვლიანი ველოსიპედებით.

## ყანით მოძებნილი

**სახელები და გვარები მოგონილია.  
ფაქტები – რეალური.**  
**ავტორი**

მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების ერთ-ერთი შემოდგომის ერთ მზიან დღეს ხალხმრავლობა იგრძნობოდა ქ. ოზურგეთის დაბა ანასეულში მდებარე ეწ. საკავშირო დაქვემდებარების ჩაის მრეწველობის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტის ეზოში თუ მიმდებარე ტერიტორიაზე. თვალში საცემი იყო მსუბუქი ავტომანქანებისა და საზეიმოდ ჩაცმულ-გამოწყობილი ადამიანების სიმრავლე. საქმე იმაში გახლდათ, რომ მიმდინარეობდა ჩაის მწარმოებელი ქვეყნების წარმატებულ მეცნიერ-მუშაკთა ორდღიანი კონფერენცია დარგის შემდგომი სრულყოფისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების პრობლემებთან დაკავშირებით.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა რეგიონის ხელმძღვანელობის წარმომადგენელი, რომელმაც დამსწრეთ წარუდგინა სხვადასხვა ქვეყნის მსოფლიო დონის მეცნიერები და გააცნო თრდღიანი სამუშაო პროგრამა.

შემდეგ კონფერენციას სიტყვით მიმართა ცეილონის წარმომადგენელმა, რომელმაც დაწვრილებით მოასესნა სავსე დარბაზს თავისი ქვეყნის სამომავლო გეგმების შესახებ ჩაის მრეწველობის შემდგომი განვითარების კუთხით. მას მჟყვნენ იაპონიის, ვიეტნამის მეცნიერები და ა.შ.

კონფერენციის დაწყებიდან დაახლოებით ორი საათის შემდეგ პროგრამის წამყვანმა მიკროფონით ამცნო დარბაზში მყოფთ, რომ საქართველოში ჩაის მრეწველობის განვითარების პერსპექტივებზე და უკვე მიღწეულ ტექნიკურ პროგრესზე მათ მიმართავდა მეცნიერების დოქტორი, ასამდე სამეცნიერო შრომის ავტორი, მრავალი სამაყო პრემიის ლაურეატი და მსოფლიოში ჩაის წარმოების კარგად ცნობილი პიროვნება გიორგი დვალი.

გიორგი წამოდგა სკამიდან და დინჯი ნაბიჯებით წავიდა მიკროფონისკენ.

ამ დროს დარბაზში ატყედა რალაც ჩოჩქოლი... ვიდაც სცენისკენ ცდილობდა წასვლას და ხმამაღლა გაჰკიოდა „კანცი“, „კანცი“...

მთელი დარბაზის ყურადღება იმ კაცისკენ იყო მიმართული, ეერ გაეგოთ, რა ხდებოდა... გიორგის პირზე შეაშრა პირველი სიტყვები... მიკროფონი დაბლა დაუშვა და წამყვანისკენ გაიხედა მუდარით – რა ვქნაო...

დარბაზში იმატა ხმაურმა. გიორგი დააბრუნეს თავის სკამზე. იმ „მეამბოხეს“ კი, რომელსაც ხელში ჩვეულებრივი ყანწი ეჭირა, გაუგზავნეს თარჯიმანი, რათა გაეგოთ თუ რას მოითხოვდა და რატომ იქნევდა ყანწს...

გიორგიმ, როცა გაიგო და დაინახა კიდეც, რომ „ის“ „მეამბოხე“ ყანწს იქნევდა – რალაც გაახსენდა და რალაც ენიშნა.. ახლა ის წამოხედა სკამიდან და დაიწყო ყვირილი: „რაჯ, მაი ბრადერ“... „რაჯ“... დარბაზში და სცენაზე მყოფთა ყურადღების ცენტრში ახლა უკვე პროფესორი გიორგი დგალი მოექცა და ყველა მას შესცემოდა გაოცებული და გაფართოებული თვალებით...

ძვირფასო მკითხველო, ნება მომეცით, მოვლენათა ამსახველი ბორბალი უკან დაგაბრუნო და მე-20 საუკუნის 50-იან წლებში გამყოფოთ დაახლოებით ათი-თხუთმეტი წელით...

ქ. თბილისი; მტკვრის მარჯვენა სანაპირო; რესტორანი „არაგვი“; მეორე სართულის ერთ-ერთი დიდი დარბაზი... გაშლილია ორი სუფრა დაახლოებით ოთხმოცი კაცისათვის... მირბი-მორბიან ოფიციანტები და გადაძახილებით აწესრიგებენ და ბოლო საორგანიზაციო ნაბიჯებს დგამენ, რათა ნამდვილი ქართული სუფრით დახვდნენ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრუბულების საიუბილეო წლისთავს.

სულ მაღლე გაისმა ახალგაზრდული ჟივილ-ხივილი, კიბეზე ამომავალთა ფეხის ხმები და აღტაცებული შეძახილები, მართლაც, რომ სასისარულო და საამაყო

დღე პქონდათ ყოფილ თანაკურსელებს. მათ უკვე სამი წელია, არ უნახავთ ერთმანეთი... და აი, გიორგი დგალის ინიციატივით და ორგანიზებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში გაფანტული და საქართველოს სხვადასხვა რაიონში მოღვაწე ყოფილმა თანაკურსელებმა იმ დღეს მოინახულეს მშობლიური უნივერსიტეტის დერეფან-აუდიტორიები, შეხვდნენ და ესაუბრნენ ყოფილი პროფესორ-მასწავლებლების ნაწილს, გადაიღეს სამახსოვრო სურათები და ბეჭისერი დღის ტრადიციული ქართული სუფრით დასაგვირგვინებლად თავი მოიყარეს რესტორანში.

მოხდა ის, რასაც თითქმის ყველა ელოდა. ხალხმრავალი სუფრის თამადად აირჩიეს გიორგი, რომელიც სტუდენტობაშივე გამოირჩეოდა აქტიურობით, ორგანიზაციული ნიჭით, სიახლეების შეთავაზებით, ექსკურსიების ორგანიზებით და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – თამადობის უნარით და მოლხენით.

ჭიქით ხელში წამომდგარი თამადა ერთხელ კიდევ მიესალმა სუფრასთან მჯდომთ, მადლობა მოუხადა მოსვლისათვის, წარმატება უსურვა და ხმამაღლა შენიშნა – ვწუხვარ, რომ მოსვლა ვერ მოახერხა აკადემიურის მირიან ბოლქვაძემ; სუფრის თავში მჯდომმა ერთ-ერთმა პროფესორმა გამოსძახა გიორგის – მოვა, მოვა... ნუ წუხარ... დამირეკა სახლში და მითხრა, სტუმრები მყავს და შეიძლება ცოტა შემაგვიანდესო.

„გახურდა“ სუფრა. დიდიხნის უნახავი კურსდამთავრუებულები ვერ „ძღვენებოდნენ“ ერთმანეთის ნახვით. მოვონებებს ხომ არ პქონდა ზღვარი... იყო ერთი სიცილ-ხარხარი, ხმამაღლალი შეძახილები, თამადის დახვეწილი სადღეგრძელოები და უკვე სიმღერაც კი, როცა კიბის თავში გამოჩნდა დაგვიანებული აკადემიურსი. გახედა სუფრას, ხელის აწევით მიესალმა თავის კოლეგებს და ყოფილ სტუდენტებს და წავიდა თამადისაკენ. აკადემიკოსება გულში ჩაიკრა გიორგი, გადაკოცნა და მერე რაღაც ჩასჩურჩულა ყურში. გიორგიმ იხმო ადმინისტრატორი

და რაღაც დავალება მისცა. სულ მალე, სუფრის თაგში სარეზერვოდ შემონახულ ორ სკამს კიდევ დაამატეს ორი სკამი და აკადემიკოსს, მის სამ სტუმართან ერთად, მიუწინეს ადგილი. ხუთიოდე წუთის შემდეგ შემოსწრებულმა აკადემიკოსმა გიორგის სთხოვა – ორიოდ სიტყვა მათქმევინეო და სავსე ჭიქა აიღო ხელში: „...მაპატიეთ, რომ ცოტა შემაგვიანდა... გილოცავთ დღევანდელ დღეს და მსურს გაცნობოთ, რომ ინდოეთიდან მეწვია ორი ჩემი ასპირანტი საკონსულტაციოდ... მე ვეხმარები მათ საკანდიდატო შრომების დაწერაში და...“

მერე შეტრიალდა და მიმართა თამადას – „ჩემო გიორგი, იმედია ინდოელ სტუმრებს დაამასხოვრებ ქართულ სუფრას... წინასწარ გიხდი დიდ მადლობას, აბა, შენ იციო და გამოცალა ჭიქა. ინდოელი ქალ-ვაჟი გაოცებულები იყურებოდნენ გარშემო; ჯერ ვერ მოესწროთ „გაშინაურება“ და გაკვირვებული სახეებით შესცეკროდნენ ქართულ სუფრასთან და სუფრაზე მიმდინარე პროცესებს.

მათი თანმხლები თბილისელი თარჯიმანი ინგლისურ ენაზე უყვებოდა და უთარგმნიდა ყოველივე ნანახსა და მოსმენილს.

ინდოელი ასპირანტები გაოცებულები და აღტაცუბულები იყვნენ... მათ აქამდეც სმენოდათ ქართული სუფრისა და თამადის „ინსტიტუტის“ შესახებ, მაგრამ არასდროს ყოფილან საოცარი ქართული ტრადიციების უშუალო მონაწილეები. მათმა გაოცებამ პიქს მიაღწია, როდესაც თამადამ მუსიკოსებს რაღაც ანიშნა და მკერდაწეული, ხელებგამლილი სწრაფი ნაბიჯებით გაემართა ინდოელი ქალიშვილისქნ. ამ უკანასკნელმა ვერ გაიგო, რას ითხოვდა თამადა, როცა სკამს წაავლო ერთი ხელი და მეორე ხელით დარბაზის ცარიელი სივრცისკენ იპატიუებდა. თარჯიმანმა მოასწრო ყურში ჩაჩურჩულება და გოგონაც არეული ნაბიჯით მიჰყვა მოპატიუეს.

დამსწრეებმა ერთხელ კიდევ იხილეს გიორგის დახვეწილი ცეკვა „ქართული“ და იხიც, თუ როგორ გა-

ლიაში მომწყვდეული ჩიტივით ფართხალებდა მისი ინდოელი პარტნიორი. გიორგიმ ადგილამდე მიაცილა ასპირანტი, ხელზე ეამბორა, სკამი გამოუწია და დასვა.

იგრიალა ტაშმა... გიორგი თავის ადგილს დაუბრუნდა... სად იყო და სად არა, ხელში შეათამაშა საშუალო ზომის ყანწი და მორიგი სადღეგრძელოთი მიმართა უკვე საკმაოდ შემთვრალ სუფრის წევრებს.

აქადემიკოსმა ბოლქვაძემ იცნო ყანწი... გაახსენდა ეჭ სკურსიებზე სტუდენტებთან გატარებული დაუვიწყარი დღეები და მდინარის პირზე, მწვანე მოლზე გადაშლილი სუფრები... გახარებულმა გასძახა თამადას – „...შენ და ეგ შენი საოცარი ყანწი ძალიან უხდებით ერთმანეთსო“...

ინდოელი ასპირანტი ვაჟი, უკვე ზომაზე მეტად შემთვრალი, სკამზე შეხტა, ხელი თამადისკენ გაიშვირა და იკითხა – რა უჭირავს გიორგის ხელშიო... თარჯიმანმა დაამშვიდა, დასვა სკამზე და დიდხანს დაბალ ხმაზე ესაუბრა ქართული ყანწის რაობაზე. „რაჯ, ემუდარებოდა ინდოელი გოგონა, დაწყნარდი, მალე წაგალთ სასტუმროშიო“...

უკვე მოსაბეზრებელი გახდა რაჯის საქციელი, მაგრამ რას იზამდენენ... ყველამ ხომ კარგად იცოდა, რომ „...სტუმარი ღვთისაა...“

სუფრა გაგრძელდა უკვე შედარებით მაღალ ტონალობაში და ხმაურის თანხლებით. ყველა გრძნობდა, რომ სახლებში წასვლის დროც მალე მოვიდოდა და იმაზეც ფიქრობდნენ, რომ პატივით მიეცილებინათ სასტუმრომდე ინდოელი სტუმრები.

რაც შეეხება თავად რაჯის – იგი საერთოდ არ ფიქრობდა სადმე წასვლას... უფრო მეტიც – მოითხოვა, გინდათ თუ არა, თამადის გვერდით დამსვითო.

შეუსრულეს თხოვნა სტუმარს; გიორგი „დამტვრეული“ ინგლისურით, მოკლედ, სულ რამდენიმე სიტყვით აცნობდა რაჯს ყოველი სადღეგრძელოს მოკლე შინაარსს და ისიც რაღაც ჩანაწერებს აკეთებდა ე.წ. ბლოკნოტში, ხელიდან არ უჭვებდა ყანწს და უკვე მერამდენედ, ალერსით უსვამდა ხელს, ეფერებოდა და ჰკოცნიდა.

მოახლოვდა ქართული საოცარი სუფრის ფინალი

და უფრო ახმაურდნენ საიუბილეო შეხვედრის მონაწილენი და მათი ინდოელი სტუმრებიც.

ვიღაცამ იყვირა – დავასაჩუქროთ ჩვენი სტუმრებიო და ატყდა ერთი ამბავი: ინდოელ ასპირანტს აჩუქეს საყურები, მოქარგული წამოსასხამი, ქართული კერძების რეცეპტები და სხვა; ასპირანტმა რაჯიმ საჩუქრებად მიიღო პორტსიგარი, ბურთულიანი ავტოკალამი, თბილისის ფოტოხელები, ჩურჩხელები და სხვა. თუმცა, ყველამ შეამჩნია, რომ იგი უკმაყოფილო იყო და ხელიდან არ უშევებდა ყანწს, ეფერებოდა და ჰქოცნიდა...

მირიან ბოლქვაძემ გასძახა თამადას: „... ჩემო გიორგი, ვიცი, რომ მხელია, მაგრამ უმორჩილესად გთხოვ, აჩუქე ეგ ყანწი ჩემს ასპირანტს... არც ეგ და არც მე, არასდროს დაივიზიწყებთ შენს სიკეთეს, ოღონდ ყანწზე ამოფხაჭნე რამე ნიშანი, ან შენი ინიციალები, რომ არასდროს დაივიზუოს ჩვენმა სტუმარმა ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობა და ხელგაშლილობა.

გიორგიმ, როგორც იქნა, გამოართვა მცირე მოცულობის ყანწი ინდოელ სტუმარს, შეავსო და ხმამაღლა მიმართა წასავლელად აფუნცუსებულ სუფრის წევრებს – „...მადლობა ყველას ყველაფრისათვის, ღმერთმა კარგად გამყოფოთ, მრავალჯერ შევხვედრილიყავით ერთმანეთს – სოქვა ხმამაღლა, ყანწი გამოსცალა და გააგრძელა... ახლა, ნება მომეცით, ჩვენს ძვირფას ინდოელ სტუმარს საჩუქრად გადავცე ყანწი... სოქვა ეს და ყანწის ბოლოში თევზის კუდის მსგავსი, ფერადი ლითონის საცმის ზედაპირზე ამოფხაჭნა ინიციალები – გ.დ. მას მიბაძეს სხვებმაც და ბედნიერმა რაჯმა გულში ჩაიხუტა ძვირფასი საჩუქარი.

ახლა კი, ძვირფასო მკითხველო, თქვენის ნებართვით, დაგუბრუნდები ანასეულში მიმდინარე მსოფლიოს ჩაის მრეწველობის ქვეყნების წარმომადგენელთა სამეცნიერო კონფერენციას, რომელზედაც ხანდაზმულ პროფესორს, გიორგი დვალს, სიტყვა შეაწყვეტინა დარბაზში მჯდომმა ვიღაც სტუმარმა, სიტყვებით: „კანცი“, „კანცი“-ო...

ახლა გიორგიმ ატეხა ყვირილი „მაი ბრადერ, რაჯ, ჰაუ არ იუ“ და აჩქარებული ნაბიჯებით გაემართა სცენიდან დარბაზში ჩასახვლელი კიბისკენ. სცენისკენ გარბოდა ყანწით ხელში ინდოელი სტუმარი და თან გაჰკიოდა „კანცი“, „კანციო“...

კიბესთან შეხვდნენ ერთმანეთს... გადაეხვივნენ და დიდხანს იყვნენ ჩახუტებულები...

თვალზე ცრემლმომდგარი ინდოელი სტუმარი გიორგიმ აიყვანა სცენაზე და წარუდგინა პრეზიდიუმს, შემდეგ კი, მორიდებულად სთხოვა პროგრამის წამყვანს სცენაზე დაეტოვებინა ინდოელი სტუმარი. პროგრამის წამყვანი საკმაოდ აღელვებული და გაბრაზებულიც კი ჩანდა, ლამის ჩაეშალა პროგრამა, თუმცა, ქართულმა სტუმართმოყვარეობამ კვლავ იმძლავრა და რაჯი მიუსვეს პრეზიდიუმის მაგიდას.

გიორგიმ წაიკითხა დღის წესრიგით გათვალისწინებული თავისი მოხსენება და ტაშის ხმაურში თავმჯდომარისგან ითხოვა, რომ ორიოდ წუთი დაეთმოთ ინდოელი სტუმრისთვის. გაბრაზებულობის „ზონიდან“ გამოსულმა და დამშვიდებულმა წამყვანმა სცენიდან იხმო თარჯიმანი და მსოფლიოში აღიარებული სამეცნიერო კონფერენციის წაყვანის მიღებული ტრადიციების სრული დარღვევით, ტრიბუნისკენ მიუთითა ინდოელ რაჯს, რომელიც ძლივს იკავებდა თვალზე მომდგარ ცრემლს:

„...ოცდაათი წელი ველოდი მომენტს, როცა შევძლებდი საქართველოში ჩამოსვლას და მსოფლიოში ცნობილ მეცნიერებთან შეხვედრას, ასევე მათთან ქართულ სუფრასთან ერთად ჯდომას, ვინც მაზიარა ძვირფას ქართულ ტრადიციებს და მაჩუქა უძვირფასესი ნივთი... თქვა ეს სიტყვები და ჰაერში შეათამაშა რესტორან „არაგვში“ ოცდაათიოდე წლის წინ მიღებული საჩუქარი, ჯიხვის პატარა რქა, მრავალი ნაფხაჭნი ასობგერგბით და სხვადასხვა სიმბოლოებით.

დიდი მადლობა, ჩემო ქართველებო, მიყვარხართ... სთქვა ხმამაღლა, ხელში შეათამაშა ყანწი და სწრაფად გაემართა დარბაზისაპერ.“

## ვაი და ვუი

გვიანი შემოდგომის ერთ წეიმიან შაბათ დღეს, ლიტ-ერატურის მოყვარული რამდენიმე მეგობარი, მრავალ-წლიანი ტრადიციის ერთგულებით, შეიკრიბა მათეს სტუმართმოყვარე ოჯახში და საამო ჭუკჭუკით და იუ-მორისტული გადაძახილებით შემოუსხდა თათარიახნ სუფრას.

როგორც წესი, თამადობდა ოჯახის პატრონი, რო-მელმაც მისთვის ჩვეული რიხით მიირთვა პირველი სა-დღეგრძელო, დალოცა სუფრის წევრები, სამშობლო და ანთებული სანთლის წინ გადაიწერა პირჯვარი.

სუფრის მიმდინარეობას ჰქონდა მხიარული ელფუ-რი – იუო ანეკდოტები, ირონია, სარკაზმი, ანდაზები, ჩაღილინება, სიმღერა და პატრიოტული სულისკვეთება.

მეგობრებისა და მეგობრობის სადღეგრძელოს წარ-მოთქმა ითხოვა სუფრის ერთ-ერთმა წევრმა, მაგრამ თამადამ უარი უთხრა მოწყენილ-გაწმილებული იერით და სიტყვებით: „ბიჭებო, მოდით, დღეს გადავდოთ ეგ სადღეგრძელო, რაღაც-რაღაცები მინდა დავაზუსტო და შემდეგ შეხვედრებზე აუცილებლად ხოტბას შევასხამთ მეგობრობას და მეგობრებსო“.

სუფრის წევრებს გაუკვირდათ თამადის ასეთი გან-წყობა, ვერ იგებდნენ, თუ რა ხდებოდა და ჯიუტად სთხოვდნენ ეთქვა – რაში იუო საქმე და რა მოხდა ისეთი, რომ ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას სადღეგრძე-ლოსადმი ასეთი განწყობილება ჩამოუყალიბდა. მათე თაგს იკავებდა და სხვა სადღეგრძელოსთვის ემზადე-ბოდა, მაგრამ თანამესუფრენი არ მოეშნენ და ბოლოს მაინც ათქმევინეს სათქმელი.

მათემ სავსე ჭიქა მაგიდაზე დადგა და დაიწყო:

„...თქვენ, ყველანი კარგად იცნობთ ჩემს დეიდაშ-ვილს თიკას, ბიბლიოთეკაში რომ მუშაობს... ორი დღის წინ მთხოვა, სასწრავოდ მივსულიყავი მასთან, რათა ხელიდან არ გამეშვა მეტად უცნაური, მაგრამ საინ-

ტერესო რამ... თიკა მომიყვა ასეთი ფაქტის შესახებ: „ბიბლიოთეკაში შემოვიდა დაახლოებით 20-25 წლის ახალგაზრდა კაცი, რომელმაც დიდხანს დაჟყო ჩვენთან და გადათვალიერა ქართველი პოეტების ოცამდე წიგნი... მერე ერთ წიგნზე მიმითითა და რაღაცნაირი უცნაური ქართულით მკითხა, თუ ვიცნობდი მის აგზორს, ან ტელეფონი თუ იყო ჩემთვის ცნობილი... ვუკარნახე ტელეფონი და იქვე, ჩემი თანდასწრებით, დაურეკა წიგნის ავტორს... მათი საუბრის მოკლე შინაარსი ასეთი იყო... უცხო ახალგაზრდა ეუბნება: მე ვცხოვრობ ესტონეთში, იქ ვმუშაობ... მიყვარს პოეზია და ვმეგობრობ რამდენიმე ესტონელ პოეტთან... თუ მაჩუქებთ თქვენს წიგნს, წავიდებ და შევეცდები რამდენიმე თქვენი ლექსი ვათარგმნინო და გამოვაქვეყნო ადგილობრივ ესტონურ რომელიმე ლიტერატურულ გაზეთში ან ჟურნალში... თუ თანახმა ბრძანდებით, დატოვეთ ამ ქალბატონთან და მე, როგორც კი მოვახერხებ, გავივლი და ავიდებ... წინასწარ გიხდით დიდ მადლობას...

აბა, მითხარი, ჩემო კარგო, მეუბნება დეიდაშვილი თიკა, რომელ ავტორს არ გაეხარდება ასეთი რამ?! ორი-ოდე წუთი კიდევ ისაუბრეს ტელეფონით და ახალგაზრდა ფაციფუციო გაიქცა, დამიტოვა რა ქაღალდის ნაგლეჯზე თავისი ტელეფონის ნომერი მობოდიშებით და უდრმესი მადლობით.

ერთი საათიც არ იყო გასული, რომ წიგნის ავტორი მოვიდა, მოიტანა წიგნი ესტონელი ქართველისათვის და დანახებით წარმოსთქვა – კარგი იყო დაეცადა, მაგრამ რას ვიზამ... აი, წიგნი და იმედია, მოვა წასაღებადო. დაამთავრა სათქმელი თიკამ და მაჩვენა წიგნი.

მეც და თქვენც კარგად ვიცნობთ იმ წიგნის ავტორს. გააგრძელა მათემ; საქმაოდ ცნობილია, საუკეთესო ლექსებით გამოირჩევა და არც დაფასება აკლია, მაგრამ მისი ავტოგრაფის წაკითხვის შემდეგ, ცოტა არ იყოს, შემეცვალა შეხედულება მეგობრებისა და მეგობრობის მცნების შესახებ... ვერ გამიგია, როგორ შეიძლება შენთ-

ვის უცნობ ადამიანს უწოდო შენი მეგობარი და თანაც შეამკო უადგილო და უსაფუძვლო დითირამბებით.

აი, ავტოგრაფის ტექსტი:

„ქართული პოეზიის მომავალ ვარსკვლავს, საოც-რად ნათელი მომავლის შემოქმედს, დიდ პატრიოტსა და მაღალი სულიერებით შემკულ ჩემს უმცროს, საა-მაყო მეგობარს საუკეთესო სურვილებითა და დიდი იმედებით“.

ქართული ვარსკვლავ  
 კართული, ხავათ მარკა  
 მარკა უმცროს, მარკა  
 უმცროს კართული  
 ხავათ უმცროს ჩემ  
 უმცროს უმცროს ჩემ  
 უმცროს უმცროს ჩემ  
 უმცროს უმცროს ჩემ  
 უმცროს უმცროს ჩემ

საუკეთესო სურვილები

აი, ჩემო ძვირფასო თანამესუფრენო, თურმე, შეიძლება კაცს უწოდო მეგობარი, ნათელი მომავლის შემოქმედი ვარსკვლავი და მაღალი სულიერების მატარებელი და ა.შ. როცა მასთან გაკავშირებს ტელეფონით საუბრის მხოლოდ ორიოდე წუთი.

მოდი და ამის შემდეგ ნუ იფიქრებ მეგობრისა და მეგობრობის შესახებ სადღეგრძელოს არსისა და ფორმების გადახედვაზე.

თიკასგან ავიდე ნებართვა და „ისტორიული“ ავტოგრაფი დავაფიქსირე მობილური ტელეფონით.

დაამთავრა თამადამ და სავსე ჭიქისკენ წაიღო ხელი.

## ეგ უკვე მოცდა, „ქაბატოჯან“

კობა კაბულაშვილი ორი კვირით იყო მივლინებული თბილისის ავტომატიკის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში სამსახურებრივი დავალებების შესასრულებლად. აი, ახლაც, მაისის ერთ მთიან დილით, თბილისისკენ მიმავალი მატარებლის მოლოდინში, ბოლოთას სცემდა ქალაქ გორის რკინიგზის სადგურის პერონზე. მოლარეებისაგან იცის, რომ მატარებელი არ აგვიანებს და კობაც იმ ადგილზე გადი-გამოდის, სადაც, მისი აზრით, ახლოს იქნება ვაგონში ასასვლელი კიბე.

პერონი სავსეა ხალხით და რაც მთავარია – კალათებით, ტომრებით, ჩანთებით და სხვა საშუალებებით, რომლებითაც დედაქალაქში მიაქვთ ხოლმე ხილ-ბოსტნეული.

მატარებელი ჩამოდგა გრაფიკის შესაბამის დროს.

ხალხო, გვაცალეთ ჩამოსვლა... ნუ გეშინიათ – არ დარჩებით... ყველა დაეტევით, ხალხო, ვაცალოთ ერთმანეთს, ნუ ფიცხობთ... გაისმა ხმები და ზოგჯერ უხამსი შეძახილებიც კი კალათ-ვედრებ-გოდორ-ტომრების ქაოსში.

კობა მოთმინებით შესცემოდა მოვლენებს. სამდინარება პრაქტიკაში იგი დაარწმუნა იმაში, რომ ყველა მოასწრებს თავის საქმეს... უფრო მეტიც – დროც კი დარჩებათ კინც ახლა ჯიკაბაში და ერთმანეთის სიტყვიერ შეურაცხყოფაში „ვარჯიშობს“.

კიბეზე ჩამოსვლისას, ერთმა დაახლოებით 40-45 წლის, მოხდენილი ტანისა და პირ-სახის სილამაზით მიმზიდველმა ქალბატონმა, როგორც ჩანს, ფეხსაცმლის მაღალი ქუსლი გამოსდო კიბის რაღაც დეტალს, ჩანთა ხელიდან გაუვარდა და შემზარავი კივილით დაენარცხა ასფალტს. იქვე მდგომი კობა ეცა ქალბატონს, სიტყვიერად დაამშვიდა და თრივე ხელით წამოყენებას ცდილობდა.

ქალს საკინძე გახსნოდა და კობას შემოანათა თრმა თეთრად მოელვარე „ბირთვმა“, რომ აღარაფერი ვთქ-

ვათ გაშიშვლებულ საოცარ ბარძაყებზე. გონება აებნა, მუხლები აუკანკალდა და ხელებში თითქოს მალა გამოელიაო, ისე გამოიყურებოდა... ჩაბჟირებული ათვალიერებდა უეცრად მოვლენილ ჯადოსნურ სიმშვენიერეს და ნერწყვის ყლაპვასაც კი ვერ ახერხებდა... მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ რამდენიმე წამით... ქალი, დამამშვიდებელი სიტყვებით, დააყენა ფეხზე და ის იყო რაღაცის თქმას აპირებდა, როცა ქალმა ზიზღით პკრა ხელი და ხმამაღლა მიაყვირა: „...მომშორდი, შე საზიზდარო, შე არამზადავ და გარყვნილო... სად მიყურებდი ასე ჩაბჟირებული, რომ გონება გაგებნა... შე უზრდელო და უხამსო... ნეტავ, ვინ გაგზარდა ასეთი... და ასე შემდეგ. ქალმა არ დაიშურა სალანძღავი სიტყვები და მილიციელსაც კი გასძახა პერონზე – დაიჭირეთ ეგ ხულიგანი და უტიფარიო...“

ამასობაში მატარებელი დაიძრა და ნელი „ხოდით“ წავიდა ობილისისკენ. სადგურის მორიგე მილიციელს კი დარბაზის მიმართულებით მიჰყავდა მატარებელს ჩამორჩენილი კობა. ე.წ. „სასწრაფოს“ ექიმები კი თავზე დასტრიალებდნენ მუხლებგადაყვლეფილ ქალბატონს, რომელიც ძლივს მოასულიერეს.

ამ ამბის შემდეგ გავიდა კიდევ ათი-თერთმეტი დღე და კობა დაუბრუნდა თავის ძირითად სამუშაო ადგილს, გორის კვლევით სამეცნიერო ინსტიტუტს. მონატრებულმა ჩამოუარა თავის მეგობარ-კოლეგებს, მოიკითხა, მოეფერა და საღამოსთვის სახლში მიიპატიქა. განსაკუთრებით მოენაგრა ხაშურელი ლაბორანტი გოგონა სახელად ეკა, რომელიც, როგორც იტყვიან ხოლმე – „ერთის ნახვით შეუყვარდა“ და ეს მოხდა დაახლოებით შეიდირვა თვის წინ, როცა ეკა ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ გაანაწილეს სამუშაოდ ხსენებულ დაწესებულებაში.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ, მეგობრები შეიკრიბნენ კობასთან და, როგორც ხშირად ყოფილა, მხიარულად გაატარეს სადამო – სასაცილო ამბების მოყოლაში, სიმღერასა და ცეკვაში.

მეგობრებმა კარგად იცოდნენ კობასი და ეკას შეყვარებულობის ამბავი; ისიც იცოდნენ, რომ მალე ჯვარსაც დაიწერდნენ და ემზადებოდნენ საიმისოდ. ახლაც დაინტერესდნენ და შეკითხვები დააყარეს – როდის უნდა გაგვახაროთო.

ეკამ ალექსიანი მზერით შეხედა კობას და მხარზე დაადო თავი სიტყვებით: „მამაჩემს უთქვამს კობასთვის, მე თანახმა ვარ, დედას შეხვდით და უთხარით თქვენი ამბავი, მე მის გარეშე ვერ...“ და აღარ დაამთავრა სათქმელი...

იქნე, სუფრასთან გამოითქვა მოსაზრება, რომ ეკას და კობას უახლოესი მეგობრები ეწვეოდნენ ხაშურში ეკას ოჯახს და „ჩააწყობდნენ“ საქმეს, მაგრამ კობას არ მოეწონა ასეთი კომბინაცია და მტკიცედ განაცხადა – მეგობრებო, თქვენ დამშვიდდით, მე თვითონ მივხედავ საქმესო...

მხიარული საღამო გაგრძელდა, ყვებოდნენ ათასნაირ ამბებს, იცინოდნენ და ხარობდნენ ერთად ყოფნით... ვინ რას მოყვა, ვინ რა გაიხსეხა და ა.შ.

კობასაც შეუჩნდნენ – შენც მოყევი რამე, არაფერი გაქვს საინტერესო მოსაყოლი, რომ ვიცინოთო და ყველამ ერთად გადაიხარხა...

კობამ კი შეავსო ჭიქა და თქვა, სასაცილოს ვერაფერს მოგიყვებით... აი, საინტერესო ამბავს კი სიამოგნებით გაგაცნობთო და დაიწყო: „...ამ რამდენიმე დღის წინ, რკინიგზის სადგურში თბილისისკენ მიმავალ მატარებელს ველოდი, პერონზე მივდი-მოვდოდი...“

და დეტალურად მოყვა კობა თქვენთვის უკვე ცნობილ მიკროთავგადასაგალს, ძვირფასო მკითხველო, რაც მას შეემთხვა გორის რკინიგზის სადგურში...

დამთავრებული არ ჰქონდა სათქმელი, როცა სკამიდან სწრაფი მოძრაობით წამოხტა ება და გაიქცა მეორე ოთახისკენ.

ყველამ გაოცებით გააყოლა თვალი. რა მოხდა, ვერავინ მიმხვდარიყო; ფაქტი კი ის გახლდათ, რომ ეკამ

თვალებზე აიფარა ხელები და გაშმაგებული ეძგერა მეორე თთახში შესასვლელ კარებს.

კობამ დაამშვიდა სტუმრები, ნუ ღელავთ, ეხლავე გავიგებ, რა მოხდა, არ დაიძრათ ადგილებიდანო და სასწრაფოდ შევიდა იმ თთახში, სადაც ეკა შევარდა ერთიანად აღშფოთებული და გამწარებული.

კობას თვალცრემლიანი შეეგება ეკა, ჩამოეკიდა კისერზე და სლუქუნით უთხრა – ახლა რა გვეშველება, როგორ მოვიქცეთ... ის ქალი დედაჩემი იყო. ერთი კვირის წინ მომიყვა, რაც შეემთხვა პერონზეო და მორთო ხმამაღალი ქვითინი...

შემოცვივდნენ მეგობრები და ყველა გაოგნებული დარჩა გაგონილით... ვეღარ წარმოედგინათ, როგორდა მოახერხებდნენ კობას და ეკას შეუდლებას, მას შემდეგ, რაც სასიძოს გადახდა.

ყველა უცბად გამოფხიზდდა და სამომავლო ნაბიჯებზე დაიწყეს ფიქრი და მსჯელობა.

ამ საღამოდან გავიდა თითქმის ორი თვე და ეკამ შებედა კობას – იქნებ მოინახულო ჩემი მშობლები და მოაგვარო საკითხი... მე დედაჩემის თანხმობის გარეშე ვერ გამოგვები ცოლადო...

საგონებელში ჩავარდა კობა, რა მოემოქმედა, არ იცოდა. მეგობრებმა იფიქრეს, იფიქრეს და კობას მიადგნენ წინადადებით – მოტაცების იმიტაცია მოვაწყოთ და მერე „ძალით“ წაგიყვანო ხელმოსაწერადო... დაითანხმეს ეკაც და სისრულეში მოიგვანეს ჩანაფიქრი. მოელი ინსტიტუტი და ქალაქიც ალაპარაკდა გავრცელებულ ამბავზე. ათოვდე მეგობარმა გაითამაშა სანახაობა და პარასკევ საღამოს შამპანურის ბათქაბუთქით ოფიციალურად აღნიშნეს და იურიდიულად გააფორმეს ახალგაზრდების შეუდლება და ახალი ოჯახის შექმნის ფაქტი.

არასდროს დაავიწყდებათ ეკას და კობას ის დღე და რაც უმთავრესია – ის ღამე.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, ეკამ მუდარით მიმართა მეუდლეს – ძალიან გთხოვ, მომისმინო და გაა-

კეთო ის, რასაც გთხოვ; არ შემიძლია სხვაგვარად, ვერ ვიქნები მშვიდად, თუ დედაჩემს არ ვეტყვით ყველაფერს. ხვალ მშობლები აპირებენ თბილისში წასვლას, საიუბილეო ზეიმზე, დახვდი გორში და მუხლებზე დაუცი მის წინაშე თხოვნით და მუდარით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია უერთმანეთოდ და რომ დაგვრთოს ნება, შევეუდლდეთ და აიღოს თავის თავზე სიდედრობის ვალდებულება... თბილისამდე რომ დაგჭირდეს გაყოლა, გაჟყევი... „ხელცარიელი“ არ დაბრუნდე, თორემ განქორწინებაზე დავიწყებ ფიქრსო...

გადაეხვია, გადაკოცნა და გაამხნევა საყვარელი მეუღლე.

მტერს არ ვუსურვებ, ძვირფასო მკითხველო, ისეთ დამეს, როგორიც კობამ გაატარა...

გათენდა და დაიძრა რკინიგზის სადგურისკენ. ეკასგან იცოდა, თუ რომელ ვაგონში იქნებოდნენ მშობლები. დაიწყო წინდაუკან ნერვიული სიარული. მალე მატარებელი გამოჩნდა. კობას ადარ დაუყოვნებია და ნახტომებით შევარდა საჭირო ვაგონში, მონახა ის კუპე, სადაც ეკას მშობლები იყვნენ, მუხლებზე დაეცა და შეევედრა სასიდედროს (თუმცა, ოფიციალურად უპვე სიდედრს), რომ მიეცა ნებართვა ეკასთან ერთად შეექმნა ოჯახი...

ეკას მამამაც სთხოვა მეუღლეს, წასულიყო დათმობაზე, მაგრამ...

ეკას დედა ჯერ გაოცდა და გაფითრდა, მერე წამოხტა აგაზასავით და განწირული ხმით იკიფლა – „ეგ არ მოხდებაო“...

გამწარებულმა კობამ ხმამაღლა მიაყვირა – „ეგ უპვე მოხდა, ქაბატოჯან, ეგ უპვე მოხდაო“ და თავაწყვეტით გაიქცა ვაგონიდან ჩასასვლელი კიბისკენ.

ზურგსუკნიდან ხმები გაისმა – „სასწრაფო, გამოიძახეთ, სასწრაფო“...

## იმიტირებული სასაფლაო

მერვე კლასში იყო ვიქტორ ჭაბუკიანი, როდესაც სკოლაში ინგლისური ენის ახალი მასწავლებელი გამოჩნდა, მესხიშვილი. ის დრო იყო, როცა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდისათვის დამახასიათებელი პროცესები მიმდინარეობდა – იგულისხმება განსაკუთრებული უურადღება და დაფასება ისეთი აუცილებელი საკითხებისადმი, როგორებიც იყო – ეკონომიკა, განათლება, კულტურა, სპორტი, ხელოვნება, აღმშენებლობა, მედიცინა, ლიტერატურა და ა.შ.

ახალი დებულება შევიდა ძალაში, რომ განსაკუთრებით წარმატებული მოსწავლეებისათვის, ჯილდოს სახით, გადაეცათ ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები, რაც გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების მსურველებს.

ნებისმიერი „ფერის“ მედლის მიღებას კი ესაჭიროებოდა უცხო ენის განსაკუთრებულად კარგი შესწავლა და ცოდნა.

ინგლისური ენის ახალმა მასწავლებელმა, გარეგნობით საქამაოდ სიმპათიურმა და მერვე კლასელი ვაჟებისათვის მიმზიდველმა, სულ რაღაც ოთხიოდე თვის წინ, უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულმა მესხიშვილმა, იცოდა რა თავისი „წონისა“ და ზოგადად – მრავალი სახის აუცილებლობის შესახებ, საკმაოდ მკაცრ რეჟიმში ატარებდა გაკვეთილებს და ხშირად უხეშადაც კი მიმართავდა და მიუთითებდა მოსწავლეებს.

ნებისმიერ ასაკს აქვს მისთვის ხაზგასმული ნიშან-თვისებები და ამ მხრივ არც „ჩვენი“ მერვეკლასელები იყვნენ გამონაკლისები, რომლებიც ზოგჯერ „სხვა კუთხითაც“ უცქერდნენ ინგლისურის პედაგოგს. მასწავლებელმა შეამჩნია მომწიფებული ბიჭების მზერა, ინტერესი მისი პიროვნების მისამართით და ისედაც მკაცრი და დაუნდობელი, სულ გამწარდა და გაბოროტდა – აღარ ინდობდა აღსაზრდელებს და სულ მცირე და უმნიშვნელო რამის გამო სასტიკად უსწორდებოდა და კიცხავდა.

დორ გადიოდა; პედაგოგსა და მოსწავლეებს შორის საქმაოდ დაიძაბა ურთიერთობა – პედაგოგი არ და ვერ ურთიერთოდა მოსწავლეებს, ზოგ შემთხვევაში, არასერიოზულ მიდგომას სწავლის საკითხებისადმი და ზოგჯერ კი, მათ მოძალებულ ბიჭურ გამოგლინებებსაც კი.

ერთი მხარეც უძლებდა შექმნილ ვითარებას და მეორე მხარეც ეძებდა გამოსავალს, რაღაც დორ გადიოდა მედლების ბრწყინვალება სულ უფრო ახლობელი და სანატრელი ხდებოდა.

პედაგოგმა ვერ გამონახა საერთო ენა, ოუნდაც პოზიცია, რომ რამენაირად გაეუმჯობესებინა ურთიერთობა ვაჟთა სკოლის მერვეკლასელებთან, პირიქით – მისი მწარე და ზოგჯერ უხამსი გამონათქვამების გამო, მერვეკლასელებმა გადაწყვიტეს შეკრებილიყვნენ საკუთალურად და ემსჯელათ პრობლემის მოგვარებაზე ისე, რომ „...არც მწვადი დაეწვათ და არც შამფური...“

იმსჯელეს და გადაწყვიტეს – „დაესაჯათ“ ინგლისური ენის, მათი წარმოდგენით, ავი და ბოროტი პედაგოგი და მოეწყოთ სცენა, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

კიქტორ ჭაბუკიანმა (კლასის ორგანიზატორმა) თანაკლასელებს შესთავაზა საკმაოდ ორიგინალური, ოუმცა სარისკო და უცნაური სანახაობის მოწყობა, რაც განახორციელეს კიდევ.

იმ კვირაში, პარასკევ დღეს, ბოლო გაკვეთილი იყო ინგლისური ენის, ანუ მესხიშვილის.

კლასის ორგანიზატორმა, კიქტორმა ერთხელ კიდევ შესახენა თანაკლასელებს – რა უნდა გაეკეთებინათ და შესვენებაზე შეუდგნენ „საქმეს“.

მათი კლასის შესასვლელი კარი მეორე სართულზე ასასვლელი კიბის კონსტრუქციით იყო ნაწილობრივ ჩამოფარებული დღის სინათლისგან და ოთახში შედარებით ნაკლები შუქი აღწევდა, მითუმეტეს ზამთრის თვეებში და მოღრუბლელ ამინდში.

სწორედ ასეთი დღე გახლდათ მერვეკლასელთა ჩანაფიქრის განხორციელების დღე.

ბიჭებმა, პირველ რიგში სინათლის ჩამრთველი დაა-


ზიანეს, ისე რომ კლასში საკმაოდ ბნელოდა. მერე კი ექვ-  
სი მერხი ერთმანეთზე დააწყეს ორ „სართულად“ (სულ  
ექვსი მერხი იყო კლასში, რადგან მხოლოდ ოორმეტი  
ბიჭი იყო „სრული“ კონტიგენტი), შესხდნენ მერხებში,  
ჩამოკიდეს ყველა მერხზე ყვავილების გვირგვინები,  
ყოველმა მათგანმა „თავის“ მერხზე დაანთო სანთელი და  
ჩამოსასვლელთან ახლოს მიიტანეს მასწავლებლისთვის  
განკუთვნილი სკამი, რომელზედაც ასევე განათავსეს  
ხის დიდი ჯვარი და საკმაოდ მოზრდილი სანთელი.

დაირეკა შესვენების დამთავრების მაუწყებელი ზარი  
და, რომ იტყვიან, „სამარისებურმა“ სიჩუმემ დაისადგურა  
მერვეკლასელთა სასწავლო ოთახში.

არ გასულა ერთი წუთიც და კლასის კარები შეადო  
ინგლისურის მასწავლებელმა, რომელიც ჯერ გაქვავდა  
ადგილზე ნანახით, მერე გამოშერეული, შიშისგან გა-  
ფართოებული თვალებით და დაძაბული მზერით წამში  
შეტორგმანდა და გაიშხლართა იატაკზე.

სკოლის პედაგოგთა შემადგენლობა და თავად დი-  
რექტორიც ნახევარი საათის განმავლობაში ასუ-  
ლიერებდნენ გონებადაკარგულ ახალგაზრდა პედაგოგს.

საიდანდაც შორიდან მოისმოდა სასწრაფო სამედი-  
ცინო დახმარების ექიმების ქოთქოთის ხმები.



## თუში გოგოს „ჩითები“

უნივერსიტეტის საბუნები-სმეტყველო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, რევაზი სამუშაოდ გაამწესეს ქ. გორის სატყეო მეურნეობაში, ხოლო ოთხი წლის შემდეგ მას შეუცვალეს სამსახურებრივი არეალი და მან, მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება მიუძღვნა მშობლიური კახე- თის, ქერძოდ კი, თელავის რაიონის სატყეო მეურნეობის სტრუქტურების სრულყოფისა და შემდგომი განვითარების უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ეროვნულ საქმეს.



რევაზმა, თავისი ენერგიულობით და ორგანიზაციული ნიჭის წყალობით, სულ რადაც ორ-სამ წელიწადში მოიპოვა დიდი პოპულარობა და პეტივისცემა. ის, ასევე გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით და სუფრის თამაღობით.

ერთხელაც, ზამთრის ცივ დღეს, რევაზს სტუმრად ეწვია მისი ყოფილი თანაკურსელი და კოლეგა, ყვარლის რაიონის მადალმთიანი სოფელ ომალოდან – ნოკოლოზ ბართიშვილი.

მთელი დამე სუფრას უსხდნენ თელაველ მეგობრებთან ერთად. საქმიანი საუბრებისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლის და ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტის გზების მოძებნის შემდეგ შეუდგნენ ქართული სუფრისათვის დამასახიათებელ და ტრადიციულ მოლენას სიმღერის, ცეკვისა და შინაარსით უმშვენიერესი სადღეგრძელოების დემონსტრირებას.

საერთო აღიარება მოიპოვა სტუმრის მიერ რევაზისთვის საჩუქრად მირთმეულმა, ცხვრის მატყლისგან მოქსოვილმა სვიტრმა, რომელიც ალაგ-ალაგ შელამა-

ზებული იყო ფერადი ნაქსოვით. კმაყოფილების ტალ-დამ გადაუარა სუფრას. რევაზი გადაეხვია ნიკოლოზს და ხმამალლა წარმოსთქვა – „...თითქოს თონეში ჩაგ-ჯექი, ეს რა თბილი ყოფილა თუშური მატყლიო“.

ვინ მოქსოვა ეს სვიტრით, იკითხა რევაზის ერთ-ერთ-მა მეგობარმა, ალბათ, თქვენმა მეუღლემო?!.

– არაო, უპასუხა სტუმარმა, ჩემმა ქალიშვილმა მარი-ამმა მოქსოვა, მამა ენაცვალოსო...

– რამდენი წლისაა შენი გოგოო, ჰკითხა რევაზმა და სუფრის ბოლოში მჯდომ თავისი ვაჟიშვილისკენ გაექცა მზერა.

– შემოღვომაზე ჩვიდმეტი წლის გახდებაო, სიამაყიო უპასუხა სტუმარმა.

რევაზმა შეავსო ყანწი და მიმართა სუფრასთან მსხ-დომთ – ამ სასმისით, მსურს, შემოგთავაზოთ მარიამის სადღეგრძელო... ვენაცვალე მის თითებს, ღმერთმა სიხ-არული და ბედნიერება არ მოაკლოსო... წარმოსთქვა თამადამ ეს სიტყვები, გამოცალა ყანწი და მრავალმნიშ-ვნელოვანი მზერით კვლავ გახედა თავის ვაჟიშვილს. იქვე დაამატა – ჩემო ნიკოლოზ, მომავალ წელს ჩემი ბიჭი გიორგი ამთავრებს საშულო სკოლას და აუცილებ-ლად გესტუმრებით, მინდა, მას ვაჩვენო ულამაზესი მთათუშეთიო.

გავიდა დრო, გიორგიმ ოქროს მედლით დაამთავრა სკოლა და უმაღლესი განათლების მიღების მიზნით, საბუთები შეიტანა იმ უნივერსიტეტში, სადაც მრავალი წლის წინ სწავლობდა მამამისი.

თბილისში წასვლამდე სამი-ოთხი თვე იყო დარჩენილი და გიორგის კლასელებმა გადაწყვიტეს ემუშავათ მშენე-ბარე თბიექტებზე ცოტაოდენი ფულის საშოვნელად, რათა სწავლის საწყის ეტაპზე ძალიან არ გასჭირვებოდათ და „ორიოდ შაურიც“ ჰქონდათ „ჯიბის ფულად“.

სულ მაღლე მამამ გიორგის უთხრა, რომ მეგობრები აპირებდნენ მთათუშეთში წასვლას და რომ იგი მომზა-დებულიყო მათთან ერთად სამოგზაუროდ.

რევაზის ერთ-ერთმა მეგობარმა უთხრა გიორგის, რომ მისთვის შეარჩიეს ყველაზე კარგი „მატარებელი“ ცხენი და რომ მას არ გაუჭირდებოდა მგზავრობა საქმაოდ შორ მანძილზეც კი.

გიორგიმ პირველად გაიგო კარგი „მატარებელი“ ცხენის შესახებ. მას აუსხნეს – ზურგს თითქმის არ არხევს და სიჩქარეში კი ყველას სჯობნისო... ისე, რომ რევას საერთოდ ვერ იგრძნობო... და სულ მაღვე დარწმუნდა გიორგი მოსმენილის ნამდვილობაში.

დილით, ადრე, ოთხი ცხენსანი გაუდგა ურთულეს, მაგრამ ულამაზეს გზას მაღალმთიანი სოფელ ომალოს მიმართ ულებით.

აღტაცებული იყო გიორგი საოცარი სანახაობით, ასეთი სილამაზე მას ვერ წარმოედგინა, თუ სადმე არ-სებობდა – მთის ბილიკები, აქაფებული სწრაფი ნაკადულები, პატარ-პატარა ჩანჩქერები, აშოლტილი ხეები, ბუჩქებში მოფუსფუსე კურდღლები, ციყვები, კოდალები და რა აღარ. პირდადებული და გაოცებული თვალებით უცქერდა ყოველივეს გიორგი და გულში დიდ მადლობას უძღვნიდა მამას და მის კოლეგა-მეგობრებს ასეთი სიამოვნებისათვის.

მიიწევდნენ სულ მაღლა და მაღლა. სადღაც შეაგზავნები მათ შეეგებნენ ეგერი ნიკოლოზი და მისი რამდენიმე ახლობელი. ნიკოლოზის ოჯახში (სადაც ბინა დაიდეს თელაველებმა) მათ ელოდათ გაშლილი სუფრა და საოცრად თბილი და მოალერსე ნიკოლოზის მეუღლე და ორი შვილი.

თითქმის ბინდდებოდა, როცა სოფელ ომალოს შესახლელში მათ შეეგებნენ ეგერი ნიკოლოზი და მისი რამდენიმე ახლობელი. ნიკოლოზის ოჯახში (სადაც ბინა დაიდეს თელაველებმა) მათ ელოდათ გაშლილი სუფრა და საოცრად თბილი და მოალერსე ნიკოლოზის მეუღლე და ორი შვილი.

\* ეგერი – მეტყველების სპეციალისტი.

სუფრასთან საუბრებში გამოიკვეთა ის საკითხები, რომლებიც უნდა მოეგვარებინა რევაზს და „მის ჯგუფს“ სატყეო მეურნეობის აღგილობრივ სპეციალისტებთან ერთად.


დილით ადრე, ცხენებზე ამხედრებულები, მიღიოდნენ რომელიმე ახლომდებარე სოფელში, ათვალიერებდნენ და სწავლობდნენ აღგილობრივ ფლორას და საღამოს ისევ ბრუნვებოდნენ დისლოკაციის ძირითად ობიექტზე. ერთხელ გიორგიც წაიყვანეს ექსპედიციაში თავისი „მატარებელი“ ცხენით და დაათვალიერებინეს სოფელ დიკლოს მიდამოები. ძირითად დროს კი გიორგი ატარებდა ომალოს ბავშვებთან, რომლებმაც ძალიან შეიყვარეს იგი და შეიძლება ითქვას, რომ „ქალაქელი“ ბიჭის გარეშე უკვე ვეღარ სძლებდნენ. დილიდან გვიან საღამომდე თამაშობდნენ და ერთობოდნენ. გიორგი მათ ასწავლიდა ფეხბურთს, კალათბურთს, „გრძელ ვირს, „მრგვალ ვირს“, ლახტს, დომინოს, ჭადრაკს და ა.შ. მოკლედ, გიორგიმ აიღო თავის თავზე მრავალპროფილიანი მწვრთნელის ფუნქცია და დაიმსახურა კიდეც ომალოელი თანატოლების დიდი სიყვარული და პატივისცემა. არც ომალოელი გოგო-ბიჭები დარჩენილან ვალში და ყველანაირად ცდილობდნენ შეესწავლებინათ გიორგისთვის ფანდურზე დაკვრა. ომალოელი ბიჭები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ფეხბურთით. გაოცებულები იყვნენ გიორგის ტექნიკით. ორ გუნდად გაყოფილები თითქმის ყოველდღე უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ არათანაბარი რაოდენობის მოთამაშებით. რომ მოეხდინათ გიორგის ნეიტრალიზაცია, მის მოწინააღმდეგე გუნდში მოთამაშეთა რაოდენობა სამი-ოთხით მეტი იყო ყოველდღვის, მაგრამ მაინც უჭირდათ გიორგის „დაჭერა“. რა იცოდნენ მალოელმა ბიჭებმა, რომ გიორგის თელავის სპორტსკოლის ის პედაგოგები ასწავლიდნენ ფეხბურთს, რომლებმაც სამი-ოთხი წლის შემდეგ მსოფლიოს წარუდგინეს ლუგენდარული გივი ჩოხელი.

მთავარი კი ის გახლდათ, რომ გიორგისათვის არ-დადეგები მიმდინარეობდა ფრიად საინტერესო გარე-მოში, უამრავი ახლადგაც-ნობილი თუში ბავშვების თანხლებით და მეგობრული ურთიერთობებით.

ყოველ საღამოს კი ომ-ალოს ცენტრში, დაბლობში, ისხდნენ კოცონის გარშემო და ცეკვა-სიმღერით ატკ-ბობდნენ ახლომახლო მცხოვრებლებს.

ამასობაში, გავიდა ათი დღე და რევაზმა მოუწოდა „თავის“ გუნდელებს მომზადებულიყვნენ თელავში დასაბრუნებლად. მძიმე იყო მოსასმენად, მაგრამ რას გააწყობდნენ. განსაკუთრებით განიცადეს არსებული სიტუაცია ბავშვებმა. ნიკოლოზის ქალ-ვაჟი კისერზე ჩამოეკიდა მამას მუდარის სიტყვებით – მამა, დავიტოვოთ გიორგი, სწავლის დაწყებამდე ჯერ შორია, თანაც ფანდურზე დაკვრა ჯერ არ იცის კარგადო. იქნება სთხოვო ძია რევაზისო. სოფლის ბავშვებიც, რომ გაიგეს გიორგი უნდა წასულიყო თელავში, გუნდ-გუნდად მიდიოდნენ რევაზთან და ნიკოლოზთან მუდარით, რომ ცოტახნით დაეტოვებინათ გიორგი. განსაკუთრებით აქ-ტიურობდა ნიკოლოზის ქალიშვილი მარიამი, რომელსაც მთელი ათი დღის განმავლობაში ამჩნევდნენ გიორგისადმი დიდ ინტერესს, მისკენ რაღაცნაირ ფარულ და დიმილნარევ, ეშმაკურ მზერას, მისი მისამართით ალერსიანი სიტყვებით მიმართვის სურვილს და ა.შ. ახლა კი, ლამის თვალებზე ცრემლმომდგარი ევედრებოდა მამას, რომ ცოტა ხნით კიდევ დაეტოვა ჭაბუკი სტუმარი.

უფროსებმა ითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ და-ტოვებდნენ გიორგის და რომ ორიოდე კვირის შემდეგ ნიკოლოზი თავად წაიყვანდა და ჩააბარებდა მამამისს.



დაიწყო გიორგისათვის ახალი ორკვირიანი ციკლი. მოხდა ისე, რომ მარიამთან უფრო მეტ დროს ატარებდა, ვიდრე აღრე. აღმოჩნდა, რომ ასეთი ამბავი მხოლოდ ფანდურზე დაკვრის სწავლებით არ იყო გამოწვეული. რაღაც სხვა, უცხო რამ, ფრიად სანატრელი და მიმზიდველი იმკვიდრებდა ადგილს მათ ურთიერთობებში, რაც ორიოდ კვირის შემდეგ უფრო ცხადი გახდა, როცა გამოსამშვიდობებელ სუფრასთან მარიამმა რაღაც შეფუთული გადასცა გიორგის, გადაეხვია, ლოეაზე აკოცა და ყურში ჩასჩურჩულა – „არ დამივიწყოო!“

დილაადრიან დაიძრნენ თელავისაკენ ნიკოლოზი და გიორგი. დაბინდებისას მიადგნენ თელავს. გაიხარა რევაზმა ნიკოლოზისა და შვილის ჩამოსვლით. გაიშალა სუფრა. უფროსებმა წამოიწყეს საქმიანი საუბარი, გიორგი კი ხურჯინიდან იღებდა პირად ნივთებს და აწყობდა კუთვნილ ადგილებზე. მამისა და სტუმრის თვალწინ გაშალა ის შეკვრა, რომელიც მარიამმა გადასცა გამომშვიდობებისას. უფროსები გაოცებულები დარჩნენ ნანახით – გიორგის ხელში ეჭირა ცხვრის მატყლისაგან მოქსოვილი უქუსლო საშინაო ფეხსაცმელები, საოცრად ლამაზი ფერებით შემკობილი და მიმზიდველი. გიორგიმ ორივე ხელით მიიტანა ტუჩებთან და აკოცა მომხიბვლელ საჩუქარს. სასწრაფოდ ჩაიცვა და ოთახში დაიწყო სიარული, თან გაოცებული დაპყურებდა და სიხარულით ევსებოდა გული.

სახელად რას ეძახითო, იკითხა რევაზმა და მიანიშნა გიორგის ფეხებისკენ... რა სახელი პქვია ვერ გეტყვითო, დაიმორცხვა ნიკოლოზმა, მაგრამ ჩვენში „ჩიოებს“ ეძახიანო, დაამატა დიმილით.

გიორგიმ გაიხადა „ჩიოები“, ფაქიზად შეახვია იმავე შესაფუთში და გაიტანა თავის საძინებელ ოთახში.

იმ დღიდან მოყოლებული, გიორგი თითქმის ყოველდღე იცვამდა „ჩიოებს“ და განაგრძობდა თავმომწონედ სიარულს. განსაკუთრებით კეკლუცობდა საქმაოდ ხში-

რი სტუმრიანობის დროს და დიდი სიყვარულით იხ-სენებდა ხოლმე მისთვის უსაყვარლესი და ულამაზესი საჩუქრის შემოქმედს მარიამს.

სტუდენტობის ხუთწლიან პერიოდში, უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელშიც გაითქვა სახელი ქართული ხალხური ხელოვნების ნიმუშმა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან სასწავლებლად ჩამოსულები ხშირად მიღიოდნენ გიორგისთან იმ საოცრად ლამაზი საშინაო ფაჩუქების, იგივე „ჩითების“ სანახავად და აღტაცებას ვერ მალავდნენ. მთელმა სტუდენტამა იცოდა „ჩითების“ არსებობა და მისი შემქმნელის მარიამის სახელი, რაც სიხარულით ავსებდა გიორგის გულს.

გადიოდა წლები... როგორც იტყვიან ხოლმე „....წლებს თავისი მიპქონდა“ და „ჩითები“ ოდნავ გაცვდა და რაღაცნაირად გაფერმკრთალდა მისი ბრწინვალება... გიორგიმ გადაწყვიტა იშვიათად ესარგებლა, რათა, რაც შეიძლება დიდხანს პქონოდა საამაყოდ და კეთილად მოსაგონებლად მშვენიერი თუში გოგონას თითებით მოქსოვილი და საჩუქრად მიღებული ულამაზესი რამ.

სტუდენტური არდადეგების დროს მამამისს ეკითხებოდა ხოლმე ნიკოლოზისა და მარიამის შესახებ და უხაროდა, როცა გაიგებდა მათი კარგად ყოფნის ამბავს. როცა ნახავ, ჩემი გულთბილი მოკითხვა გადაუციო, დაუტოვებდა ხოლმე მამას დავალებას.

გიორგიმ დაამთავრა უნივერსიტეტი და მუშაობა დაიწყო ქ. გორში. იქვე იქორწინა და შეუდგა საკუთარი ოჯახის მშენებლობას.

გიორგი სტუმართმოყვარეობით მამამისს დაემსგავსა. ახალგაზრდა ოჯახს, თითქმის ყოველ შაბათ-კვირას სტუმრობდნენ მეზობლები, მეგობრები, კოლეგები თუ ხელმძღვანელობის წარმომადგენლები.

გიორგი არ დალატობდა ტრადიციას და სტუმრების თანდასწრებით ხშირად იცვამდა მარიამის ნაჩუქარ „ჩითებს“ და თავს იწონებდა.

მეუღლეს მობეზრდა მისი ტრაპახი და ერთხელაც სერიოზული შენიშვნა მისცა – „...კარგი რა, რა გაუწყალე გული სტუმრებს, ცხვირში რომ სჩრი რაღაც ფაჩუჩებს...“

ეს არ არის „რაღაც“ – იწყინა გიორგიმ, მაგრამ სტუმრების თანდასწრებით აღარაფერი უთქვამს. მეორე დღეს კი უსაყვედურა და თან დააყოლა – შენ ვერ გაიგებ, რას ნიშნას ჩემთვის ეს „ჩითებიო“.

– თუ ასე ძვირფასია, რატომ არ მიგაქვს შესაკეთებლად... ხომ ხედავ, რომ გაცვდა და ძირზე გადააკვრევინე რამე... ხელოსანი ოვითონ გეტყვის, რაც არის საჭირო – მიახალა მეუღლემ...

– ჰოდა, წავიდებ, ხვალვე მივუტან ხელოსანს.

ნაცნობმა მეჩქემემ უთხრა – „...მე უძვირფასეს ნაქსოვს ვერ შევეხები... აი, ძირზე კი გადავაკრავ რბილ ტყავს, რომ დიდხანს იხმარო და გაიხაროო“.

ორი დღის შემდეგ მივიდა წამოსაღებად, მოეწონა ნამუშევარი და ხელობა შეუქო ხარაზს, რომელმაც დამშვიდობებისას უთხრა: „...ფაჩუჩის ზედა მხარე ორმაგი შრით არის ნაქსოვი, ასე მეჩვენება, რომ შრებს შორის რაღაც ქალალდივით დევს, თითებით მიჭმუჭნ-მოჭმუჭნის დროს თითქოს რაღაც ტკიცინებს თუ შრიშინებსო... მხოლოდ ორივეში არა, მხოლოდ მარცხენაშიო“...

გიორგის ჩაედიმა, არაფერიაო და დაემშვიდობა.

სახლისეკნ გზაში გახსნა შეფუთული, გულმოდგინედ და დიდი დაკვირვებით მისრის-მოსრისა ზედა ნაწილი... ჰოი საოცრებავ... რაღაც მართლაც ატკიცინდა თუ აშრიალდა მარცხენა ფაჩუჩში.

გიორგის ელდა ეცა... ამდენი წელია ხმარობს „ჩითებს“ და როგორ მოხდა, რომ ვერ შეამჩნია მსგავსი რამ?!.. გაოცება გაგრძელდა ორიოდ დღე და დავიწყებას მიეცა ხარაზის მიერ „აღმოჩენილი“ უცნაურობა, მითუმეტეს, რომ გორში გიორგიმ ვერ ნახა მქსოველი, რომელიც გახსნიდა ორმაგ შრიან ნაქსოვს,

შიგ ჩაიხედავდა, ამოიღებდა, თუ კი რამ იყო ჩადებული და ისევ მოქსოვდა ისე, რომ არ შეემჩნეოდა „ნაჯახიორები“.

გავიდა კიდევ რამდენიმე წელი. გიორგი სამსახურისა და საოჯახო საქმეებისგან ისე იყო დაკავებული, რომ აღარც უფიქრია და არც უცდია „ჩითებში“ შემჩნეული უცნაურობის „გამოძიება“, თუმცა, ახლად ძირგამოკრულ „ჩითებს“ ხმარობდა თითქმის ყოველდღე.

გიორგის მაღალმოიან ომალოში, მამასთან და მის მეგობრებთან ერთად ყოფნის შემდეგ გავიდა ოც წელზე მეტი.

ქობულეთში ცოლშვილთან ერთად მყოფი გიორგი შვებულების დღეებს ატარებდა მაღალმოიანი აჭარის მიდამოების გაცნობაში და ხალხმრავალ პლაჟზე გარუჯვის პროცესში. აი, ახლაც ცხელ ქვიშაზე წამოწოლილი ფიქრებით მისწვდა ომალოში გატარებულ დღეებს. სასიამოვნო ურუანტელმა დაუარა ტანში ნიკოლოზისა და მისი ქალიშვილის, მარიამის გახსენებაზე. თანაკურსელი თუშისგან იცოდა, რომ ნიკოლოზი აღარ იყო ცოცხალთა რიგებში, ხოლო მარიამი უიღბლო ქორწინების შემდეგ გაშორებია მეუღლეს და გადახვეწილა შორეულ ციმბირში.

მბიმე ფიქრებში ჩაიძირა და ჩაეძინა. მეუღლეებ გააღვიძა სიტყვებით – ადექი, წავიდეთ, სადილობის დროაო...

საღამო ხანს კვლავ ესტუმრნენ პლაჟს. ამჟამად მათთან ახლდათ საცხოვრებელი ბინის გამქირავებული ქალბატონი ნათელა.

იჭყუმპალავეს, იცურავეს, საინტერესო ამბების მოყოლით გაერთნენ და ერთად დაბრუნდნენ სახლში.

ქალბატონმა ნათელამ პირველად შეამჩნია გიორგის საბინაო ფაჩუჩები („ჩითები“) და გაოცებულმა და აღტაცებულმა ხმამაღლა წარმოსთქვა:

„...რა ლამაზი ფაჩუჩები გაცვია, პირველად ვხედავ ასეთ საოცრებას, ვინ მოქსოვა ან სად შეიძინეო...“ მიაყარა გიორგის და შესთავაზა მეუღლესთან და შვილთან ერთად შესულიყვნენ მასთან სავახშმოდ. ვახშმისას გიორგიმ დაწვრილებით მოუთხრო ქალბატონ ნათელას თუშური „ჩითების“ ისტორია.

— მერე, მე აქ რას ვაკეთებო, იკივლა ნათელამ, ხელში შეათამაშა და მერე თითებით მოჭმუჭნა და მოსინჯა მარცხენა ფაჩუჩი.

მეორე დილით, ნათელამ მოკაგული თითით მიიხმო გიორგი თავის ოთახისკენ და აჩვენა ფაჩუჩიდან ამოღებული ქალალდის პატარა ნაჭერი, რომელზედაც დახატული იყო გულის ცნობილი სიმბოლო ორი მტრედით. გიორგი ლამის ჩაიკეცა მოულოდნელობით. თითქოს დამუნჯდაო, ხმას ვეღარ იღებდა... მერე თითი გაიშვირა თავისი ოთახისაკენ და მეორე თითი კი ტუჩებზე მიიღო. ნათელა მიხვდა, რომ ეს ამბავი არ უნდა სცოდნოდა გიორგის მეუღლეს. ორი დღის შემდეგ კი გიორგიმ მიიღო შეკეთებული „ჩითები“, ისეთივე ლამაზები და მომხიბვლელები, როგორიც ახსოვს ომალოდან. გიორგი უფრო ფაქიზად და მომეტებული მზრუნვლობით ხმარობდა მისთვის უძვირფასეს საჩუქარს და განუწყვეტლივ თვალწინ ედგა მარიამი თავისი ლამაზი თითებით და მოციმციმე ცისფერი თვალებით.

გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და გიორგი სასწრაფოდ წავიდა თბილისში მეუღლესთან, რომელიც სამშობიარო დაწესებულებაში იყო მოთავსებული მეორე შვილის მოლოდინში.

გათენებისას გაიხარა გიორგიმ; მეუღლემ მას აჩუქა მეორე ვაჟიშვილი. მთელმა დღემ და მომდევნო დამემაც მოლოცვა-მადლობებში და სადღეგრძელოებში გაიარა, რომ იტყვიან ხოლმე „იხარა ჭერმა“, მაგრამ, ხომ მოგეხსენება, ძვირფასო მკითხველო, „...მაგრამ საწუთო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?! (ნ. ბარათაშვილი).

მეორე დილით სიმამრის სახლში გორიდან დაურეკიათ მეზობლებს, რომ გიორგის ბინა გაძარცვულია და სასწრაფოდ მიხედეთ.

თავპირისმტვრევით ჩავიდა გიორგი გორში. სიმამრს ამბავი დაუტოვა – მეუღლეს ჯერ არ უთხრათ, ცოდოაო... სახლი, რომ იტყვიან, ყირაზე იდგა. აღარაფერი იყო თავის ადგილზე. კარადები ლია, უჯრები გამოდებული, იატაკი ტანისამოსით და ქაღალდებით მოფენილი, თაროებიდან გადმოყრილი წიგნები და საქაღალდები.

საქმეში ჩაერია მილიცია. გიორგიმ მოპარულ-წაღებული ნივთების მოკლე ჩამონათვალი ჩააწერინა გამომძიებლებს. ძირითადად წაღებული იყო ოქრო-ვერცხლის სამკაულები, ორიოდე ანტიკვარული ჭურჭელი, სამი ისტორიულად ძვირფასი ნახატი, გიორგის საშუალო სკოლის ოქროს მედალი და სხვა. გიორგიმ მერამდენედ გადაათვალიერა არეულ-დარეული სახლი და ვერ იპოვნა „ჩითები“. ეგ რადააო, იკითხა ერთ-ერთმა გამომძიებელმა. ჩამონათვალში ჩაწერა – ნაქსოვი ფაჩუჩებიო და თან ირონიულად ჩაიღიმა.

ვერა და ვერ იპოვნეს ქურდები. გიორგიმ მოახერხა და კითხვა-კითხვით შეაღწია ე.წ. „შავ სამყაროშიც“ თხოვნით – ოქრო-ვერცხლს არ დავეძებ, იქნებ მაღალ-მთიან ომალოში, ცხვრის მატყლისგან მოქსოვილი ფაჩუჩები („ჩითები“) დამიბრუნოთ, მაგრამ ამაოდ...

დღესაც იმ იმედით ცოცხლობს, რომ აღმოაჩნდებათ ქურდებს სიკეთის კეთების სურვილი და დაუბრუნებენ თბილ ფაჩუჩებს („ჩითებს“) დრმა სიბერეში მყოფს. გიორგის კი სანუგეშოდ შერჩა მრავალი წლის წინ გადაღებული სურათი, რომლის გაგზავნასაც (როგორც ქართული ხალხური ხელოვნების იშვიათი ნივთის) აპირებდა საზღვარგარეოის რომელიმე პოპულარულ ქურნალში.

## ყაჩაღები

არტილერისტი შალვა გოცირიძე, ომის შემდეგ, ფეხის მოშუშებული ჭრილობით და მედალ-ორდენებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა მშობლიურ თელავს.

სიხარულის ცრემლმომალებული გულში იკრავდა ცოლ-შვილს, მეგობრებს, მეზობლებს და მოსიყვარულე თელაველებს. სამი-ოთხი დღის განმავლობაში არ ალაგებულა მოკრძალებული კახური საოჯახო სუფრა უწყვეტ ნაკადად მომდინარე მნახველთათვის.

ყველას უხაროდა და ყველა ულოცავდა შალვას ოჯახში დაბრუნებას და არც საჩუქრებს აკლებდნენ – ვის რა და როგორც შეეძლო.

მოვიდა შრომის ფერხულში აქტიური ჩართვის დროც და შალვას, როგორც ლიტერატურათმცოდნებს, შესთავაზეს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის ქალაქის ერთ-ერთ ვაჟთა სკოლაში.

ოთხი წლის განმავლობაში აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობისა და სწავლების ორიგინალური მეოთვის პოპულარიზაციის სფეროში მიღწეული წარმატებების წყალობით, იგი ჩამოყალიბდა საზოგადოებისათვის სათავეანო პიროვნებად, მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეების მიმართ იყო ზედმეტად მკაცრი და მომთხოვნი.

იყო დრო, როცა პედაგოგებს შორის მიმდინარეობდა არაოფიციალური პაექრობა – თუ ვინ უფრო უკეთესად მომზადებულ ახალგაზრდებს აჩუქებდა ქვეყნას, ვინ უფრო მტკიცე, გარანტირებულ საფუძველს შექმნიდა ქვეუნის ეკონომიკური თუ კულტურული განვითარებისათვის. ამ მხრივ შალვა გოცირიძეს ბადალი არ ჰყავდა. საზოგადოებაში უკვე დაიწყეს მითქმა-მოთქმა, რომ შალვას მალე გადაიყვანენ განათლების სამინისტროში, რომ მას მალე მიანიჭებენ ერთ-ერთ უმაღლეს სახელმწიფო ჯილდოს და წოდებასო და ა.შ.

მოხდა კი მოულოდნელი რამ. აღმოჩნდა, რომ შალვა გოცირიძეს, თურმე, დაწერილი აქვს პიესები, რომელთა-

გან ერთ-ერთი შეუთავაზებიათ თელავის თეატრის სცენაზე დასადგმელად. პიესა ძალიან მოსწონებიათ კულტურის სამინისტროში და იმ მომენტისათვის, თელავის თეატრის უდირექტოროდ ყოფნის პირობებში, გადაუწყვეტიათ, რომ დავნიშნოთ დირექტორად და თვითონ მიხედოსო საქმეს. გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი და შალვა გოცირიძემ, დირექტორის რანგში, დაიწყო რეჟისორისა და მსახიობების შერჩევა და პრემიერისათვის მზადება.

გავიდა დაახლოებით ექვსი თვე და ერთ საღამოს თელავის თეატრის დარბაზი ლამის ჩამოინგრა ხანგრძლივი და ხმამაღლი ოვაციებით.

თეატრალურ ქალაქად ცნობილი თელავის საზოგადოება დიდხანს ელოდა ასეთ წარმატებას და გულით გაიხარა.

პიესას პიესა მოჰყვა და ხალხი ისევ ალაპარაკდა შალვას, ამჯერად კულტურის სამინისტროში გადაყვანის მოსალოდნელ შესაძლებლობებზე, მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე – ისევ მოხდა ისეთი რამ, რასაც მართლაც ვერავინ წარმოიღვენდა.

ვისაც უნახავს და ახსოვს, გასული საუკუნის 50-იანი წლების ქალაქი თელავი, მოქესენება, რომ თეატრი მდებარეობდა (ახლაც მდებარეობს) ცენტრალურ მოედანზე. მისი ცენტრალური შესასვლელი გადახურული იყო სამშენებლო კაპიტალური კონსტრუქციით, რომლის სახურავიც (მეორე სართული) ასრულებდა აივნის როლს. აი, სწორედ ამ აივანზე გამოფენება ხოლმე (სადღესასწაულო დღეებში, განსაკუთრებით კი 8 მარტს, 5 დეკემბერს, 1 მაისს, 7 ნოემბერს და 9 მაისს გამარჯვების დღეს) დროშებს, ლოზუნგებს, ბეჭდადებისა თუ მოწინავე მუშარ-გლეხური წრეების წარმატებულებისა თუ შრომის გმირების სტატუსის მატარებლების სურათებს და სხვა.

აღნიშნული აივნის ფასადზე ასევე განლაგებული იყო სპეციალური დიდი დაფა, რომელზედაც მსხვილი ასოებით (იკითხებოდა დიდი მანძილიდან) იყო წარწერა

ანონსის შესახებ – თუ რა თეატრალური დადგმა ელოდა თელაველებს მოცემულ საღამოს.

გათენდა ერთ-ერთი სადღესასწაულო დღე, ცხრა მაისი (შალვასთვის დიდი ისტორიული მნიშვნელობის და განსაკუთრებულად საამაყო) და თელაველები დაიძრნენ ცენტრალური მოედნისაკენ, რათა დამტკბარიყვნენ სადღესასწაულო სანახაობით, მოქსმინათ მუსიკალური ნაწარმოები, გაეხარებინათ ბავშვები, დასწრებოდნენ სპორტულ ღონისძიებებს, ხოლო საღამოს კი, ტრადიციის შესაბამისად, წასულიყვნენ თეატრში.


დასვენების დღე გახლდათ, მაგრამ შალვა გოცირიძე მაინც დაიძრა სამსახურისკენ... საქმეს რა გამოლევსო, ფიქრობდა და ნელი ნაბიჯით გაუყვა გზას. თეატრში რომ შესულიყო, მთელ სიგრძეზე უნდა გადაეკვერა მოედანი, რომელიც იმ დილით საოცრად ლამაზად გამოიყორებოდა. დროშების, სურათების და ყვავილების გამოფენა გეგონებოდათ. საზეიმოდ გამოწყობილი ადამიანები მიდი-მოდიოდნენ მთელ მოედანზე, ერთმანეთს ეხვეოდნენ, ეფერებოდნენ და ულოცავდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბავშვები. სხვადასხვა მუსიკალური ანსამბლები იკავებდნენ მათვის განკუთვნილ ადგილებს და საქმიანად ფუსფუსებდნენ.

ბიბლიოთეკის წინ, ეწ. „ახალი ბაღის“ მიპირდაპირე მხარეს გაწყობილ ტრიბუნაზეც იგრძნობოდა საქმიანი აგმოსფერო. საზეიმო ცერემონიის ოფიციალურ გახსნამდე დარჩენილი იყო ორ საათზე ოდნავ მეტი და შალვამ, რომლისთვისაც ტრიბუნაზე იყო გამოყოფილი ადგილი, გადაწყვიტა სამუშაო კაბინეტში შესულიყო და ზოგიერთი, თუნდაც წერილმანი საქმე მოეგვარებინა.

ის-ის იყო ამოალაგა საქადალდეები, მოირგო სათვალე და გაისმა ტელეფონის ზარის ხმა.

შალვამ აიღო ყურმილი იმ რწმენით, რომ ვიდაც აპირებს მიულოცოს მნიშვნელოვანი დღე და განეწყო სამადლობელი სიტყვების წარმოსათქმელად, მაგრამ...

– შალვა ხართ?! – გაისმა საქმაოდ უხეში ხმა.



- კი ბატონო, მაგრამ თქვენ ვინ...
- ახლავე გამოცხადდით უშიშროების სამსახურში.
- რაში საქმე, რა მოხ...
- არ დააგვიანოთ, აქ გეტყვიან ყველაფერს... – და ამ სიტყვებზე შეწყდა კავშირი... ისმოდა მხოლოდ ტუ... ტუ... და ისიც ხანძოებლე დროით.

არც მოესალმნენ, არც მიულოცეს და არც სკამი შესთავაზეს...

საკმარის გამომწვევი და უხეში ჟღერადობის ხმით მიმართავდნენ.

- დღეს რომელ საათზე მიხვედით თქვენს კაბინეტში?
- დაახლოებით ათის ნახევარზე.
- მოედანი გადმოიარეთ ხომ, როგორც უოგელთვის?
- კი, ბატონო, მაგრამ...
- საეჭვო და მიუდებელი ვერაფერი შეამჩნიეთ?
- ვერა ბატონო, რას მაწვალებთ, მითხარით, რა მოხდა...
- მოხდა ის, რომ თქვენ გელით ცუდი დღეები... წადით ახლა და თეატრის ფასადს კარგად დააკვირდით... მიიღეთ სასწრაფო ზომები... მერე მოგაკითხავენ...
- ვინ, რატომ, როგორ?!.. ძლივს ამბობდა შალვა სიტყვებს და აჩქარებული ნაბიჯებით დაეშვა კიბეზე.

მოედნამდე დაახლოებით 300-400 ნაბიჯი იყო... მივიღდა მოედანზე ქლოშინით და დაკვირვებით შეათვალიერა ფასადი...

ელდა ეცა... მუხლები აუკანკალდა და ლამის ჩაიკეცა საზეიმოდ განწყობილ მოედნის ცენტრში. რაღაც მძიმე და უცნაური ტკიფილი იგრძნო გულში, ისეთი, როგორიც ოთხი წლის განმავლობაში, მსოფლიო ომის ქარცვებლიან და სისხლიან დღეებშიც კი არ განუცდია.

თვალთ დაუბნელდა, მაგრამ ის კი კარგად გაარჩია, რომ მსოფლიოში ცნობილი სურათის (პროლეტარიატის ბელადები: მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი) ქვეშ დიდი ასოებით ეწერა სიტყვა „ყაჩაღები“ (შილერის პიესა, რომელიც იმ სადამოს უნდა ეჩვენებინა თეატრის დასს სახელგანთქმული თელავის თეატრის სცენაზე).

## დღეში ერთი, თვეში ორი

ხილბოსტნითა და სპირტიანი სასმელებით მოვაჭრე შაქროს მეგობარი ეკითხება: „ზაურიზე ამბობენ, რომ ცოლის გარდაცვალების შემდეგ გალოთდაო, შენ ხომ არაფერი გაგიგიაო...“

გალოთებისა რა მოგახსენო, მაგრამ თითქმის ყოველ-დღე მოდის და ჩემი მომზადებული შინაური კონიაკი მიაქვს ნახევარლიტრიანი ბოთლითო, უპასუხა შაქრომ და გააგრძელა...

ერთხელ ვურჩის, კაცო, რას ეწვალები, ერთიანად წაიღე ათი-თორმეტი ბოთლი, მოკლედ, რამდენსაც მოერევი და ნე იხარჯები ასე, ყოველდღიურად... რა მიპასუხა იცი?..

რაც მეუღლე გარდამეცვალა, მარტო დავრჩი, ხომ იცი, შვილები თბილისში ცხოვრობენ... ჰოდა, ჩემი პენსიონერი კოლეგები ლამის ყოველ საღამოს მოდიან ჩემთან – მარტო და გავართოთო... ორ-სამ კაცს გვფოფნის ერთი ნახევარლიტრიანი, დომინოს თუ ნარდის თამაშის დროს... სახლში რომ ბევრი მეგულებოდოს სასმელი, შეიძლება თავი ვერ შევიკავოთ, მეტი მოვინდომოთ, შევთვრეთ და ა.შ. ამიტომ ვარჩის, ყოველდღე ვიარო შენთან. სიარულიც ხომ სასარგებლოა მოხუცი კაცისთვისო... სადღაც მართალია ჩვენი საერთო მეგობარი ზაური და ადარ შევეკამათე და ადარც კონიაკის ერთბაშად დიდი რაოდენობით ყიდვა შევთავაზე, არ იფიქროს-მეთქი, რომ ჩემი ინტერესებიდან გამომდინარე ვმოძღვრავდი.

ზაურის მოელი ქალაქი იცნობდა და პატივს სცემდა, როგორც ათეული წლების განმავლობაში წარმატებული მოღვაწეობისა და მრავალი სასიკეთო საქმის გამკეთებელს ძეირფას ოჯახთან ერთად. საზოგადოების თითქმის ყველა სფეროში აფასებდნენ მის დამსახურებას და სათანადო პატივსაც მიაგებდნენ.

რაც დრო გადიდა, მით უფრო ხშირად საუბრობდნენ

ზაურის გალოოთებაზე. ბილწსა და ავისმსურველს რა გამოლევს ქვეყანაზე და ყოველდღიურად სულ უფრო დიდი ნაწილი საზოგადოებისა სინანულით და ზოგი კი ორონიული მინიშნებით ხაზგასმით საუბრობდა ერთ-დროს პატივსაცემ, ძვირფას თანამოქალაქეზე, როგორც ლოთზე და „ხელიდან წასულ კაცზე“.

შეწუხდნენ ზაურის ჭეშმარიტი მეგობრები და კოლეგები. ერთ საღამოს, ჩვეულებრივ შეიკრიბნენ მის ბინაში და გაერთნენ სამაგიდო თამაშებით და შაქროს კონიაკის ნახევარლიტრიანის გამოცლით. სახლებში წასვლის წინ კი სერიოზული ტონით მიმართეს მასპინძელს და გულისტკივილით აუწყეს ქალაქში მოსიარულე ხმების შესახებ.

ოქვენ ნუ ნერვიულობთ და ასერიგად ნუ განიცდით მაგ ამბავს... აბა, ჩვენი ასაკის კაცის გალოოთება გაგიგოათ?! მე მოვუვლი და მოვაგვარებ არსებულ ვითარებას ისე, რომ ყველაფერი კარგად იყოს და „არც მწვადი დაიწვას და არც შამფურიო“.

მომდევნო დილიდანვე დაიწყო ქალაქის ცენტრის შემოვლა და ძებნა იმ კერძო მოვაჭრეებისა, რომლებიც რეგიონის სოფლებში ყიდულობდნენ ჭაჭის თუ სხვა სილისგან გამოხდილ არაეს და შემდეგ სხვადასხვა გზით და დამხმარე საკედები ნივთიერებებით თუ სადებავებით მიჰყავდათ საჭირო შეფერილობამდე თუ სპირტიანობამდე.

ზაურმა „აღმოაჩინა“ ათზე მეტი მოვაჭრე, ორი კვირის განმავლობაში მათგან იძენდა ერთ ნახევარლიტრიან ბოთლით ე.წ. კონიაკს და ჩვეულებრივ უმასპინძლდებოდა თავის ტრადიციულ სტუმრებს. იმავდროულად შეადგინა სია, მისამართებით და ტელეფონებით, რათა ეკონტროლებინა პროცესი იმ მიზნით, რომ თითოეულ მათგანთან მისულიყო დაახლოებით ორ კვირაში ერთხელ.

მეგობრებმა შეამჩნიეს, რომ სასმელი ნიუანსებით ზოგჯერ განსხვავებული იყო დიდიხნის შეჩვეული

„ზაურისებური“ სასმელისაგან, მაგრამ ხმას არ იღებდნენ.

ძველი „მეკონიაქეს“, შაქროს რიგიც მოვიდა, რომელმაც რაღაცნაირი გულისტყივილით შენიშნა – სად დაიკარგე, რამდენი ხანია სასმელისთვის აღარ მოსულხარ, ავად ხომ არ იყავი, რაშია საქმეო?!“

„აქ არ ვიყავი, ნათესავები მოვინახულეო...“ იცრუა ზაურიმ და თავისი თავის შერცხვა... გაიფიქრა, მომდევნო ჯერზე რითო ვიმართლო თავიო...“

დრო მიღიოდა, მოხუცი კოლეგა-პენსიონერები განაგრძობდნენ გართობა-მხიარულებას... მათ კამანიას შეემატა ოციოდე წლის წინ ევროპაში სამუშაოდ წასული კოლეგა ოთარი, რომელიც ოჯახთან ერთად დაუბრუნდა სამშობლოს და პირველივე დღეებიდან აქ ტიურად დაიწყო ძველი მეგობრული ურთიერთობების აღდგენა.

ოთარმა სიახლე დანერგა ზაურის ჯგუფში. შეასწავლა „პრეფერანსის“ თამაში... უმტკიცებდა მათ, რომ ეს არის მაღალ წრეებში მიღებული გასართობიო, რომლის დროსაც ნაკლები სასმელი ისმებაო და, რაც ყველაზე მთავარია, დროც შეუმჩნევლად გარბისო...“

მოეწონათ თამაში განუყრელ მეგობრებს და შესამჩნევად გააქტიურდნენ, ფიქრობდნენ, რომ მათი ყოფა უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდა.

გავიდა ერთი თვე და „შაქროს რიგი“ კვლავ დადგა. ზაური, რაღაცნაირი ფეხათრევით მივიდა მასთან, თბილად მიესალმა და მოიკითხა. შაქრომ, ცოტა არ იყოს, ნაწყენმა უპასუხა – აბა, როგორ ვიქნები, როცა დიდიხნის მეგობარი მიგატოვებსო...“

ზაური მიხვდა, რას გულისხმობდა შაქრო და კვლავ იცრუა – ცოტა ავადმყოფობა შემომეჩვია და დროებით „შემაფერხაო“... ისე კი, ექიმებმაც მირჩიეს...“

კარგი-კარგი, მორჩი წუწუნსო, მიახალა შაქრომ და მიაწოდა პოლიეთილენის შავ პარკში გახვეული ნახევარლიტრიანი...“

გავიდა ორიოდ წელი და ქალაქში გავრცელდა ხმა „ზაურიმ სმას თავი დაანებაო... რა მაგარი კაცი ყოფილაო... ასე უთქვამს, ჯანმრთელობას ვუფრთხილდებიო... არავინ დამემდუროს, ჩემი თავი ყველას მირჩევნიაო...“ და ა.შ.

შემოღომის ერთ წვიმიან საღამოს, ჩვეულებისამებრ ახმიანდა ზაურის სახლი. როგორც წესი, შეიკრიბნენ მეგობარ-კოლეგები და თავზე წაადგნენ ზაურის, როგოლიც ბუხარში „ჩალიჩობდა“ და მწვადის შესაწველად ემზადებოდა.

რაღაც ზედმეტად მხიარულებად და აღტაცებულებად მოეწვენა ზაურის მეგობარ-კოლეგები და იკითხა – რა ხდებაო?!.. ასე უთხრეს „ოთარმა მოინდომა რაღაცის ყიდვა, შენთვის საჩუქრის მორთმევა და ძებნა-ძებნაში მოვხვდით იმ ქუჩაზე, „შენი შაქრო“ რომ ვაჭრობსო. მივედით და კითხეთ – ზაური როგორ არის, დიდი ხანია არ გვინახავსო და იცი, რა გვიპასუხა?.. ადრე ყოველდღე მიჰქონდა კონიაკი ნახევარლიტრიანი ბოთლით, ახლა კი ბოლო ერთი წელია, თვეში ერთხელ, ჰა-ჰა... თვეში ორჯერ თუ იყიდისო, იქნებ ახალი ცოლი მოიყვანა და ის უკრძალავს, არ ვიციო...“

კარგა ბლომად იცინეს მეგობარ-კოლეგებმა და თან სუფრის გაწყობას შეუდგნენ მწვადის მოლოდინში. ქალაქში კი დრმად გაიდგა ფქსვი იმ შეხედულებამ, რომ ზაურის ლოთობა ავყიებისა და მოშურნეების მიერ შექმნილი მითი გახლდათ.

## ჩაეძინა

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში მეცნიერების კანდიდატი ალექსანდრე სამჯერ იყო მაღალი თანამდებობის პირი სამრეწველო სფეროში და სამჯერვე საკუთარი განცხადების საფუძველზე მიატოვა დაკავებული პოსტები.

გაოცებულები იყვნენ მისი საქციელით კოლეგები, თუ შესაბამისი სამინისტროების მაღალჩინოსნები. საქმე კი იმაში გახლდათ, რომ ალექსანდრე აღზრდილი იყო უპატიოსნებს და უკათილშობილებს ტრადიციულ ქართულ ოჯახში, რომელშიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა სინდის-ნამუსის ფაქიზი და ასამაყო გრძნობა.

ვერადავერ შეეჩინა ალექსანდრე აღებ-მიცემობის ღრმად ფესვგადგმულ სისტემას. ტანში უსიამოდ აურიალებდა და შებლზე ოფლის წვეთები უჩნდებოდა, როცა ისმენდა, რომ ვიდაცამ, ვიდაცას ქრისტიანი მისცა...

სამივე საწარმო, რომლებშიც ალექსანდრე იკავებდა დირექტორის თანამდებობას, განეკუთვნებოდა ფართო-მოხმარების ნივთებისა თუ პროდუქტების გამოშვების სფეროს, რომელთა ხარისხის დაჭვეოთების ხარჯზე იქმნებოდა სწორედ ე.წ. უშრომველი შემოსავლები და შემდგომ მისი გადახაწილება სხვადასხვა მიმართულებით, ძირითადად კი ხელმძღვანელ და მაკონტროლებელ სტრუქტურებში.

შეზიზდდა, მობეზრდა და უდიდესი ძალისხმევის წყალობით ალექსანდრემ შეძლო დაეტოვებინა მისთვის აბსოლუტურად მიუღებელი სივრცე და შეერთებოდა ე.წ. უმუშევართა კლასს, მაგრამ როდემდე?!

მხოლოდ მეუღლის ხელფასი უკვე აღარ იყო საკმარისი სამი შვილის აღსაზრდელად და ყოველდღიური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად.

საგონებელში ჩავარდა ალექსანდრე. სურდა ისევ სამცნიერო წრეებში დაბრუნებულიყო, მაგრამ არ ჩანდა შესაბამისი პერსპექტივა. შემოიარა რაიონის საწარ-

მო-სამეურნეო ობიექტები, მაგრამ უშედეგობ... არსად ჩანდა ვაკანსია... ამას ისიც ემატებოდა, რომ ალექსან-დრეს შესახებ დადიოდა ხმები, როგორც არასაიმედო კომუნისტზე...

უკიდურესად დაიძაბა ალექსანდრეს ყოფითი ატმოს-ფერო... აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ვისთვის შეეჩივლა თავისი გაჭირვების შესახებ...

გადიოდა დღეები, თვეები და სიტუაცია სულ უფრო მძიმდებოდა...

მეგობრებმა ურჩიეს, წადი დედაქალაქში, მიდი ამა-დამ სამინისტროში და ნახე პიროვნება, რომელსაც ივან კეტროვიჩს ეძახიან და ვინც გამოირჩევა და ცნო-ბილია იმით, რომ მუდამ ცდილობს მხარში ამოუდგეს გაჭირვებულ ადამიანებს, რაშიც ეხმარება მისი მაღალი თანამდებობაო.

— ოჟ. თქვენც მაგრები ხართ, რა... სადა მაქვს იმის ფული, რომ საქმის გადასაწყვეტად ვიღაცას მივცე...

— ოფ, ოფ... მანდ გაჩერდი... იმ კაცზე მსავსი არაფერი იფიქრო და იმოქმედო, თორემ კაბინეტიდან კინწისკრიო გამოგაგდებსო, უპასუხეს მეგობრებმა.

მდგომარეობას ამწვავებდა ის გარემოებაც, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტიდან ყოველკვირა ტელე-ფონით ურეკავდნენ და მოითხოვდნენ სადმე დაეწერ მუშაობა — არ შეიძლება კომუნისტი უმუშევარი იყო-სო... მკითხველი, ალბათ, მიხვდება, თუ როგორი პასუხი ექნებოდა ალექსანდრეს ასეთ მოთხოვნაზე.

ერთ ადრიან დილით, ალექსანდრემ მიმართა მეუღლეს, რომ აპირებს თბილისში წასვლას და ერთი პიროვნების მონახულებას, რომელსაც შეუძლია ჩემი დახმარებაო...

- წადი მერე, ვინ გიშლის?!
- გზის ფული მომეცი, არ მაქვს.
- ბიჭო... რა გიყო, როგორ გაგანათლო... შეხედე შენს მეგობრებს, როგორ მუშაობენ და როგორ შოულობენ ფულს...

- მე ასე არ შემიძლია...
- არ შეგიძლია და იყავი მასებ... მე ოცი მანქოთლა დამრჩა ხელფასამდე...
- მიგედო სამსახურში ვალიკო... გახსოვს, რომ გიჩინინებდა - დიდ ფულს გაშოვნინებო... პოდა, იყავი ახლა ასე, ცოლის ხელისშემყურე...

ალექსანდრე გიუივით გავარდა ქუჩაში და გეზი აიღო რკინიგზის სადგურისკენ. ცენტრალურ მოედანთან ვიდაცამ მანქანა გაუჩერა და ხელის აწევით მოიკითხა, როგორა ხარო...

- როგორ ვიქნები უმუშევარი კაცი?!
- ჩაჯექი, სად მიდიხარ, მიგიყვან...
- ვერ შეგაწუხებ, თბილისში მივდივარ...
- პოდა, ჩაჯექი-მეთქი, მეც თბილისში მივდივარ, უპასუხა დიდიხნის უნახავმა თანაკლასელმა.

გავიდა დაახლოებით ორი საათი.

ალექსანდრე და მისი თანაკლასელი მოწიწებით ისხდენ ივან პეტროვიჩის კაბინეტის მისაღებში და ელოდნენ მდივანი გოგოს მიპატიუებას.

როგორც იქნა, გაისმა ზარის ხმა... მდივანმა აიღო ყურმილი და შემდეგ ხაზგასმული ყურადღებით თვალთა მზერა მიაპყრო ალექსანდრეს და მის თანაკლასელს.

- შებრძანდით, ბატონო ალექსანდრე, ივან პეტროვიჩი გელოდებათ, თქვენ კი შემოგთავაზებთ ყავას, - მიმართა „თანაკლასელს“.

ალექსანდრემ, პირველად თავის სიცოცხლეში, იგრძნო რაღაც უცნაური რამ... მუხლებში ძალა დაკარგა, ძლიერს მივიდა კარებამდე... ფიქრობდა, რომ ახლა აქ, ივან პეტროვიჩის კაბინეტში უნდა გადაწყვეტილიყო მისი ამქვეყნად ყოფნა-არყოფნის საკითხი... თავბრუ ენეოდა... სახეზე სიმსურვალე იგრძნო... მდივანი გოგონას ხმამ გამოაფხიზლა - მიბრძანდით, გელოდებათ...

შევიდა, დაინახა, გაუკვირდა...

გაუკვირდა ის, რომ ივან პეტროვიჩი ნებივრად იყო გათხლაშული სავარძელებში, არც წამომდგარა, არც ხელი

გაუწვდია მისასალმებლად და არც სკამი შეუთავაზებია უცხო კაცისთვის. ყოველივე ამან ალექსანდრე გააღიზიანა და მზად იყო უკან გამობრუნებულიყო, მაგრამ, ამ დროს, კარები შემოადო მდივანმა გოგომ და მაგიდაზე, ივან პეტროვიჩის წინ დადგა ორი ჭიქა ყავა.

შეფი გამჭოლი თვალებით უცქეროდა სტუმარს და თავიდან ფეხებამდე ათვალიერებდა...

მოსვა ყავა და მიმართა ალექსანდრეს – ვიცი, რომ დაეძებ სამუშაო ადგილს... აბა, მომიყევი, რა იცი, რა შეგიძლია და რა გაგიკეთებია... მერე ვნახოთ, რა იქნებაო, უთხრა ეს, ყავა მოსვა, თვალები მინაბა და სმენად იქცა...

ალექსანდრე დაბნეული ჩანდა... ვერ ახერხებდა სიტყვის თქმას, არც ყავის ჭიქას შეხებია... მხოლოდ იმას ფიქრობდა თუ რა ეთქვა, ან რითი დაეწყო... როგორც იქნა, წამოიწყო: და... თითქმის ნახევარი საათი საუბრობდა მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ როგორც სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურებში, ისე კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოო დაწესებულებებში, ფაბრიკებსა თუ ქარხნებში, ასევე განათლებისა და კულტურის სფეროში. არ დავიწყებია ასევე საინტერესო წლები, როცა ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ხაზგასმით ჩამოთვალა აგრეთვე ის პრიზები, პრემიები, დიპლომები, სიგელები, მედლები და სხვა ჯილდოები, რაც მან დაიმსახურა თითქმის ოცწლიანი მოღვაწეობის მანძილზე.

ელდანაცემივით გაშეშდა ალექსანდრე, როდესაც შეამჩნია, რომ ივან პეტროვიჩს ეძინა. როდის ჩაეძინა, რისი მოსმენა და გაგება მოასწრო ალექსადრეს მონაყოლიდან, გაურკვეველი იყო „მომხსენებელისთვის“...

ალექსანდრემ ფრთხილად, მაგრამ მაინც გააგრძელა მოყოლა, მაგრამ შეწყვიტა, როცა მიხვდა, რომ მას ან არ, ან ვერ უსმენებ. რა ექნა, არ იცოდა... დაძაბული უცქერდა „შეფი“ და ელოდა მის რეაგირებას, მაგრამ ამაღდ.

ალექსანდრემ რამდენჯერმე ჩაახველა, ჯერ სუსტად, მერე კი მომატებული ხმით... ივან პეტროვიჩს თვალები დახუჭული ჰქონდა, არ ინძრეოდა.

ალექსანდრე გააღიზიანა შექმნილმა სიტუაციამ და გამოსავლის ძებნაში ტვინს იჭყლეტდა. ამჯერად, ფეხი გაიშვირა და იმ სავარძელს შეეხო, რომელშიც იჯდა ივან პეტროვიჩი.

გასჭრა ფეხის წვერის ბიძგმა, „შეფი“ უცბად გამოცოცხლდა, თვალები მოიფშვნიტა და სინანულის გამომხატველი მზერითა და სიტყვებით მიმართა პირდაღებულ ალექსანდრეს: „...აბა, მმაო, რა გიყო... შენ იმდენი რამ გცოდნია და შეგძლებია, რომ არც კი ვიცი, სად და როგორ დაგასაქმოო“...

გაწბილებულმა ალექსანდრემ კისრისმტვრევით ჩაირბინა სართულები და გიუივით გავარდა ქუჩაში, სადაც ელოდა მანქანაში მჯდომი და ივან პეტროვიჩივით მოვლემარე თანაკლასელი.

## ზალა და აუზი

იდგა 1942 წელი. მოსახლეობას მძიმე პირობებში უწევდა ყოველდღიური ცხოვრება მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის პროცესში – იყო შიმშილი, სიბრელე, სიცივე და ცრემლი, ცრემლი ძვირფასი ახლობლების დაკარგვით გამოწვეული, რასაც იგებდნენ მაღალ ბოძებზე გადმოკიდებული რადიოებით, ფრონტებიდან მიღებული ე.წ. „სამკუთხედი“ წერილებით და სამხედრო ჰოს-პიტალში განთავსებული დაჭრილების მონაყოლებით.

დაბა-ქალაქის პატარა გარეუბანში მცხოვრებ ცხრა წლის მიხოს ევალებოდა ე.წ. „პურის ბარათებით“ აბლომდებარე მაღაზიაში მიეღო მთავარი საკვები პროდუქტი, რასაც თან ახლდა მრავალრიცხოვან რიგში დგომა, მრავალი საათის განმავლობაში, რადგან დროში საკმაოდ არასტაბილური იყო მაღაზიაში პურის მოტანის პროცესი. ხშირად უწევდათ რიგის დროებით მიტოვება სხვა საოჯახო საქმის გამო... უკან დაბრუნება და „თავისი“ ადგილის პოვნა შემადგენლობაშეცვლილ რიგში

— ხშირი იყო კამათი, ლანდღვა-გინება და ფიზიკური დაპირისპირებაც კი.

მაღაზიის შესასვლელი კარიდან გზის მოპირდაპირე მხარის ტროტუარამდე, ჩაღრმავებული იყო გზის საფარი — ეტყობოდა, რომ მიწისქვეშ რაღაც შეარემონტეს და არახარისხიანად შეასრულეს თხრილის ამოვსება-მოპირკეთების სამუშაოები. შეიძლება ითქვას, რომ გზას მთელ სიგანეზე გასდევდა მცირე სიღრმის, თუმცა, გრძელი ორმო ისე, რომ მანქანაში მჯდომი პიროვნება, ამ ადგილის გადასვლისას, ძალაუნებურად თავს ძირს იქნევდა — თითქოს ვიდაცას ესალმებაო.

მიხომ შეამჩნია, რომ მაღაზიის წინ, მუდმივად ერთ ადგილზე იდგა 25-30 წლის მრგვალსახიანი კაცი, რომელიც ასევე თავისდაქნევით და ზოგჯერ ხელის აწევითაც კი ესალმებოდა იმას, ვინც მანქანაში იჯდა და ორმოს გამო თავს იძულებით ძირს იქნევდა. პურის მოლოდინში მყოფო უკვირდათ — ეს ზალა ვინ ყოფილა, ყველას როგორ იცნობსო და ყველა როგორ ესალმებაო. მიხომ ისიც კარგად შეამჩნია, რომ ვინმე ზალა რიგში დგომით თავს არ იწუხებდა, უფრო მეტიც — მისთვის პირველ რიგში გამოჰქონდათ კუთვნილი პური და მოწიწებით აწვდიდნენ ხელში.

მიხო და მისი თანატოლები, რომლებიც ბევრი იყვნენ რიგში, გადავიდნენ დაკვირვების რეჟიმში და აღმოაჩინეს, რომ ზემოაღწერილი ფაქტი მეორდებოდა ყოველდღე, მხოლოდ სხვადასხვა დროს — ვინმე ზალა იდგა „თავის“ ადგილზე, თავს იქნევდა და ხელს მაღლა სწევდა მანქანის ჩაგლაზე და განაგრძობდა ლოდინს, რომ გამოეტანათ მაღაზიდან მისთვის კუთვნილი პური.

ვინ არის, ბოლო-ბოლო, ეს თავხედი კაციო, იყიქრეს მოზარდებმა და დაინტერესდნენ მისი პიროვნებით.

პირველი, რაც დაადგინეს, „ზალა“ ყოფილა იმ პიროვნების თიკუნი ეწ. „კლინკა“ და ისიც, რომ ის ყოფილა ეწ. „კოლორიტი“ პიროვნება, რისი არსი და შინაარსიც მოზარდებმა არ იცოდნენ.

ცხელი ზაფხულის ერთ დღეს უბნელმა ბიჭებმა ატექეს ხმაური – საცურაო აუზი აღმოგაჩინეთო და მიხოც წაიყვანეს საცურაოდ. მართლაც, პატარა ქალაქის ცენტრში მიადგნენ ჰიდროტექნიკური დანიშნულების წყალსაცავს, რომელიც სავსე იყო წყლით და პო, საოცრებავ... ერთი პიროვნება მოხდენილად ნებივრობდა წყლის ზედაპირზე და ეს პიროვნება გახლდათ „ზალა“ – ბავშვებისათვის „საინტერესო“ პერსონა.

ცოტა არ იყოს – დაიბნენ და ოდნავ შეკოვნდნენ, მაგრამ მათ შორის ყველაზე უფროსმა, რომელსაც „ოოხანას“ ეძახდნენ, მოზარდები გაამხნევა და უთხრა, ნუ დელავთ, მე მოვაგვარებ ყველაფერსო და დაიწყო ტანისამოსის გახდა.

„ზალამ“ რომ დაინახა ბავშვების აუზში საბანაოდ მზადება, შეჭყვირა – არ გაბედოთ აუზში ჩამოსვლა და, საერთოდ, აქ მოსვლა... ვინ ხართ, აქ რა გინდათ... მოუს-ვით აქედან, აღარ გნახოთ ჩემმა თვალებმარ...

შეშინდათ ბავშვებს „კოლორიტისა“ და გულნატ-კენები წავიდნენ სახლებისაკენ.

იგივე ამბავი დატრიალდა ორი დღის, ერთი კვირის, ერთი თვის შემდეგაც, რამაც ბავშვები უკიდურესად გააბორობა და „ზალას“ უკვე თავისთვის მტრად მიიჩნევდნენ, ლანბდავდნენ და აგინებდნენ... იყო შემთხვევა ბი, როცა ქვებიც კი ესროლეს და გაიქცნენ.

ერთხელ წყლიდან ამოვარდა „ზალა“ და ტრუსიკიანმა თითქმის ქალაქის ცენტრამდე სდია გაქცეულ ბავშვებს, მაგრამ ვერ დაეწია – გზაზე შემხვედრები კი საკმაოდ გააოცა... გამვლელ-გამოვლელები ფიქრობდნენ და ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ რას შეეძლო ასე გაემწარებინა ქალაქის „კოლორიტი“.

მოზარდებმა გადაწყვიტეს, რომ მშობლებისთვის მოეყოლათ ყველაფერი, მაგრამ „ოოხანამ“ არ მისცა მათ ამის უფლება და განუმარტა მათ – არც მშობლები მოგვცემენ ამ აუზში ბანაობის უფლებასო და ტყუილად თავს შევირცხენთო...

რატომაო, იკითხეს შედარებით მცირეწლოვანებმა. იმიტომ, რომ აუზი არ არის ცურვის სასწავლებლად განკუთვნილი, ძალიან ღრმაა, არ აქვს არავითარი დამცავი საშუალებები, არ ჰყავს ოფიციალური ზედამხედველი, მონგრეული აქვს და ფსკერზე გდია რკინის კიბე და ა.შ.

შენც ჩვენი მტერი ყოფილხარო, გაუბედეს მოზარდებ-მა „თოხანას“. შენ რა გენადვლება, კარგად იცი ცურვა, ჩვენ რაში გაინტერესებოთ...

ამ მოქენტიდან მოყოლებული, მოზარდების უმრავ-ლესობამ ზურგი აქცია „თოხანას“ და „ზალას“. მათ მიმართ გულში ჩადებული სიძულვილი გაუაომაგდათ... ვერ ისვენებდნენ და სულ იმის ფიქრში იყვნენ, თუ რო-გორ მიეგოო სამაგიერო „კოლორიტისათვის“.

„თოხანაშ“ იგრძნო ბავშვების გაუცხოება მის მიმართ, გულში ინანა კიდეც, რომ რამდენჯერმე უხეშად მიმარ-თა მათ და გადაწყვიტა მოენახა გზები მათთან ძველჯ-ბური სიახლივისა და სიყვარულის დასაბრუნებლად. მოხედა ისე, რომ პატარებმა მას ზურგი შეაქციეს და მოღალატედაც კი „მონათლებას“.

გავიდა კიდევ ორი თუ სამი კვირა და აუზთან ახ-ლოს მცხოვრებმა, მათმა თანაკლასელმა გაიხმო შუ-რისძიების მაძიებლების ორი ყველაზე უფროსი ბიჭი და გაანდო თავისი ჩანაფიქრი, თუ როგორ უნდა დაესაჯაო „კოლორიტი“, „ზალა“.

სამნი გაემართენ აუზისაკენ. თანაკლასელმა, რომე-ლიც წყალსაცავის სიახლოეს ცხოვრობდა, უთხრა – აუზთან ახლოს არ გამოჩნდეთ, მე გამომყევით, ოდონდ ყოველგვარი ხმაურის გარეშე და გაუძღვა წინ. ის კი დაინახეს, თუ როგორ იყო წამოწოლილი წყლის ზედა-პირზე „ზალა“ და როგორ ნებივრობდა და „ისვენებდა“ თვალებმილულული.

ახლომცხოვრებლებისგან შეუმჩნევლად შევიდნენ ერთ-ერთი სახლის სარდაფში, გაიარეს ბნელი დერეფ-ნები და მიადგნენ სიღრმეში ჩასასვლელ კიბეს. წინ მიდიოდა „თანაკლასელი“, რომელმაც ხელი მიაშველა


ბიჭებს და წვალებ-წვალებით გააგრძელეს გზა...

მალე გაიგეს წყლის ჩერიალის ხმაც. უფროსმა თანაკლასელმა ბიჭებს მიუთითა წყალსაცავის წყლით შეგსება-დაცლის მიღვაყვანილობებზე და ონკანებზე. ყურადღება გაამახვილა ერთ-ერთ დიდ ონკანზე და ნიშნისმოგებით უთხრა ბავშვებს – ამას თუ ბილომდე გავადებთ, აუზი მალე დაიცლებაო...

ბავშვებმა სიხარულით ლამის გვირაბის ჭერს მოარტყეს თავი, ჩაეჭიდნენ უშველებელ ონკანს და მთვლი ძალით შეატრიალეს ბოლომდე. იხუვლა წყალმა და დგაფა-დგუფით ეცა მისოვის განკუთვნილ გაყვანილობას და სივრცეს.

ბავშვებმა სწრაფად მიატოვეს იქაურობა და გაემართნენ წყალსაცავის ახლოს მდებარე გორაკის ბუჩქებისაკენ და იქიდან ადგვნებდნენ თვალს აუზზი მიმდინარე პროცესს, თან ერთოთავად კისკისებდნენ და სიხარულით ერთმანეთს ეხვეოდნენ.

ბავშვებმა შეამჩნიეს თუ როგორ სწრაფად იცლებოდა აუზი. ზედაპირზე მონებივრე „ზალამ“ გარკვეული



დროის პერიოდში ვერ შეამჩნია წყლის დონის დაწევა, თუმცა, როცა შეამჩნია – უკვე გვიან იყო... იგი ვედარ მისწვდა კედლის პირს და იძულებული იყო, ისევ წყლის ზედაპირზე ეტივტივა, მაგრამ როდემდე?!

ბავშვები ერთმანეთს ულოცავდნენ, ჩუმად იცინოდნენ და გამარჯვებულების „პოზიტ“ ერთმანეთს ეხუტებოდნენ.

წყლის დონე კი სულ ქვევით და ქვევით იწევდა და „ზალასაც“ ფსკერისკენ მიათრევდა. მან შეამჩნია ხავსმოკიდებული კედლები, ჩამოვარდნილი რკინის კიბე, ხის დიდი კასრი და ათასი სიბინძურე.

„ზალა“ მიხვდა, რომ სხვისი დახმარების გარეშე თავს ვერ დააღწევდა ღრმა და ხავსმოდებულ ბეტონის სივრცეს და კასრზე ფეხებით შემდგარმა დაიწყო ყვირილი.

...მიშველეთ... ხალხო, მიშველეთ...

მისმა ყვირილმა მიაღწია, როგორც აუზის სიახლოვეს მცხოვრებ მეზობლებამდე, ისე დაბა-ქალაქის ორი უბნის შემაერთებელ ვიწრო გზაზე გამვლელ-გამოვლელებამდე...

ატყდა ხმაური, ჩოჩქოლი, ფაცი-ფუცი. ბავშვები გამოძვრნენ ბუჩქებიდან და უკვე ბლომად შეკრებილ ხალხს შეუერთდნენ სიამოვნების განცდით.

ვიღაც გააგზავნეს სახანძრო რაზმის მოსაყვანად, ვიღაცამ თოკები მოიტანა, ვიღაცა საოჯახო პატარა კიბეს მოათრევდა...

„ზალასგან“ ნაწყენი ბავშვების რაოდენობამ იმატა და ყველა ერთად ხარობდა მიღწეული რევანშის განცდით...

„ზალა“ კი იდგა ხავსმოდებულ მაღალ კასრზე და თავისთვის ფიქრობდა: „...გაიზრდებით და დააფასებო ჩემს ქმედებებს... ვინ იცის, რომელი თქვენგანი გადავარჩინე უბედურ შემთხვევას... ღმერთმა განსაჯოს...“

## ორიენტირი

საღამო ჟამი იდგა სოფელში. ფართე და ლამაზი ჭიშკრის კუთხესთან ახლოსმდგარი საოცრად მაღალი ალვისხის ძირთან მდგარ მოხერხებულ ხის სკამზე მჯდომ დათო პაპას კალთაში ეჯდა საყვარელი შვილიშვილი, დიდი პაპის მოსახელე, ექვსი წლის თეიმურაზი და საინტერესო ამბებს უყვებოდა.

ორლობებში გამვლელ-გამოვლელები მოწიწებით და ხაზგასმული პატივისცემით ესალმებოდნენ ყველასთვის კარგადცნობილ, ე.წ. „ხელმარჯვე ოსტატე“ და თან აყოლებდნენ სიტყვებს: „...ღმერთმა საამაყო ვაჟკაცად გაგიზარდოსო“ და ბავშვები ალერსით უსვამდნენ ხელს თმაზუჭუჭა თავზე. მერე წამით ახედავდნენ აშოლტილ ალვისხეს და აგრძელებდნენ გზას.

პატარა თეიმურაზი ბავშვებისათვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობით, შეკითხვას შეკითხვაზე აყრიდა პაპას და პასუხი მოლოდინში ცტმუტავდა, აქეთ-იქით იშვერდ საჩვენებელ თითს და შიგდაშიგ გაოცებულ თვალებით შესცეკროდა მოსაუბრეს.



შვილიშვილს განსაკუთრებით აინტერესებდა ალ-ვისხე: ვინ და როდის დარგო, რამდენი წლისაა, როგორ გაიზარდა ასეთი მაღალი, ვინ უვლიდა და როგორ, სი-მაღლის გარდა კიდევ რითი იყო ცნობილი და ა.შ.

დათა პაპამ დინჯად და ხმადაბლა დაიწყო და თან უფრო მეტად ეხუტებოდა საყვარელ შვილიშვილს, რო-მელსაც უურები ჰქონდა დაცქემტილი საინტერესო ამ-ბების მოლოდინში.

„...გადმოცემით ვიცი, რომ ეს ალვისხე დაურგავს პაპაჩემს, რომელსაც თურმე ჰყვარებია და მსმენელთა გასაგონად ხშირად იმეორებდა საყვარელ სიტყვებს იმასთან დაკავშირებით, რომ ნებისმიერ ხეს პატარა ბავშვივით სჭირდება აღზრდა, მოითხოვს მოფერებას და ყურადღებას განსაკუთრებით სიცოცხლის საწყ-ის ეტაპზე. ხშირად უნდა მორწყვა, მიწის შემობარ-ვა, სარეველა ბალახებისაგან გასუფთავება, ხადახან შხამ-ქიმიკატებით შეწამვლაც, ზედმეტი ტოტების შე-ჭრა და ა.შ. მოკლედ, მცირე ასაკში სისტემურ ზრუნ-ვას მოითხოვს. მერე კი, წლების განმავლობაში იღებს საკვებს დედამიწის უმდიდრესი ფენებიდან. ადამიანიც ასეა – გარკვეულ ასაკამდე განუწყვეტელი ყურადღება სჭირდება, მერე კი მიიღებს რა შესაბამის განათლებას, დამოუკიდებლად იწყებს ცხოვრებას... უფრო მეტიც, მერე ქმნის ოჯახს და თავად მოავლენს ადსაზრდელებს და ასე უწყვეტად მრავალი საუკუნის განმავლობაში.

ეს ალვისხე დიდიხისია დამოუკიდებლად ცხოვრობს, ირჩენს თავს და შეძლებისდაგვარად სარგებელიც მოა-ქვს ადამიანებისთვის.

– რა სარგებელი მოაქსო, იკითხა ყურებდაცქემტილ-მა თეიმურაზმა, ყვავილები მას არა აქვს და არც რაიმე გემრიელ ნაყოფს ისხამსო.

– მართალი ხარ, შვილო, ნაყოფს არ ისხამს, პირს ვერ ჩაიტკაბარუნებს კაცი, მაგრამ სოფელში უცხო კაცი რომ ჩამოვა, ორიენტაციაში ეხმარება და ამით იხდის თავის ვალს ადამიანების წინაშე.

— ეგ როგორაო... ჯერ ვერ მიხვდა პატარა თეიმურაზი ნათქვამის აზრს, მითუმეტეს, რომ ვერ გაიგო, რას ნიშნავს სიტყვა ორიენტაცია...

— ჩვენი წინაპარი, ვინც ეს ალვისხე დარგო და გაზარდა, ექიმბაში ყოფილა და ავადმყოფებს მკურნალობდა სხვადასხვა მცენარეულობებიდან დამზადებული წამლებით...

ახლა ექიმბაში ვერ გაიგო და დათა იძულებული გახდა, ესეც აეხსნა ცნობისმოყვარე პატარისთვის.

— მერე ალვისხე რა შუაშიაო, იკითხა ერთხელ კიდევ გაოცებულმა ბაგშვმა.

— იმ შუაშია, რომ სოფელში ყოველი მხრიდან შემოსული კაცი ადვილად ამჩნევდა ცასმიბჯენილ ხეს და დახმარებისთვის მისულ სტუმარ კაცს არ უჭირდა ექიმბაშის მონახვა და აგადმყოფისათვის საჭირო სამკურნალო საშუალებების მიწოდება. — აი, იმ ალვისხეს ხომ ხედავთო, ეუბნებოდნენ სტუმარს, პოდა, იქ ცხოვრობს ის კაცი, თქვენ რომ გინდათო... ეტყოდნენ ხოლმე ჩვენი სოფლელები უცხოს. აი, ეს არის ორიენტაცია, ანუ ორიენტირით სარგებლობა, დროის მოგების მიზნით და არამხოლოდ დროის...

დათამ გააგრძელა საუბარი — მაშინ არ არსებობდა ქუჩებისა და მოედნების დასახელებები და სახლების ნომრები, მსგავსი ორიენტირების გარეშე ძნელი იყო კაცის დროულად პოვნა, თუნდაც ისეთი ცნობილისა, როგორც ჩვენი ძველი წინაპარი ყოფილა.

აბა, დააკვირდი, ჩემო კარგო, და შეამჩნევ, რომ დღესაც, თითქმის 100 წლის შემდეგაც, ყოველდღიურად და აქტიურად იყენებენ ჩვენს ალვისხეს ორიენტირად. ხვალ რაიონის ცენტრიდან სტუმრად ჩამოდის ჩემო მეგობარი და წავიდეთ, დავხვდეთ ავტობუსების და სამარშრუტო ტაქსების სადგურში. თავად დარწმუნდები, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ისეთ ორიენტირს, როგორიც ჩვენი ალვისხეაო, ამაყად წარმოსთქვა დათამ და წავიდნენ სახლისკენ, ახლოვდებოდა ძილის დრო.

მეორე დღეს, პატარა თეიმურაზის გაოცებას მართლაც რომ არ ჰქონდა ზღვარი. სოფლის ხალხმრავალ ავტოსადგურში განუწყვეტლივ ისმოდა შეკითხვები, თუ სად არის ესათუის ობიექტი და ასევე პასუხები: აი, იმ ალვისხეს ხომ ხედავ, მისგან მარცხნივ ოთხმოცდაათ ნაბიჯში არის წისქვილი; ხეს რომ გასცდები, ას მეტოშია საჭედლო; ხემდე არმისული შეუხვევ მარცხნივ და იქვე დაგხვდება აფთიაქი; ალვისხეს უნდა გასცდე ორასიოდე ნაბიჯით და იქ ნახავ საშუალო სკოლას და საბავშვო ბაღსაც და ა.შ.

აი, ასე ცხოვრობს და სულდგმულობს ჩვენი ალვისხე, სიამაყიო აღნიშნა პაპამ... იგი მზადაა, დღე იქნება თუ დამქ, დაეხმაროს ადამიანებს და სწრაფად და იოლად აპოვნინოს მათვის საჭირო ადამიანები თუ სამსახურზე დი და მრავალი სხვა სასიცოცხლო ობიექტები.

პატარა თეიმურაზი გაფართოებული თვალებით შეცქეროდა დათა პაპას და ისე მოეწონა ნანახი და მოსმენილი, რომ ნატრობდა – კიდევ დიდხანს დაეგვიანა სტუმარს, რომელსაც ელოდნენ. მერე კი საყვედურის კილოთი მიმართა დათა პაპას – წამიევანეთ ერთხელ ჩვენი დიდი წინაპრის საფლავზე, ვნახო, სად განისვენებს, განსასვენებელს გაგასუფთავებ, მივიტან ყვავილებს, დავანთებ სანთელს...

ჭჭ, ჩემო კარგო, მიმართა დათამ, სამწუხაროდ, არ ვიციო, სად არის დასაფლავებული; ომიდან აღარ დაბრუნებულა; ვერ ვიპოვეთ და ვერ მივაგენიო მის მუდმივ სამყოფელს. უგზო-უკვალოდ დაკარგულად ითვლება, რასაც მძიმედ განვიცდიოთ...

პატარა თეიმურაზმა ხელი მაგრად დაუჭირა დათა პაპას და დაძაბული ხმით უთხრა – დაუდექი მუხლებზე ჩვენს საოცარ ალვისხეს და მუდარით სოხოვე, გვაპოვნინოს ჩვენი ძვირფასი წინაპრის სამუდამო სასუფეველი.

ეს ის დროა, როდესაც ვახტანგმა დაურეკა თავის მეზობელ თედოს და სოხოვა, რომ მასთან შესულიყო. თედო დასაძინებლად ემზადებოდა და ცოტა არ იყოს გაუკვირდა, რადგან არასოდეს, ასე გვიან იგი არ მიუპატიუებია სახლში ვახტანგს. რა ექნა, უარს ვერ ეტყოდა ათეული წლებით უფროს მეზობელს და დარგკა მის კარზე. ვახტანგმა ღიმილით გააღო კარი და მეზობელი სახლში მიიპატიუა. იმავდროულად კედელზე დაკიდებულ საათს შეხედა და ლამის ჩაიკეცა გაოცებისაგან. საათის ისრები აჩვენებდა დროს ოცდაორი საათი და ოცდაორი წუთი.

თედოს შეეშინდა და ხელი შეაშველა დაბარბაცებულ ვახტანგს, რომელიც იქვე მდებარე სავარძელში აპირებდა ჩაჯდომას. ვახტანგი მალე მოვიდა აზრზე და უთხრა – აი, რომ არ გჯერათ ხოლმე ჩემი; აბა შეხედე საათს...

ვახტანგმა სავახშმოდ გაშლილ სუფრასთან მიიპატიჟა თედო და უთხრა:

– მაპატიჟ, რომ გაწუხებ ასე გვიან, მაგრამ გავბედე და მინდა იმ უცნაური ამბების შესახებ გიამბო, რაც მე თავს გადამხდა ბოლო პერიოდში.

შენ კარგად იცი იმ „ხუთიანებისა“ და „ოთხიანების“ შესახებ, რომლებიც ტრიალებდნენ ჩემს გარშემო ორმოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში. გახსოვს, ალბათ, ჯერ იყო „ხუთიანები“, მერე „ოთხიანები“, მერე „სამიანები“, რის შესახებაც არაერთხელ მისაუბრია ჩენებს სამძაკაცოში. „სამიანების“ პერიოდი დაიწყო 2015 წელს, როდესაც ოთხწევრიან ოჯახს გამოაკლდა ერთი წევრი, ჩემი ძვირფასი მეუღლის სახით და დავრჩით სამნი.

ახლა მინდა გითხრა, რომ „ხუთიანებმა“ და „ოთხიანებმა“ საერთოდ „მიმატოვეს“, აღარც ფიქრებში და აღარც რეალურ ყოფაში აღარ ჩანან, აღარ მაწუხებენ... დამეკარგნენ...

დორ კი მიდის და მიდის... უკვე გადავცდი ცხრა ათეულის ზღვარს... იქ კი, ციფრების სამყაროში, „ხუ- თიანებიდან“ ქვემოთ მივდივარ და იცი, რომ შემდეგ იყო „ოთხიანები“ და „სამიანები“... უკვე შევამჩნიე ამ „ჯადოსნური“ ციფრების დინამიკა და შიშმა შემიპყ- რო... ლოგიკური იყო, მეფიქრა, რომ „სამიანების“ ციტ- ლის დამთავრების შემდეგ, წამოვა „ორიანები“, „ერ- თიანები“ და ვაი...

რა ადარ იყო „სამიანების“ პერიოდში: ავტობუსის ნომერი, საათის ისრები, ამათუმი თამაშის ანგარიში, მეზობლების მესამე შვილები, თეატრში მესამე რიგის მესამე ადგილი, სახლებისა და ბინების ნომრები, მეგო- ბრების გამოცემული მესამე წიგნები, მეზობელი მოჭ- იდავის მესამე ადგილი და ა.შ. და ა.შ. უამრავი რამ... ყველაფერს როგორ ჩამოვთვლი... რაღაც უხილავი, უც- ნაური და უცნობი ძალები...

თედომ შეაწყვეტინა – შენ თვითონ ხომ არ იგონებ რაღაც-რაღაცებს?

– რას ვიგორებ, კაცო, იქ არ იყავი, თეატრის წინ კაცს რომ სასწორი ედგა და ავიწონე, პირველი აწონი- დან (კომისარიატში, როცა ჩემი წონა აღმოჩნდა 55 კბ.) ორმოცდათხუთმეტი წლის შემდეგ და ისევ 55 კბ. ვიყავი... ესწრებოდი ამ პროცესს და მეტი რა გითხრა?!

– კარგი რა, ვახტანგ, შენ თვითონ ეძებ რაღაცებს... კარგად მახსოვეს, სამნი დაგვპატიუე სახლში, რათა ოთხ- ნი ყველილიყავით და თუთუნის პირველი მოწევიდან 44 წლისთვის აღნიშნე...

– კაცო... გაწიწმატდა ვახტანგი... რას ვიგორებ, ფაქტები სახეზეა, მეტი რა გინდათ...

თედომ სთხოვა, იქნებ „სამიანების“ პერიოდის ერთი, თქვენთვის ყველაზე მეტად უცნაური და დამაფიქრებე- ლი ფაქტის შესახებ მითხრათ რაიმე.

დიდი სიამოვნებითო, უთხრა ვახტანგმა, ჭიქები მიუ- ჭახუნებს, დალიეს და ერთმა მოყოლა დაიწყო, მეორემ სმენა დაძაბა.

უკვე მე-9 წელია, რაც მეუღლე ადარ მყავს და ახლა უკვე სამწევრიანი ოჯახი დარჩა დიასახლისის გარეშე.

მოხდა ის, რასაც შინაგანად ველოდი. დაიწყო „სამი-ანების“ „ეპოქა“ და ახლა მოგიყვები ერთ-ერთ ბოლო, ფრიად საინტერესო შემთხვევის შესახებ.

მეგობარმა დამირეკა ფეხბურთზე წავიდეთო. მე ვკითხე, რომელ საათზე იწყება თამაში, ამ ცივ ამინდ-ში-მეთქი... მიპასუხა, ოთხზე იწყება, ამხანაგური თამაშია და უფრო მოსამზადებელ ვარიანტად განიხილებაო. კი ბატონო, გამოიარე ჩემთან, ვისადილოთ და მერე წავიდეთ-მეთქი. ასეც მოვიქციოთ. მოვიდა, ვისადილეთ, ვიჭურებულეთ, ჩავიცვი და დავიძარით.

ამ დროს დამირეკა უფროსმა ვაჟმა თბილისიდან – მამა „თიბისი“ ბანკში მიდი, ფული გამოვგზავნე სამასი ლარიაო. მადლობა-მეთქი, ვუთხარი შვილს და დავეშვით კიბეებზე.

ქუჩაში მიმავლებს მმაკაცი წამოგვეწია სიტყვებით – ბებრებო, საით მიდიხართო. ჩემი პასუხის შემდეგ აღტაცებულმა შეხეხა – უჰ, რა კარგია, მეც შემოგიერთდებით, ღმერთი სამობითააო – სოქვა და ცუნდრუკით გამოგვევა.

უურადღება მივაქციე ხალხურ გამონათქვამს... რადა-ცამ მაიძულა მობილური ამომელო და მონიტორზე და-მეხედა – დავხედე და ლამის გავგიუდი – 2023 წლის 23 მარტი, დღის 03 საათი და 03 წუთი. თუ მმაკაცის ნათქვამში არსებულ სიტყვა „სამობით“-ს გავითვალისწინებთ, უკვე ხუთ სამიანთან გვაქეს საქმე; სინამდვილეში ხომ სამნი ვიყავით, ე.ი. უკვე ექვს სამიანთან მქონდა „შეხება“ იმ კონკრეტულ დროს. მეშვიდე „სამიანი“ კი გამოგზავნილი თანხის მაჩვენებელში „იჯდა“.

„თიბისი“ ბანკის ფილიალში რომ შევედი, უკვე შვიდი „სამიანის“ „მფლობელი“ ვიყავი. მერე კი მოხდა ის, რასაც ნამდვილი სენსაცია შეგვიძლია ვუწოდოთ...

თედომ დაცექითა ყურები, რაო...

– ჯერ ერთი კიდევ დავლიოთ და მერე გეტყვიო, უთხა ვახტანგმა, მიუჟახუნა ჭიქა, გამოცალა და გააგრძე-

ლა: – ამ ფილიალში ხშირად დავდივარ და ახლობელივთ ვარ. შესასვლელიდან მარჯვნივ ორი გოგონ ან გოგო და ბიჭი სხედან და თვალებში შემოგციცინებენ – ოღონდ რამით მოგეხმარონ და გასიამოვნონ. მომწონს ასეთი ახალგაზრდები – ხშირად მოფერებით მივმართავ, ვუყვები მოკლე, ღიმილისმომგრელ ამბებს, გრუქნი ჩემს საავტორო წიგნებს... მოკლედ, მიცნობენ, ღიმილით მესალმებიან და ხალისით მემსახურებიან ხოლმე...

ამჯერად ორის ნაცვლად სამი ისხდნენ მაგიდას-თან. მესამე გოგონა ჩემთვის უცნობი იყო და ვიკიოხე, ვინ არის-მეთქი ეს მესამე გოგონა?..

ეს პრაქტიკანტია და ვეხმარებით, ვასწავლით და გამოცდილებას ვმატებთო, მიპასუხეს „ძევლმა“ გოგონებმა და ღიმილით მეკითხებიან – რით შეგვიძლია დაგეხმაროთ... მე გაოგნებული ვიყავი მერვე „სამიანის“ გამოჩენით და უცბათ ვერ ვუპასუხე. მცირე პაუზის შემდეგ კი ვუთხარი, რომ ჩემს სახელზე ფულადი გზავნილია და მინდა მივიღო-მეთქი.

გოგონამ სწრაფად წაიღო ხელი სპეციალური აპარატ-ისკენ, რაღაცას მიაჟირა ხელი და ზღაზღნით გამოცოცებული ქვითარი მომაწოდა (ზუსტად რა პქვია არ ვიცი) და მითხრა – მიბრძანდით მესამე სალაროსთან და იქ მოგემსახურებიანო... ყურში მომხვდა... მომხვდა კი არა, ლამის ტვინი გახვრიტა მეცხრე „სამიანის“ წარმოჩინებამ... სალაროსთან უკვე ბარბაცით მიმავალმა, შევხედე ქვითრის ნომერს, რათა შემემჩნია, როდის გამოჩნდებოდა ის სპეციალოზე მანათობელი წითელი ციფრებით...

თედო, ძალიან გთხოვ, მზად იყავი, არაფერი დამემართოს... დავხედე ქვითარს და პოი... ქვითრის ნომერი გახლდათ 333... კიდევ სამი სამიანი...



აქ კი ყველაფერმა მიმტყუნა, გონებამაც, მეხსიერებამაც, სიმტკიცემაც...

აი, ჩემო თედო, ის ქვითარი და ვახტანგმა ჯიბიდან ამოიღო თიბისი ბანკის ის ჯადოსნური ქვითარი, რომელზედაც გამოსახული იყო მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე სამიანები...

დიდება შენდა, ღმერთო... დაამთავრა ვახტანგმა, ჭიქა შეუვსო პირდაღებულ და თვალებგაფართოებულ თე-დოს და უთხრა ჩახლებილი ხმით...

ჩემო თედო, ამისთვის არ გთხოვე მოსულიყავი ჩემთან, რომ მეცნობებინა შენთვის „სამიანების“ შესახებ – შენ ისედაც ბევრი რამ იცოდი ჩემგან ამ „ციკლზე“. მთავარი ის არის, რომ მეჩვენება, დაამთავრდა „სამიანების ეპოქა“ და დაიწყო „ორიანების“ ეტაპი, რის შესახებაც მეტყველებს რამდენიმე ფაქტი...

– აბა, რა ხდება, გთხოვთ, არ დაიზაროთ და დაწვრილებით მითხრათ ყველაფერი...

– გთხოვ, ყურადღებით მომისმინო, ერთად გავაანალიზოთ მომხდარი და მერე მირჩიე, რა გავაკეთო, როგორ მოვიქცე...

თედომ თანაგრძნობით შეხედა უცნაური განცდებით გათანგულ მეგობარს, შეუვსო ჭიქა და როგორც იტყვიან ხოლმე – სმენად იქცა.

ვახტანგმა განაგრძო... ჩემო თედო, შენ კარგად იცი, რომ და გარდამეცვალა და დიდი დავით გოცირიძის (დეკანოზის) საქართველოში მაცხოვრებელი შვილიშვილებიდან ორნიდა დავრჩით – მე და ჩემი ძმა.

ანუ, ვიყავით სამნი და დავრჩით ორნი. ეს უკვე მანიშნებელი იყო ჩემთვის, რომ გადავედი რა 92-ე (კიდევ ერთი ორიანი) წელში, უნდა მეფიქრა, რომ რაღაც მოხდებოდა იმ „სფეროში“, რის შესახებაც ვსაუბრობთ. ათეული წლების განმავლობაში ამ უცნაური „ციფრობანის“ რეჟიმში მყოფს საშინელი განცდები მაწუხებს და მოსვენებას არ მაძლევს... წლები მემატება და ერთი „ორიანი“ გამოჩნდა, და გარდამეცვალა და ორნი დავრჩით (ძმები),

ერთი ვაჟიშვილი ჩემთან ცხოვრობს და მარტო არ ვარ – „ორნი“ ვართ და ა.შ. ე. ი. „სამიანების“ შემდეგ უკვე წამოვიდა „ორიანები“ და განა ნორმალურ ადამიანს არ დააფიქრებს ასეთი ფაქტები?! ძალაუნებურად ფიქრობ და გეხვენება, რომ ერთის მხრივ გემატება ასაკი და მიღინარ ასისკენ – მეორეს მხრივ მცირდება და თანდათან ნულისკენ, დიახ, ნულისკენ მიღის იმ რიცხვთა მაჩვენებელი, რომელიც, აი, უკვე თითქმის სამოცი წელია თავზე დამტრიალებს, გონებას მირევს და...

მაგრამ, ნება მომეცი, ახლა მოგახსენო, მართლაც რომ, არგაგონილი და არნახული ამბის შესახებ, თუ რატომ დაგირევე ასე გვიან.

დაგირევე და მოგიწვიე, რათა გითხრა, რომ წუხელ, დამით რადაცამ გამაღვიძა... არ ვიცი რამ, არასდროს მომხდარა მსგავსი რამ, ძილი მაქვს მუდამ მშვიდი და სტაბილური...

წამოვხტი საწოლში, ვფიქრობ – რა მოხდა... სიზმარი არ მინახავს, ხმაური არანაირი არ გამიგია... დმერთო, რა მოხდა... არ ვიცი...

გავტედე და გავანათე მობილური ტელეფონის მონიტორი... თვალებს არ დაგუჯერე – ციფრები მაუწყებდნენ, რომ იყო მე-2 თვის, ორი რიცხვი და 02 საათი და 22 წუთი...

თმები აღარ მაქვს, რომ „ყალყზე“ დამიღვეს... ვეცი სარკეს – არაფერი განსაკუთრებული, თუმცა, რაღა უნდა იყოს იმაზე მეტად განსაკუთრებული, რაც თავს დამატებდა შუაღამისას... ერთდროულად ექვსი „ორიანი“... და ამ დროს მეორე ოთახში ეძინა ჩემს მეორე შვილს... დაამთავრა ამბის მოყოლა ვახტანგმა, ჭიქა მიუჭახუნა თედოს და სიტყვებით – „ჩემო კარგო, დმერთმა კარგად გამყოფოს“, გამოცალა ქინძმარაულით სავსე სასმისი.

იყო დამის ორი საათი და ორი წუთი.

## ფეხი ფეხზე

სოფელში ხმა გავრცელდა, კლუბში შეხვედრაა დანიშნული დედაქალაქიდან ჩამოსულ მწერლებთანო.

საზეიმო განწყობის შესაბამისად ჩატმულ-დახურული მოსახლეობა დაიძრა კლუბისაკენ. ვის აღარ ნახავდი იქ, პატარა ბავშვებიდან დაწყებული ხანდაზმულ მოხუცებამდე. გაიხარეს სოფლელებმა ხანგრძლივი ზამთრის შემდეგ. ერთმანეთს ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ და კითხულობდნენ, თუ როგორ არიან, რას აპირებენ, შვილები და შვილიშვილები როგორ სწავლობენ, ვინ შეემატა სოფელს ახალი და, სამწუხაროდ, ვინ დატოვა ამქვეწიურობა და ა.შ.

როგორც წესი, დარბაზის წინა რიგს, სცენასთან ახლოს, ადგილს იკავებდნენ ხოლმე სოფლის ხელმძღვანელობის წარმომადგენლები, შემდეგ რიგებს კი ძირითადად ავსებდნენ ქალები და ბავშვები; აი, შეუარსებელის შემდეგ კი ადგილები იგსებოდა მშრომელი და მოპურმარილე კაცებით, რომლებიც შეხვედრის დამთავრების შემდეგ ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ ერთმანეთის ოჯახებში და გლეხურ სუფრებთან ატარებდნენ დროს, გვიანობამდე.

ამჯერადაც ანალოგიური რამ ხდებოდა. თითქმის შეივსო დარბაზი. წინა რიგებში ჩანდა რამდენიმე თავისუფალი ადგილი. უკანა რიგები ხმადაბალი საუბრებით იყო მოცული, დროდადრო კი ტაშის შემოკვრაც და ხმამაღალი სიცილის ხმაც ისმოდა.

გაიხსნა ფარდა, დაიწყო შეხვედრა. პროგრამის წამყვანი, მშვენიერი აღნაგობის ტანწერწეტა ქალბატონი მიესალმა დამსწრეთ, აუხსნა, თუ რის შესახებ წარიმართებოდა საუბარი და ისიც უთხრა, რომ შეხვენების შემდეგ სოფლის წარმომადგენლებსაც მიეცემოდათ შესაძლებლობა, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები. ჩაჯდა სავარძელში და სიტყვა მისცა ერთ-ერთ სტუმარ ჭალაროსან კაცს.

ძირითადი საკითხი იყო ახლადგამოცემული დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე წიგნის მიმოხილვა, რომელშიც ამ სოფლისა და იმ ადამიანების შესახებ იყო საუბარი, რომლებიც კარგად იყვნენ ცნობილი და მიუძღვოდათ გარკვეული წვლილი როგორც სოფლის, ისე მთლიანი ქვეყნის წარმატებებში.

შეხვედრის დასაწყისი მიმდინარეობდა მშვიდ ვო- თარებაში. დამსწრები ყურადღებით უსმენდნენ ტრიბუ- ნასთან მდგარ მამაკაცს.

ცოტახნის შემდეგ ბოლო რიგებში იმატა ხმაურ- მა. პირველ რიგში მჯდომარეობმა ჩინოსნებმა რამდენჯერმე მიაბრუნეს კისრები დარბაზის ბოლოსკენ, მაგრამ ამაռდ.

ბოლო რიგებში ხმაური მატულობდა მაშინ, როდე- საც პროგრამის წამყვანი მიკროფონში რაღაცას იტყოდა და მერე ჯდებოდა თავის სავარძელში. არა- და ხშირად დგებოდა და მოკლე სიტყვის შემდეგ უც- ნაური მანერით იკავებდა სავარძელში ადგილს. ჩაჯ- დომის მანერა კი მართლაც იპყრობდა ყურადღებას, რაზედაც განსაკუთრებულად რეაგირებდნენ უკანა რიგებში მჯდომი ხანდაზმული და მრავლისმნახველი მამაკაცები.

წამყვანი ქალბატონი შეხედავდა სცენის ორივე კუთხებში მდგომ ტელეკამერებს, მერე ოდნავ შეტრი- ალდებოდა მარცხნივ ან მარჯვნივ, ჩაჯდებოდა სავარ- ძელში და ენერგიულად აიქნევდა ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ფეხს და გადაიდებდა შესაბამისად მარცხენა ან მარჯვენა ფეხზე ისე, რომ მენჯის სახსრებამდე ყვე- ლაფერი უჩანდა და იჯდა ასე... უფრო მეტიც – ინტერ- ესით იყურებოდა ირგვლივ, აბა თუ მიცქერის ვინმე... .

საღამო-შეხვედრის პირველი ნახევრის განმავლობა- ში ათ-ოთორმეტჯერ მაინც წარმოდგა და დაჯდა. ვითომ ცდილობდა ხელებით დაეფარა მუხლები და ბარძაყები, მაგრამ ამ „საქმეს“ ორი ხელის „თავგამოდებული“ მც- დელობა არ შეელოდა.

ერთ-ერთ ბოლო რიგში, ერთმანეთის გვერდით ისხდენ საკმაოდ წლოვანი ნიკო და გიორგი. მათ ერთად დაამთავრეს ვაჟთა სკოლა, ერთად იბრძოდნენ და ახლაც ერთად არიან მეზობლურ ატმოსფეროში. ვერ ისვენებდნენ, ცმუქავდნენ და შიგადაშიგ რეპლიკებსაც ისროდნენ სცენის მიმართულებით, რითაც მიიქციეს კიდეც ყურადღება.

— გახსოვს, ნიკა, გეოგრაფიის გაკვეთილზე, ფანქარს რომ ჩავაგდებდით ხოლმე მერხის ქვეშ და მერე რომ ჩავჭრებოდით ვითომ საპოვნელად...

— როგორ არ მახსოვს, კაცო... სინამდვილეში ხომ ის გასურდა დაგვენახა, მუხლები მოშიშვლებული ჰქონდა თუ არა ჩვენს მასწავლებელს...

— აბა კაცო, რა დრო იყო... მუხლებს რომელი ქალი დაგვანახებდა, ისიც მოდაში ახლადშემოსულ ნეილონის წინდებში შეფუთულს...

— ის თუ გახსოვს, მასწავლებელმა რომ გვითხრა — ჰა, რას შვრებით, ვერ იპოვეთ ფანქარიო?!

— ისიც მახსოვს, ინგლისურის მასწავლებელმა რომ გვითხრა: დღეს ვინც ფანქარს ჩააგდებს ჩემგან კარგ ნიშანს ვერ ეღირსებაო...

— ჰო, აბა კაცო, რა დრო იყო, როგორ უფრთხილდებოდნენ მუხლებს...

— აქ კი რა ხდება... მუხლებს კი არა, ლამის დუნდულები უჩანს, ამ მამაცხონებულს...

— გიო, მთავრდება მე მგონი პირველი ნაწილი, წამო ბუფეტში შევიდეთ, თითო ჭიქა „მოცცხოთ“. ეს თქვა ნიკომ და უბის ჯიბეს მოუთათუნა თითებით.

დამთავრდა საღამო-შეხვედრის პირველი ნაწილი. ხალხი ხმაურით მიმოიფანტა, ზოგი ბუფეტისკენ, ზოგი თამბაქოს მოსაწევად წინაეზოში, ზოგი საპირფარე-შოებში და ზოგიც დერეფანში მოწყობილი ფოტოსურათების გამოფენის გასაცნობად.

ნიკამ და გიორგიმ ნახევრამდე ჩაცალეს არყის ბოთლი და მხიარული განწყობით დაიძრნენ დარბაზისკენ.

გიორგი უუბნება ნიკოს:

— მოდი, წინა რიგებში გადავინაცვლოთ, გავიხსენოთ ფანქრის ჩაგდების ეპიზოდები.

— აბა როგორ, იქ ხომ ქალები და ბავშვები სხედან, ვინ დაგვითმობს ადგილს...

ამ დროს მიკროფონში გაისმა ხმა— დამშვიდდით, ნე ხმაურობთ... იწყება მეორე ნაწილი... შემობრძანდით, დაიკავეთ თქვენი ადგილები.

შევიდნენ დარბაზში ნიკო და გიორგი. რას ხედავდნენ... წინა რიგები ძირითადად შევსებულია უკანა რიგში მჯდომი მამაკაცებით, აღარ ჩანს ცარიელი ადგილები... სცენის წინ არის ერთი გაწევ-გამოწევა — „ეს ჩემი ადგილია”, „მე აქ ვიჯექი შვილიშვილებთან ერთად”, „წადი მონახე შენი სკამი“ და ა.შ.

პირდაღებულები შეჰყურებდნენ ბავშვობის მეგობრები ერთმანეთს...

ეს რა ხდება, სად დაიკარგა ქალების და ბავშვების მიმართ პატივისცემა. რამ უნდა აიძულოს ხანდაზმული მამაკაცები, რომ ასე მოიქცენ... ვაი ჩვენს თავს უბედურს აღმოხდათ ნიკოს და გიორგის, ეს რას მოვესწარითო...

ორი ბავშვი წამოხტა სკამიდან და მიმართეს „ბებერ მეზურნეებს“ — აი, აქ დაბრძანდით ნიკა პაპა, ჩვენ დედაქემთან წავალთო და თითი გაიშვირეს სადღაც ბოლო რიგისაკენ.

ძლიერი იყო „ცდუნება“. ესიამოვნათ ახალგაზრდების ყურადღება. მადლობა მოუხადეს და გამომწვევად მოკალათდნენ მეორე რიგში, რაღაც „სიამოვნების“ მოლოდინში.

გავიდა ორიოდე წუთი, ნიკომ და გიორგიმ მოასწრეს და გაისხენეს სკოლისდროინდელი რამდენიმე ეპიზოდი და გაისმა ხმა:

— ახლა კი ნება გვიბოძეთ წარმოგიდგინოთ თქვენი თანასოფლელი წიგნის ირგვლივ თავიანთი მოსაზრებებით, ხოლო შემდეგ ბავშვთა ანსამბლი „ჭიკჭიკა“.

ნიკომ და გიორგიმ თვალებს არ დაუჯერეს, მიკროფონით ხელში მათ თვალწინ იდგა ამერიკული ჯინსის შარვალში გამოწყობილი მშვენიერი აღნაგობის ტანჯერწერა ქალბატონი, რომელიც ირონიული დიმილით ჟესტეროდა და შესუეუნებდა დარბაზის პირველ რიგებში მოზღვავებულ მამაკაცებს და აქტიურად გადაადგილდებოდა სცენაზე.

ნიკომ და გიორგიმ კი ჩაატარეს „ფანქრის ჩაგდების“ ოპერაცია, მაგრამ აღარ მიეცათ „ჩავარდნილი ფანქრის პოვნით“ მიღებული სიამოვნების შესაძლებლობა...

ოხ, ეს ამერიკელები და მათი ჯინსები!..



## ტაბურეტი

მოუსვენარ და „ჩხირკედელა“ კაცად იცნობდნენ სოფელში მიტუას, რომელიც ბაგშვობის ასაკიდანვე იყო საოცრად ენერგიული, მოძრავი, ყველაფრისადმი ყურადებიანი და, შეიძლება ითქვას, ჯიუტიც და პრინციპულიც.

როგორც იტყვიან ხოლმე – მას ყველაფერი გამოსდიოდა, ყველაფერი აინტერესებდა, რაც მოძრაობაში იყო და თითქმის ყველაფერზე ჰქონდა თავისი ორიგინალური შეხედულება.

პატარა ასაკში დაობდება – ჯერ ფრონტიდან მამის ტრაგიკული დაღუპვის შესახებ ტელეგრამამ შესძრაოჯახი, ცნობით, რომ ოჯახის უფროსი აღარ ჰყავდათ, ხოლო ორიოდ წლის შემდეგ კი, მიტუას დედა გარდავცვალა, მძიმე დაავადების შედეგად. ჰოდა, იზრდებოდა მიტუა ნაოესავებისა და მეზობლების ყურადღებით და

გარჯით ჭაბუკი მიტუა კმაყოფილი და მადლიერი იყო მასზე მზრუნვავი ადამიანების და ყველანაირად ცდოლობდა კარგი სწავლით და დაუღალავი შრომით მოეხადა თავისი გალი ყველას მიმართ. შექმნილი სიტუაცია იყო იმის საწინდარი, რომ მიტუა ჩამოყალიბდებოდა მშრომელ პიროვნებად და ასეც მოხედა: ყველაფერი შეისწავლა და ყველაფერი ეხერხებოდა, რაც ადამიანებს ესაჭიროებოდათ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

წლები გადიოდა და მიტუაც სულ უფრო პოპულარული ხდებოდა როგორც საცუთარ სოფელში, ისე მთლიანად რაიონში.

მას უკვე კითხულობდნენ და ეძებდნენ ათასგარი ცხოვრებისეული საჭიროებების მოსაწესრიგებლად და გადასაწყვეტად, რაც დიდ სიხარულს ანიჭებდა მშრომელ და უაღრესად პატიოსან და კეთილისმსურველ პიროვნებას. დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ ტექნიკუმი და დაიწყო შრომა მშობლიური სოფლის კულტურის სახლში ტექნიკოსად. დირექცია სათანადოდ აფასებდა მის შრომას და მონდომებას. არ აკლებდნენ ქებასა და წამახალისებელ ჯილდოებს.

წლები გადიოდა; უამი დგებოდა საცუთარი ოჯახის შექმნის, რის თაობაზეც ეშირად ესაუბრებოდნენ მისი მეგობრები, თუ ახლობელ-მეზობლები და ნათესავები, მაგრამ მიტუა რაღაცნაირი თავშეკავებული დიმილით პასუხობდა – ვერ შევქმნი ოჯახს, თუ არ შემიყვარდაო... სიყვარულის გარეშე მე ვერ წარმომიდგენია ოჯახიო და ა.შ.

და დადგა დრო, როდესაც მიტუა შეიპყრო რაღაც უცნაურმა, მანამდე უცნობმა გრძნობამ, რამაც დაუკარგა მოსვენება და დაურღვია ყოველდღიური ყოფის ჩვეულებრივი რიტმი და სტილი. მიხვდა მიტუა, რომ ეწვია სიყვარული. მარიამის, დღეში თუნდაც ერთხელ ნახვის გარეშე, უკვე აღარ შეეძლო ყოფნა და დადგა უამი, უამი ახალი ოჯახის შექმნის...

იზეიმა სოფელმა, გაიხარა დიდმა და პატარამ... სამი

დღე გრძელდებოდა საქორწინო ზეიმი მიტუასა და მარიამის ახლადშექმნილ ოჯახში.

„ვერი ფერსა, მადლი ღმერთსაო“ – პირზე ეკერა ყველას და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იმაში, თუ ვინ უფრო უქეთეს საჩუქარს გადასცემდა ახლადშექმნილ ახალგაზრდა ოჯახს. მიტუამ შემჩნია, რომ მარიამი ყოველი საჩუქრის მიღების შემდეგ მადლობის სიტყვაბით ეხვეოდა და ჰკოცნიდა მზუქებელს და მერე იმ ფანჯრისკენ იყურებოდა, სადაც იდგა მისი მზითევის ერთ-ერთი ყველაზე უცნაური, მიმზიდველი და ორიგინალური მოყვანილობის ნივთი, კერძოდ ხის ტაბურეტი. მოგვიანებით გაიგებს მიტუა, რომ ის ტაბურეტი ყოფილა დამზადებული აფრიკული წაბლის ჯიშის გვარის მკვრივი ხისაგან, ორიგინალური, ამოტვიფრული ნიშან-მოხსატულობით და რაღაცნაირი უცნაური სიმბოლოებით. ისიც გაიგო მიტუამ, რომ ეს ტაბურეტი მემკვიდრეობით ერგო დიდი ბებიისგან და რომ ის ყოფილა დიდი ბებიის მზითევის ნაწილი.

ამ დეტალების გაცნობიერების შემდეგ, მიტუასთვის უპყე კარგად იყო გასაგები, თუ რატომ უყვარდა მარიამს ის ტაბურეტი, რატომ დაკანკალებდა ზედ, რატომ წმინდავდა ყოველდღე და რატომ ინახავდა უსაფრთხო ადგილზე და რომ იტყვიან ხოლმე – რატომ „ამოსდიოდა მზე და მთვარე“ ამ ტაბურეტის დამნახავს.

გავიდა ორ ათეულზე მეტი წელი. მიტუამ და მარიამმა შობეს, გაზარდეს და გაათხოვეს ორი ულამაზესი ქალიშვილი. მოყვრები ახლობელ სოფლებში ჰყავდათ და ხშირად სტუმრობდნენ ერთმანეთს.

დრო კი მიდიოდა და მიდიოდა. მიტუას უწია საპენსიო ასაკმა და მან, მთელი თავისი უნიკალური შესაძლებლებები მაქსიმალურად მიუძღვნა როგორც საკუთარი კარ-მიდამოს მაღალ დონეზე მოწყობა-სრულყოფას, ისე მეზობლების ყოველდღიური ცხოვრების მცირე, თუ მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებას. უფრო მეტად დაინახეს მიტუას ცოდნა-გამოცდილება, მისი დაუოკებე-

ლი სურვილი და ჟინი, რომ ყველგან და ყველაფერში მუდამ ყოფილიყო წესრიგი, რომ ყველაფერი ყოფილიყო თავის ადგილზე, რომ ყველაფერს პქონოდა თავისი სახელი.

მიტუასა და მარიამის სახლ-კარში ყოველ ნაბიჯზე და ყოველ საკითხში იგრძნობოდა უმაღლესი დონის მოწესრიგებულობა, რაც გადამდები და მისაბაძი გახლდათ ყველასთვის. გაუთავებლად და გარკვეული სიამაფით საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ მიტუას სახლში: არასოდეს ექტენდნენ რაიმე ნივთს (ყველაფერი იდო „თავის“ ადგილზე), ვერსად ნახავდით მტვერს ან უდიერად მიგდებულ რაიმე საგანს; ყველა ელექტროსელსაწყო მუშაობდა გამართულად; არსად წვეთავდა ონკანი, არსად იყო ელექტროსადენების მოუწესრიგებელი ბლუჯა; ეზოში ხეხილი მუდამ იყო შემობარული, შეწამლული, გასხლული... ღობეებში არ იყო ხვრელები, ქათმებსა და შინაურ ცხოველებს უმაღლეს დონეზე პქონდათ მოწყობილი საკვები ადგილები, სახლის სახურავიდან არსად ჩამოდიოდა წვიმა თუ სხვა ატმოსფერული ნალექი... და ა.შ. და ა.შ. და ასე ყველაფერი არამარტო თავისთან, არამედ მეზობლებთანაც...

უგვირდათ მეზობლებს, როდესაც მოულოდნელად მივიდოდა მათთან მიტუა და იკითხავდა – ხომ არაფერი გაგიფუჭდათ, ხომ არაფერი გინდათ რომ შეიძინოთ... არ მოგერიდოთ, მითხვარითო... მიეზვივნენ მიტუას ასეთ ყოფაქცევას თუ ჩვევადქცეულ ინტერესს და ვალდებულებას... უკვე ხშირად თავადაც მიმართავდნენ ხოლმე ამათუიმ პრობლემის ან ოჯახური წვრილმანის გადასაწყვეტად.

ყოფილა შემთხვევები, როცა მარიამს უთქამს მიტუასთვის – კარგი, კაცო, გეყოფა ამდენი კაკუნი, ჩხაკუნი, ხერხვა, ლესვა... დაისვენე კაცო... წადი, გაიარ-გამოიარე, „ბირუაზე“ გაშინაურდი, ახალი ჭორები შეაგროვე, დომინო ითამაშე... გეყოფა ამდენი ფაცი-ფუცი... ხომ ხედავ, აღარაფერი გაქვს გასაკეთებელი... სულ ჩაქუჩი და ხერხი როგორ უნდა გეჭიროს ხელში... ისეთი

შთაბეჭდილება რჩება ხალხს, რომ დაეძებ რაღაც გა-  
საკეთებელს შენთან, თუ სხვასთან... ემანდ, ღმერთი არ  
გაგიწყრეს და სპეციალურად არაფერი დააზიანო, რათა  
„საქმე“ გამოგიჩნდეს...

მიტუას რაღაც მოეწონა მეუღლის ნათქვამში და  
ღრმად ჩაფიქრდა... მას შემდეგ, რაც მოისმინა მარი-  
ამის სიტყვები „სპეციალურად არაფერი დააზიანო“,  
მოსვენება დაკარგა, ტვინს იჭყლებდა, გასაკეთებელს  
დაეძებდა, თითებს ნერვიულად ისრესდა და...

წლები მიჰქოდა, ემატებოდათ ჭაღარა და ნაოჭე-  
ბი... აკლდებოდათ ძალა და შემართება... ცხოვრება „თა-  
ვისას“ ითხოვდა – გაფერმკრთალდა იმედები.

ერთხელ მიტუამ შეამჩნია, თუ როგორ შეტორტმან-  
და საყვარელ ტაბურეტზე მჯდომი მარიამი, რომელ-  
იც მძიმედ წამოდგა, ხელში აიღო სკამი და მოუსინჯა  
ფეხები. ორი ფეხი მოყანყალებული იყო და შესაძლოა  
სკამი სიმძიმის ქვეშ გადახრილიყო და წაქცეულიყო.

მარიამმა ბურტყუნ-ბურტყუნით გაიტანა ოთახიდან.  
საწოლთან სხვა სკამი დაიდგა, არანაკლებ ლამაზი და  
მოდური.

შეამჩნია მიტუამ ყოველივე და თავში მაცდურმა აზ-  
რმა გაუელვა.

რამდენიმე დღის შემდეგ მარიამს ჰკითხა, სად წაიღე  
შენ სათაყვანებელი ტაბურეტი, რატომ ადარ გიდგას  
საწოლთან, რად სარგებლობ სხვა სკამითო და ა.შ.

მარიამმა ალდო აუღო მიტუას დაინტერესებას და  
ცხოვრებაში პირველად, საკმაოდ უხეშად მიახალა  
მეუღლეს – ხელი არ ახლო იმ ტაბურეტს, თორემ  
თითებს მოგამტვრევო.

გაუკვირდა მიტუას მეუღლის ასეთი უხეში მიმართ-  
ვა. რა იყო, ქალო... შევაკეთებ, რომ მყარად იჯდე და არ  
გადმოვარდე, რა არის ამაში ცუდი?!

მარიამმა ხმას აუწია – გაფრთხილებ, ხელი არ  
ახლო ტაბურეტს, თურემ ან თავს მოვიკლავ, ან შენ  
მოგილავო...

მიტუამ თავი შეიკავა საუბრის შემდგომი გაგრძელებისაგან და გაკვირვებული ჩავიდა ეზოში.

გავიდა ორიოდ წელი ამ საუბრის შემდეგ. მეუღლეების დამოკიდებულებაში გაჩნდა რაღაც ბზარი. მიტუა იმაზე ნერვიულობდა, რომ სახლში პქონდა და ზიანებული ნივთი, რომლის დანიშნულებისამებრ გამოყენებით შეიძლება მის მეუღლეს შექმნოდა საფრთხე, ხოლო მარიამს კი იმის შეში პქონდა, რომ ტრადიციულად მოუსვენარ მის მეუღლეს არ გადაეწყვიტა და არ ეცადა ტაბურეტის „შერემონტება“, რამეთუ მემკვიდრეობით მიღებული მზითევი მარიამისთვის იყო სალოცავი და სათაყვანებელი რამ, რის სიყვარულსაც ფაქიზად ინახავდა გულის სიღრმეში.

ერთ „მშვენიერ დღეს“, როცა მარიამი შორეულ მეზობელთან იყო წასული, რათა მიხმარებოდა ნიშნობის აღსანიშნავი სუფრის მომზადება-გაწყობაში, მიტუამ ისარგებლა შემთხვევით და მოქებნა მარიამის საყვარელი ტაბურეტი, რომელიც მზრუნველ და აკურატულ დიასახლისს გადაუმალავს მეორე სართულზე ტანსაცმლის კარადაში და თან ზედ დაუწყვია რაღაც ფარდები და ბალიშები.

გაიხარა მიტუამ, გამოუჩნდა „სამუშაო“. მაგრად წავლო ხელები ტაბურეტის ფეხებს და მისწი-მოსწია... ოთხივე ფეხი იყო მოყანყალებული და სავსებით შესაძლებელია ტანსავსე მარიამი გადმოვარდნილიყო და დაზიანებები მიეღო.

სასწრაფოდ ჩაიტანა ტაბურეტი ეზოში მოწყობილ პატარა სახელოსნოში და კარგად შეისწავლა შესაკეთებელი საგანი. მისწი-მოსწია, გაზომა, სამაგრები შეათვალიერა და აუჩქარებლად შეუდგა „საქმეს“.

მიტუა ფიქრობდა, რომ ორ-სამ საათში მოაგვარებდა ყველაფერს და გაახარებდა საყვარელ მეუღლეს, მაგრამ არც ისე მარტივად ყოფილა ოურმე საქმე. მიტუასთვის უცხო აღმოჩნდა ტაბურეტის ნაწილების ფორმები, ზომები, მათი ერთმანეთთან მჭიდროდ დამაკავშირებე-

ლი ხის თუ მეტალის ელემენტები, წებოს რაობა და ხარისხი, საღებავის სახეობა და ხევა.

ცოტა არ იყოს შეშინდა მიტუა, ეჭვი შეეპარა თავის შესაძლებლობებში, მაგრამ თავი გაიმხნევა და ხელები დაიკაპიტა.

ოცამდე დეტალი გაასუფთავა და აპურატულად დააწყო მაგიდაზე. მონახა და სამუშაოდ შეამზადა ყველა საჭირო ინსტრუმენტი და მასალა. მოხერხებულად მოიმარჯვა ყველაფერი, რაც კი საჭიროდ ჩათვალა; „დმურო მაღალი“ ახსენა, მარიამის კმაყოფილი სახე წარმოიდგინა და დაიწყო...

საქმე სანახევროდ ჰქონდა გაკეთებული, როდესაც დიდ კარიდან მოძრავი ჩრდილი ათამაშდა მიტუას მიკროსახელოსნოში. გაიხედა და ოვალებს არ დაუჯერა. კარებში მარიამი იდგა და ინტერესით აკვირდებოდა მიტუას საქმიანობას. უცებ იკივლა, თავში შემოირტყა ხელები და ეცა მიტუას...

ეს რა გიქნია, შე არამზადავ... ხომ გაგაფრთხილე, ხელი არ ახლო-მეოქი... ვაი, ჩემს თავს, უბედურს... მოასწრო ამ სიტყვების თქმა, მერე მკერდზე მიიღო ხელები და მოულოდნელად ჩაიკეცა კარების სიახლოვეს.

მიტუა ეცა, სცადა წამოყენება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მარიამს თვალები ჰქონდა გაფართოებული და გამოშტერებული... ხმას ვედარ იდებდა და ერთ ადგილს უცქერდა და დაუინებული, თუმცა, არაფრის მაუწყებელი მზერით.

მიტუა გაგარდა ეზოში და დაიწყო საშინელი ყვირილი და საშველად მოწოდება. მალე მოვიდნენ მეზობლები... ატყდა ერთი ალიაქოთი და განწირული შეძახილები... მალე გამოჩნდა გამოძახებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანაც და ექიმებიც. ბევრს ეწვალნენ, მაგრამ მარიამი ვერ მოიყვანეს ნორმალურ მდგომარეობაში. მეტი გზა არ იყო და მიიღეს გადაწყვეტილება, წაეჭვანათ რაიონული ცენტრის საავადმყოფოში.

ერთ კვირაზე მეტ ხანს დატოვეს მარიამი სამკურნალოდ და მერე საშინლად დასუსტებული და იერ-

შეცვლილი დააბრუნეს სახლში.

ქალიშვილები და სიძეები არაფერს იშურებდნენ იმისათვის, რომ მარიამს გაეგრძელებინა ჩვეულებრივი ცხოვრება, მაგრამ, სამწუხაროდ, მკურნალობას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია... უფრო მეტიც, მდგომარეობა გაუარესდა და დამბიმდა.

მიტუა გაგიუებული დარბოდა აქეთ-იქით, ლამის კუდლებს ურტყამდა თავს... აღარ იცოდა, რა მოემოქმედა. ექიმები ხშირად მოჰყავდა სახლში, მაგრამ ამაოდ... სასიკეთო არაფერი ჩანდა.

მიტუამ იფიქრა – იქნებ ბოლომდე გავაკეთო მარიამის საყვარელი და სალოცავი ტაბურეტი და დავუდგა საწოლთან, შეიძლება ამან გაახალისოს და გაახაროს... იქნებ, ჯადოსნური გავლენა მოახდინოს და დაუბრუნოს ნორმალურ ცხოვრებასო. ჩაიფიქრა და გააკეთა. ერთ დღეში შეკრა, გაამაგრა, შედება და მართლაც საოცრად ლამაზი რამ მიიღო. იმედი მიეცა, რომ მარიამს უშველიდა.

მიუგანა საწოლთან, ხელში რამდენჯერმე შეატრიალ-შემოატრიალა ტაბურეტი ალერსიანი სიტყვებით: „აი, ჩემო ძვირფასო, შენი საყვარელი ტაბურეტი... შეხედე, რა ლამაზი და მიმზიდველია... აქ გედგას, რომ დამშვიდებით იყო და აღარ ინერვიულო... აბა, თვალი გაახილე და შეხედე...“

მარიამმა ძლივს გაახილა თვალები. მიტუას იმედი მიეცა, მაგრამ... მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა... მარიამმა ერთი შეხედა სკამს, მერე მზერა გადაიტანა მიტუაზე... დახუჭა თვალები და აღარც გაუხელია.

სამი-ოთხი დღის განმავლობაში ემშვიდობებოდნენ სოფლელები, ნათესავები, ახლობლები და მეზობელი სოფლელები.

მიცვალებული დასვენებული იყო მეორე სართულზე. ბეტონის თვრამეტსაფეხურიანი ასასვლელი კიბის რკინის მოაჯირი და კედლები ჩაფლული იყო ყვავილების კალათებში, კონებში და გვირგვინებში. უკანასკნელ

გზაზე გასაცილებლად უწყვეტ ნაკადად მოდიოდა ხალხი. მიტუა დღედაღამ ჩასასვენებლის გვერდით იჯდა მუდანის საყვარელ ტაბურეტზე და ცრემლი სდიოდა უწყვეტად. რამდენიმე დღის მშიერი, ძლივს ახერხებდა ფეხზე დგომას.

დადგა გასვენების ჟამიც. მეზობლის მამაკაცებმა ასწიეს ჩასასვენებელი და წაყიდნენ კიბისკენ. ერთ-ერთმა მეზობელმა შემთხვევით გამოპკრა ფეხი მიცვალებულის საყვარელ ტაბურეტს, რომელიც ჯახა-ჯუხით ჩაჰუვა ბეტონის საფეხურებს, ფეხებში აებლანდა მიტუას, რომელმაც თავი ვეღარ შეიკავა, წაიქცა და ტაბურეტთან ერთად ძირისკენ გაექანა. მიტუამ თავი დასცხო რკინის მოაჯირის კუთხეს და უგონოდ გაიშხლართა იატაკზე სკამის მიმტვრეულ-მომტვრეულ ნაწილებთან ერთად.

მიცვალებული დასვენეს ეზოში და ყველა მიტუასკენ მირბოდა, რომელიც თავგახეთქილი ეგდო შესასვლელ კართან და, რომ იტყვიან, სისხლისგან იცლებოდა.

მოხდა საშინელება. მიცვალებულის გასვენება გადაიდო თითქმის ოთხი საათით. სასწრაფო დახმარების მანქანას ადარ დაელოდნენ და მეზობლებმა თავიანთი მანქანით წაიყვანეს მომაკვდავი მიტუა სასოფლო სამედიცინო პუნქტში და პრეველადი დახმარების აღმოჩენის შემდეგ, ექიმების მოთხოვნით, მიტუა წაიყვანეს რაიონული ცენტრის საავადმყოფოში.

მარიამისა და მიტუას ნათესავებისა და მე-



ზობლების პატარა ჯგუფი გაჲყვა მიტუას, ნაწილი კი დაუბრუნდა ეზოში მიტოვებულ ჩასახვენებელს და გზას დაადგნენ სასაფლაოსკენ.

სახლში დაბრუნებულ ჭირისუფალს დახვდა ცარი-ელი ეზო და სამგლოვიარო სუფრის ასევე ცარიელი მაგიდები.

პირველ სართულზე კი, კიბის დასაწყისთან, კუთხე-ში, გამომწვევად ეყარა აფრიკული წაბლის ხისაგან დამზადებული ტაბურეტის დამსხვრეული ნაწილები.

## ჩვევა

არავინ ასწავლა, არავინ დაუშალა, არავინ მიუ-  
თითა და მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ მოიშ-  
ალა, ვერავინ აუკრძალა ჭამის შემდეგ პირის ღრუ-  
ში დარჩენილი უმცირესი ნაწილაკების ენის წვერით  
მიქექ-მოქექვა, ტუჩებისკენ მიზოჩება და ბოლოს ან  
გადაფურთხება, ან საჩვენებელი თითოთ ტუჩის ჩამოწ-  
მენდა და მერე თითის შარვალზე შეწმენდა.

სიბერემდე ისე მივიდა, რომ ვერა და ვერ მოი-  
შორა ეს საზიზღარი ჩვევა. შიგადაშიგ მეტსახელად  
„ფურთხიასაც“ კი ეძახდნენ.

ცოტა გაუჭირდა მას შემდეგ, რაც ორივე ყბა პრო-  
თეზებით შეუცვალეს, მაგრამ ხომ გაგიგონიათ ანდაზა „ჩვეულება რჯულზე მტკიცეაო“ და ისიც მალე შეეჩვია „ახალ ტექნიკას“ და ჩვეულებრივ აგრძელებდა პირის ღრუში ენის წვერით ნარჩენების გარეთ გამოტანას და ფურთხებას. ყოველი ჭამის შემდეგ გადიოდა ქუჩის მხ-  
არეს მესამე სართულის პატარა აივანზე, ხელებით ეყრდ-  
ნობოდა მოაჯირს და ტუჩების ცმაცუნით და ენის წვერის მოქნილი მოძრაობებით ისუფთავებდა პირის ღრუს.

მეუღლემ არაერთხელ მიუთითა, შეარცხვინა,  
აუკრძალა, მაგრამ ამაოდ... „ფურთხია“ ვერადავერ

მოეგო გონს, ვერ მოახერხა, თუ არ მოახერხა, მავნე და უსიამოვნო ჩვევას თავი ვერ დაანება. მეუღლესაც და შვილებსაც მოსწყინდათ მისთვის „ჭკუის სწავლება“ და რომ იტყვიან, „მიუშვეს ნებაზე“.

ერთ დღესაც, საუზმის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, მესამე სართულიდან აივნის მოაჯირზე ორივე გაშლილი ხელით დაყრდნობილი, გულდასმით განაგრძობდა „თავის საქმიანობას“ და ინტერესით გადასცექეროდა ულამაზეს სკვერს და ტროტუარზე მოსიარულე მოქალაქეებს. მეუღლე თთახში ფუსფუსებდა და ჭურჭლის გასარეცხად ემზადებოდა, როდესაც შეამჩნია, რომ ქმარი პირზე ხელისგულმიფარებული სწრაფი ნაბიჯებით შევიდა თთახში და გაემართა სადარბაზოში გასასვლელი კარებისკენ.

რა იყო, რა დაგემართაო, მიაძახა ქმარს, მაგრამ მას არაფერი უთქვამს და შეძლებისდაგვარად სწრაფად დაეშვა დაბლა.

ცოლს, რაღაცა ცუდი უგრძნო გულმა და სასწრაფოდ გავიდა აივანზე. მალე დაინახა ქმარი, რომელსაც კვლავ ტუჩებზე პქონდა აფარებული მარჯვენა ხელი და თავდახრილი რაღაცას დაეძებდა ტროტუარზე.

ცოლი მიხვდა, რაც დაემართა მის მეუღლეს. მას პროთეზი გამოუგარდა პირიდან და ტროტუარის ქვაფენილზე დაგნარცხა.



„ფურთხიამ“ ქვედა ყბის ნახევარიც კი ვერ ააწყო ნაპოვნი ნამსხვრევებიდან და მაშინვე წავიდა პრო-თეზების ცნობილ ტექნიკოსთან, რომელსაც კარგად იცნობდა და იმედიც ჰქონდა, რომ მალე დაუმზადებდა ახალ ყბას. საქმეს მხოლოდ ის ართულებდა, რომ შესაბამისი თანხა იმჟამად არ გააჩნდა და მოუწევდა ფულის სესხება.

ორი დღის შემდეგ, ახალი პროთეზით ყბადამშვენებული კვლავ აიგანზე იდგა და განაგრძობდა თავის „საყვარელ“ ფურთხობანას.

წლები გადიოდა, სიბერის შეგრძნება ძლიერდებოდა, ჩვევა კი ჩვევად რჩებოდა. როდესაც მესამედ მივიდა ტექნიკოსთან, ცოტა არ იყოს, ბრაზნარევი საყვედურით მიმართა – „...რა არის, ცოტა მაგარი მასალისგან ვერ უნდა გააკეთო, ეს ოხერი პროთეზიო?“ ნამსხვრევები დაუყარა მაგიდაზე და ჰკიოთხა, როდის მოვიდეო...

გავიდა კიდევ რამდენიმე თვე, როცა „ფურთხიას“ მეუღლეს ერთ-ერთ სუპერმარკეტში შემოხვდა ნაცნობი პროთეზისტი, რომელიც გულითადი მოკითხვის შემდეგ, დაინტერესდა თუ რა ხდებოდა, რატომ უტყდებოდა მის ქმარს ასე ხშირად პროთეზი?.. კი, მაწყობს მე, მაგრამ მეცოდებით პენსიონერები... ამდენი ზარალი?!“

ცრემლების დენამდე იცინა კბილის ტექნიკოსმა, როცა მოისმინა მეუღლის მონაცემები. მერე დაამშვიდა გაოცებული ქალი და პირობა აღუთქვა – ერთ კვირაში მაგ პრობლემას მე მოგიგვარებოთ და დაემშვიდობა.

მართლაც, ერთი კვირის შემდეგ მიუტანა ულამაზესი მოგრძო კალათა, რომელიც შიგნიდან დაფარული იყო ეწ. „გუბკით“, ხოლო ზედაპირი მოხატული ულამაზესი ყვავილებით. თავისი ხელით ჩამოჰკიდა მოაჯირზე და დაამშვიდა ცოლ-ქმარი: ეს ჩემგან გქონდეთ საჩუქრად... იმედი მაქს, აღარ დაგჭირდებათ

ტროტუარზე პროთეზის ნამსხვრევების ძებნა და ფულის გაუთვალისწინებელი ხარჯვაო.

სადილზე დაგვეწვიერ, მიიპატიუა ცოლ-ქმარმა კბილის ტექნიკოსი, მაგრამ ამ უკანასკნელმა დასაქმებულობა მოიმიზება და დაემშვიდობა ოჯხებს.

გავიდა მრავალი წელი. მოხდა, მართლაც რომ, საოცრება... იმიტომ კი არა, რომ პროთეზი აღარ დამსხვრეულა, არამედ იმიტომ, რომ იგი „ფურთხიას“ საერთოდ აღარ გავარდნია პირიდან... დიახ, იგი განაგრძობდა „თავის ჩვეულ საქმიანობას“, მაგრამ პროთეზი მუდამ თავის ადგილზე რჩებოდა...

ულამაზესმა კალათამ ერთხელაც კი ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული მისია...

კალათი დღესაც ამშვენებს მესამე სართულის აიგანს... „ფურთხიას“ კი პროთეზი ვერასგზით და ვეღარასოდეს გაუგარდება პირიდან.

## „სხვენა“

სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, რვა ქმაკაციდან შვიდმა მიაკითხა ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებს და შეუდგნენ განათლების შემდეგი ეტაპის გავლის ურთულეს, მაგრამ საინტერესო ეტაპს. მხოლოდ ერთმა, ხმელ-ხმელი, მაღალი აგაბულების ბიჭმა, სახელად სოსომ, ჩათვალა, რომ ოჯახური პირობებიდან გამომდინარე არ ჰქონდა უფლება, მიუტოვებინა ავადმყოფი მშობლები და მაქსიმალურად არ გამოეყენებინა თავისი შესაძლებლობები მათზე საზრუნველად.

შესაძლებლობები კი, მართლაც, საოცარი ჰქონდა. სულ თვრამეტი წლის იყო და უამრავი რამ იცოდა და შეეძლო გაეკეთებინა ყოველდღიური პრაქტიკული ცხოვრებისათვის ერთობ საჭირო და აუცილებელი:

კალატოზობა, დურგლობა, მჭედლობა, ელექტროტექნიკა, მოსავლის მოყვანა, ათასგვარი ტექნიკის შეკეთება, საღებავების მომზადება და მოხატვა თუ შელესვა და ა.შ. კარგად ერკვეოდა ავტომანქანების მუშაობის პრინციპებში და გამათბობელი მოწყობილობების, თუ რადიო და ტელეაპარატურის მუშაობის ნიუანსებში...

მოკლედ, იგი იყო სოფლის სული და გული, ყველასთვის საჭირო კაცი. პატივს სცემდა დიდი თუ პატარა, არამარტო საკუთარი სოფლიდან.

სოფლელებისათვის (განსაკუთრებით მამაკაცებისათვის) სოსოს ეზოში, მარნის გვერდით მოწყობილი სახელოსნო, წარმოადგენდა ერთგვარ მუზეუმს, სადაც სშირად იკრიბებოდნენ მეზობლები თუ ყოფილი თანასკლელები და თბილ და მეგობრულ საუბრებში ატარებდნენ დროს.

უამრავი კლიენტი ჰყავდა სოსოს, ისე, რომ მთელი დღის განმავლობაში უწევდა მუშაობა. ერთი თავისებურებაც ახასიათებდა სოსოს – კლიენტს არ გაუშვებდა „ჭიქის მიჯახუნების“ გარეშე, რაც ასევე ზრდიდა მის პაპულარობას და კლიენტების რაოდენობას.

კიდევ უფრო იმატა კლიენტების რაოდენობამ მას შემდეგ, რაც გამოჩნდა მობილური ტელეფონების ფენომენი – სოსოს ინტერესთა სფეროში თავისი ადგილი დაიკავა სრულიად ახალმა ტექნიკამ, რამაც მნიშვნელოვნად გააძრიულა ადამიანების ურთიერთკომუნიკაცია.

სოსომ ერთი ტრადიცია დაამკვიდრა, რითაც უფრო ცნობად და საინტერესო პიროვნებად ჩამოყალიბდა, კერძოდ – დანიშნა ყოველი წლის პირველი სექტემბერი თანაკლასელთა შეხვედრის დღედ და განსაკუთრებული პატივისცემით და ყურადღების განსაკუთრებული დოზით სახლში იწვევდა სტუმრად ყველას, ვინც აღარ დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და სხვაგან „დაიდო ბინა“.

სოსოს წყალობით, ეს დღე იქცა სოფლის კიდევ ერთ სადღესასწაულო დღედ.

სოსო კიდევ ერთი რამით იყო გამორჩეული – არ ჰქონდა მეტსახელი (თიკუნი), მიუხედავად იმისა, რომ სოფელში თითქმის ყველა მამაკაცი ატარებდა „მეორე“ სახელს, არაიურიდიულს, არაკანონიერს, არამედ ხალხის მიერ შერჩეულ – დარქმულს და დამკვიდრებულს. სადღაც, გულის კუნძულში სინანულის გრძნობამ დაიდო ადგილი – რა ხდება, რატომ არ მაქს თიკუნი, იგივე „კლიჩკა“-ო, შინაგანად წუხდა სოსო, თუმცა არ იმჩნევდა.

დრო გადიოდა... თანაკლასელები გაჭაფარავდნენ... შვილები წამოზარდნენ... დროის დიდი ნაწილი ხმარდებოდა მათ აღზრდა-განათლებაზე ზრუნვას. თანდათან მცირდებოდა პირველ სექტემბერს სოსოს მიერ დაწესებულ თანაკლასელთა შეხვედრაზე დამსწრეთა რაოდენობაც...

სოსოს კი ისე გაეზარდა კლიენტთა რაოდენობა, რომ ზოგჯერ აღარ პასუხობდა მობილურ ტელეფონზე შემოსულ ზარებს.

მეგობრებმა შეამჩნიეს, რომ სოსო მობილური ზარით შემოსულ ნომერს დაკვირვებით უცქერდა და ხან პასუხობდა, ხან არა.

თავიდან ამგვარ შემთხვევას დიდ უურადღებას არ უთმობდნენ, მაგრამ როდესაც სისტემატური ხასიათი მიიღო პასუხმა „...სხვენში ვიყავი და მობილური ოთახში დამრჩაო...“ – დაცქვიტეს ყურები...

ურჩევდნენ სოსოს – უხერხულია, ყველას უნდა უპასუხო, ნუ არჩევ კლიენტს, დაკარგავ ავტორიტეტსო, მაგრამ ამაოდ...

„...ბიჭოო – მიმართეს ერთხელ გულნატკენმა მეგობრებმა – როცა გირეკავენ უნდა უპასუხო, განურჩევლად იმისა, თუ ვინ გირეკავს და პასუხიც მრავალფეროვანი და, რაც მთავარია, მართალი უნდა იყოს... რას აიჩემე ეგ სხვენი, არასდროს არ ყოფილხარ არც შენი და არც სხვისი სახლის სხვენში... თუ კლიენტი არ მოგწონს, პირდაპირ უნდა უთხრა მიზეზი და არ უნდა იცრუოო...“

რას აიჩემე – სხვენში ვიყავი, სხვენში ვიყავი...“

იწყინა მეგობრების სიტყვები, მაგრამ „თავისი“ გააგრძელა. გადიოდა თვეები და წლები. მეგობრებიც თითქოს შეეზივნენ სოსოს სიტყვებს შეკითხვაზე – „რატომ არ გვასუხობო, „სხვენში ვიყავი და მობილური ოთახში დამრჩა“, „მაგ დროს სხვენში ვიყავი და ზარის ხმა ვერ გავიფე“, „მაღლა ვიყავი, სხვენში და მობილური ოთახში დავტოვე დატვირთვაზე ჩართული“, „ვერ გავიფე ზარის ხმა, სხვენში ვიყავი, ტელეფონი საწოლში დამრჩა“, „საშინელი ქარი ქროდა, სხვენში არაფერი ისმოდა“ და ა.შ. და ა.შ.

მეგობრებმა მოიფიქრეს და გადაწყვიტეს, რომ სოსოსთვის მეტსახელად, თიკუნად შეერჩიათ „სხვენა“, რაც ქვევრის პირას ლიმილ-ხითხითოთ აღნიშნეს კიდეც.

სოსოს გაუთბა სხეული... სადღაც გულის სიღრმეში შვებაც კი იგრძნო, რომ აუსრულდა ჩუმი ოცნება, ამიერიდან მასაც აქვს „ქლიჩა“...

„იხარე ჭერო“ – ჩაიღილინა ჩუმად, სხვათათვის ნაკლებგასაგონად.

დღო კი გარბოდა ჩვეული სიჩქარით და უკან იტოვებდა უცნაურობებით აღსავსე ყოველდღიურობას.

სოფელში სულ მალე დაივიწყეს სოსოს პასპორტისეული სახელი და ყველას პირზე ეკერა: „სხვენა“, „სხვენას“, „სხვენამ“, „სხვენასთვის“ და ა.შ. თიკუნი იმ კაცისა, რომელიც არასოდეს ყოფილა სხვენში.

ასეთია თიკუნების წარმოშობის ერთ-ერთი ნიშან-თვისება – რაიმეს სისტემატიური გამეორება, აჩემება (წლების განმავლობაში).

გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და უცხოეთში დამკვიდრებულმა სოსოს ყოფილმა თანაკლასელებმა მიიღეს სატელეფონო გზავნილი, რომ მოულოდნელად, უბედურმა შემხვევამ იმსხვერპლა სოსო და რომ დაკრძალვა გადაწყვეტილი იყო პირველ სექტემბერს.

სადღესასწაულო დღის ნაცვლად, დაკრძალვის

დღეზე ჩამოსულმა „ბურტყუნაშ“, „ჩამტენაშ“ და „ქა-ტუნაშ“ თაიგულებით ხელში შეაბიჯეს ოთახში, სადაც განსვენებულს ემშვიდობებოდნენ ახლობლები და გა-ოცებულებმა პკითხეს სოსოს მეუღლეს – რა მოხდაო...

თვალცრუებლიანმა ქალმა ღრმა გულისტკივილით ამცნო უცხოეთიდან ჩამოსულებს: „...მეზობელს ეხმარე-ბოდა, სხვენში იყო ასული, კიბე დაუცურდა და მეო-რე სართულის სახურავიდან გადმოვარდნილმა თავი დაარტყა ეზოში მდგარ რკინის კასრს... ადგილზე გა-ნუტევა სულიო“...

„...საწყალი, როგორ მოსწონდა თავისი მეტსახე-ლიო...“ გაიფიქრეს უცხოეთიდან ჩამოსულებმა და თაი-გულები ჩასასვენებელს შემოუწყვეს.

## ერთი ტომარა ჭეპოცემენტი

დაბაში ყველას პირზე ეკერა მისი სახელი: ვანო პაპა, ძია ვანო, ჩვენი ვანო, ოქროვანო და ა.შ. ალბათ, არ მოიქმენებოდა ოჯახი, რომლისთვისაც ვანოს არ აღმოუჩენია, თუნდაც სულ მცირე, დახმარება და მხ-არდაჭერა. ყველას ძალიან უყვარდა ის.

შვილები და შვილიშვილები დაბინავებული ჰყავდა – მათ თავიანთი ოჯახები და სამსახურები ჰქონდათ სხვა-დასხვა ქალაქებში. კვირაში ერთხელ თუ არა, ორკვირა-ში ერთხელ მაინც ჩამოდიოდნენ, ნახულობდნენ, ეფერუ-ბოდნენ და ეხმარებოდნენ საკმაოდ ღრმადმოხუცებულ საყვარელ წინაპარს. არც მეზობლები და ნაცნობ-მეგო-ბრები ივიწყებდნენ ორიოდ წლის წინ დაქვრივებულ კაცს და ხშირად, თათარიანენ სუფრის შემდეგ, ერთო-ბოდნენ ხოლმე ნარდით, ჭადრაკით, დომინოთი და ა.შ. უყვარდათ მოლხენა ვანოს საკმაოდ ლამაზ და მოვლილ ეზო-კარში.

ერთი რამედა გვაკლიაო, იტყოდნენ ხოლმე შე-ზარხოშებული თანამოსუფრენი – ეზოში რომ გვქონდეს

კარგად მოწყობილი, ყოველგვარი საჭირო ატრიბუტიკით აღჭურვილი კუთხე, სადაც ბუსარში შევწვავდით მწვადებს სპეციალურ სადგამზე; აქვე გვექნებოდა შეშისა და ნახშირის შესანახი ადგილები; ხორცის დასაკეპი მაგიდა და ქარადა ჭურჭლისთვის, დვინისთვის და ა.შ. გვედგმებოდა აქვე პატარა ტაბლა სამფეხა პატარა სკამებით, დვინის ჭურჭლი, შლანგი, ყანწები და ჭიქები და ა.შ. გადავხურავდით ქართული კრამიტით, კედლებზე ჩამოვკიდებდით საქეიფო რაღაც-რაღაცებს და ნებისმიერ ამინდში კომფორტულად ვიგრძნობდით თავს. გვედგმებოდა შანდლები და გვექნებოდა ასევე სალოცავი კუთხე ხატებით დამშვენებული...

ვანომ გაიხარა მოსმენილით და უთხრა თავის განუყრელ მეგობრებს – ამასწინათ მიტუა მოვიყვანე და ვაჩვენე ადგილი (თითო გაიშვირა ეზოს ბოლოში მარჯვნივ მდგომი დიდი კაკლის ხისკენ), სადაც იმის მოწყობა მინდა, რაც ოქვენ აქ ჩამოთვალეთ და მოყვით. მიტუამ დეტალურად გადაათვალიერა მასალები და ნივთები, რაც მაგ საქმისთვის მაქვს შეგროვებული და მითხრა – ხვალ დილით მოვალ და დავიწყებ, ოდონდ ერთი ტომარა წებოცემენტი დამახვედრე, დანარჩენი ყველაფერი გაქვსო.

- სად უნდა წახვიდე, ახლადგახსნილ მაღაზიაში?
- კი, მითხრეს თბილისელებმა ახალი თბილქბი გახსნეს სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მასალებისა და ნივთებისაო...
- ამბობენ, რომ ყველაფერი აქვთ, რაც „სულსა და გულს“ გაუხარდებაო...
- აბა, შენ იცი, ჩვენი დახმარება თუ გჭირდება, აქავართ, არ მოგერიდოს...
- რა დახმარება მინდა, ერთ ტომარა ცემენტს ვედარ მოვიტან სახლში?!

გათენდა მეორე დღე. ნაადრევი თოვლით დაფარული ყო არემარე. ვანომ თბილად ჩაიცვა და ნელი ნაბიჯებით გაემართა ახალი სავაჭრო ცენტრისაკენ, რომელიც

მისი სახლიდან სულ რაღაც სამასი-ოთხასი მეტრით იყო დაშორებული.

ფრთხილი ნაბიჯებით მიდიოდა დამით დათოვლივ და მოყინულ ტროტუარებზე.

მაღაზიაში ორი ახალგაზრდა მამაკაცი მაგიდას მისჯდომოდა და დომინოს თამაშში გართულებმა ვერც კი შეამჩნიეს მისი მისვლა.

გამარჯობა ბიჭებორ... საკმაოდ ხმამაღლა მიმართა ვანომ...

არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია ვანოს, საკმაოდ მაღალხმიან, მისალმებას. მივიდა „უფრო ახლოს და...

— გაუმარჯოს ჩემს მომავალ მეგობრებს... იმედი მაქვს ხელს მომიმართავთ.

— ისევ სიჩუმე... განაგრძნობდნენ დომინოს კოჭების ხმაურიან ტყაპა-ტყუპს და „საბუღალტრო საანგარიშოზე“ მძივებად ასხმული რგოლების წკაპა-წკუპს.

ვანოს, ცოტაარიყოს, ხასიათი წაუხდა...

ცოტა კიდევ ახლოს მივიდა მოთამაშეებთან და ოდნავ გაბრაზებული სიტყვებით კვლავ მიესალმა მოთამაშეებს...

— რა გაგვიწყალე გული, რა გინდა, ადარ იტყვი?!. რას დახეტიალობ ამხელა კაცი, ამ სიცივეში... ხომ არ გინდა რაიმე „აიკიდო“?!. თქვა ერთ-ერთმა გამყიდველმა ისე, რომ ვანოსთვის არც შეუხედავს და არც მისალმებაზე უპასუხია...

ვანომ ვეღარ მოითმინა და უხეშად მიმართა მათ:

— მომაქცევთ თუ არა ყურადღებას, რას პგავს თქვენი საქციელი, სად გაგონილა ასეთი მოქცევა?!

— თუ არ მოგწონს, სხვაგან წადი და იქ შეიძინე, რაც გსურს...

უხეშად შეეკამათა ერთ-ერთი გამყიდველთაგანი და განაგრძო თამაში... მეორემ კი, ისე რომ თავი არ აუწევია, პკითხა:

— რა გინდა, კაცო, რას შემოგვიჩნდი?..

— ერთი ტომარა წებოცემენტი მინდა, რა დირს?..

- მიდი ახლოს და წაიკითხე, ზედ აწერია ფასი.
- სად მივიდე, სად ალაგია?!.
- შენ რაა, ბრმაცა ხარ და ყრუც?!.
- როგორ ბედავთ, ოქე თავხედებო, პაპათქვენის ასაკის ადამიანის აბუჩად აგდებას... ვინ გასწავლათ ამგვარი მოპყრობა... მოვა დრო, გაიგებთ ვინცა ვარ და სანახებლად გაგიხდებათ საქმე...

სოქვა გამწარებულმა ვანომ და სწრაფი ნაბიჯებით გავარდა გარეთ. ფიქრში იყო ჩაფლული – კიდევ კარგი, რომ ნაცნობი არავინ შემოსულა მაღაზიაში, ხომ შევრცხვებოდი საშვილიშვილოდო...

ერთი სული ჰქონდა, მალე მისულიყო სახლში და დაწყნარებულიყო...

მიდიოდა კი არა და... მიძუნბულებდა... სირცხვილის გან იწვოდა... თაგს შეურაცხყოფილად გრძნობდა ახალგაზრდების მხრიდან გამოჩენილი „მომსახურებით“... ფიქრში ჩაფლულს და თითქმის სირბილით მიმავალს, მუხლებმა უმტყუნა, ორივე ფეხი მოუცურდა, წაიქცა



ზურგით და კეფა დასცხო ტროტუარის ბასრწახნაგიან ბორდიურს...

შემოეხვივნენ ქუჩაში მყოფნი, გამოიძახეს სასწრაფო დახმარების ბრიგადაც, მაგრამ ამაოდ... მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს... გლოვამ მოიცვა სრულიად დაბა, ყველამ გულთან ახლოს მიიტანა მომხდარი ტრაგედია...

დაკრძალვის მთელ პროცედურას ხელმძღვანელობდა ამერიკიდან ჩამოსული უფროსი შვილიშვილი, რომელიც საფლავის მოწესრიგებამდე დარჩა მშობლიურ დაბაში.

მოეწონა ხელოსნის ნამუშევარი და სოხოვა:

— იქნებ პატარა სალოცავი და სანთლის დასანთები დეკორატიული კუთხეც მოაწეო.

— კი ბატონოო, არ არის რთული საქმეო, ორ დღეში მაგასაც ჩაგაბარებთ, ისეთი იქნება, თქვენ რომ მოგეწონებათო...


— დამატებით რა არის საჭიროო. იკითხა ვანოს უფროსმა შვილიშვილმა.

— ბევრი არაფერი... ვანოს თითქოს გული უგებდაო, ყველაფერი საკმაოდ მოუმარაგებიაო... ერთი ტომარა წებოცემენტი დამჭირდება... ეგ არის და ეგ... უპასუხა ხელოსანმა.

შვილიშვილმა, გულის სიღრმეში, უცნაური ტკივილი იგრძნო.

## სარჩევი

|                                      |     |
|--------------------------------------|-----|
| წინათქმა.....                        | 3   |
| მართველის კვარტეტი .....             | 4   |
| მეტამორფოზის დინამიკა .....          | 11  |
| კოდინირებული კონიაკი .....           | 21  |
| უნიკალური ნიკაპი .....               | 31  |
| აუტი კედლიდან.....                   | 34  |
| ერთი ერეპლე და ოქრომეტი ირაკლი ..... | 39  |
| ბელა, იულონი და .....                | 45  |
| ჭოჭელი.....                          | 45  |
| „ბლუჯა“ .....                        | 48  |
| ბოროტი მეზობელი.....                 | 57  |
| „ყანერატო“ .....                     | 63  |
| ყანწიო მოძებნილი .....               | 66  |
| ვაი და ვუი .....                     | 73  |
| ებ უკვე მოხდა, „ქაბატოჯან“.....      | 76  |
| იმიტირებული სასაფლაო.....            | 81  |
| თუში გოგოს „ჩიოტები“ .....           | 84  |
| ყაჩალები.....                        | 95  |
| დღეში ერთი, თვეში ორი.....           | 100 |
| ჩაეძინა .....                        | 104 |
| ზალა და აუზი.....                    | 108 |
| ორიენტირი.....                       | 114 |
| 2222 .....                           | 118 |
| ფეხი ფეხზე.....                      | 124 |
| ტაბურეტი .....                       | 128 |
| ჩვევა.....                           | 137 |
| „სხვენა“ .....                       | 140 |
| ერთი ტომარა წებოცემენტი .....        | 144 |



ვახტანგ ჭავჭავაძე დაიბადა ქ. თელავში 1933 წელს. აქვე დაამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა ოქროს მედლით.

თბილისის უნივერსიტეტის (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი) დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე (ლაბორატორიან სწავლულ მდივნამდე), ასევე რამდნიმე სამრეწველო ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გორის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ღირსების მედლის კავალერი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი. ავტორია ათეულობით სამეცნიერო შრომისა და გამოგონების, ასევე ოთხასამდე პუბლიცისტური წერილის. გამოცემული აქვს 50-ზე მეტი წიგნი ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში